ᲐᲙᲐᲙᲘᲡ

ᲗᲕᲘᲣᲠᲘ

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ

წელიწადი მეორე

№ XI

ნოემბერი, 1899

ᲕᲘᲜᲒᲚᲘᲡᲪᲐᲕᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ✠ Типографія Гамбашидзе
1899

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 14 Декабря 1899 г.

შინაარსი:

გასუოფილება პირველი.

		გვერ.
II	**სვიმონ მაჩაბლის პასუხი.** ლექსი, გიორგი ერისთავისადმი.	5—8
III	**ამირანი.** დრამატიული პოემა. სკვ. გასეფიანისა	9—62
IV	**პროგრამმა ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობებზის შესაკრებად.** (ვაგრძ.) ალ. ხასხასოვილისა	63—81
V	**საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი.** (გაგრძელება) მოსე ჯანაშვილისა . . .	
VI	**ევროპის მეაბრეშუმობა.** (დასასრული) ს. ქორიანინისა	

მეორე გასუოფილება.

I	**სოფ. ბოსტანა.** წარმოდგ. მ. ალ. ბარამიანისაგან	1—9
II	**ილბლის სასწორი.** ზღაპარი და ხალხური ლექსები, წარმოდგენილი ო. ს. ასხვიანის მიერ.	10—16
III	**თუშური ლექსები.** შეკრებილი ივ. ბუქურაულიანის მიერ	17—24
	განცხადებანი.	

სვიმონ მაჩაბლის პასუხი.

ვსცნობ ძმაო ქარტას, გიქებ თხზულებას—
ნურ-ვინ იჩემებს... იწყებს ცილებას!—
შენთან ჭირს ვირჩევ სხვათ ქორწინებას,
გულს უყოფ ტრფობით აღბეჭდილებას.

—

ვსწუხ და ვჰსტირ ძმაო, შენს დაშორებას,
მაგრამ ვინ შესცვლის ზენარის ნებას?
მასვე ვსთხოვ: შორს გყოს საცდურთა ვნებას,
ჩვენც გვხსნას ესოდენ ცრემლთა დინებას.

—

თუ ოდეს გსმოდეს ჩემი თხრობანი,
შეჰკრიბე!... გაქმნდეს იგი ცნობანი:
ვით გიებულა უვიცობანი!...
კაცს შვენის სიბრძნე, მამაცობანი!...

—

არ გაუდრკების მხნესა გონება,
არცა ამაოს ფიქრს ემონება;
მას მართებს მართლად თავის წონება.
ჰსთქვი: მოშიშს შიშით რა ეფონება?

—

ვადიდოთ იგი, ვინ გვყო ცხოველად,
აღგვაღორძინა, მოგვფინა ველად!
მისის ვედრებით თვალნი ვჰყოთ სველად,
იგი გვყოფს მარად სასუფეველად.

იცი, ხელმწიფეთ გვარი ესეა,
წყრომა და ტკბობა მათი წესია,
რადგან ყოველთა უაღრესია,
მოწყალება ის უზესთაესია.

—

შენ ყრმა, ჭაბუკი, მცირე-წლოვანი,
თუ რისმე ცთომის იყო მხსოვანი,
დიდი ხელმწიფე, მჰსგავსი მღვთოვანი,
იგ დაგიფარავს სიბრძნით მყრცოვანი.

—

ნუ სწუხ სასურვო, ამა შემოხვევას,
დღისით შრომასა და ღამის თევას!
ღმერთი გაღირსებს მსწრაფლ უკმოქცევას,
ურთიერთ შორეს ლხინსა-შექცევას.

—

ზოგნი მილიონს ხარჯვენ ამითა
ქვეყანა მოვლონ დღისით ღამითა,
აჯლი მოვა მოვკვდეთ ჟამითა,
თუნდ ვისხდეთ ლხინსა მდიდრის სკამითა.

—

მუნ მიმავალსა, რა გიჭირს შენა?
ქვეყნის ცნობის თქმად, აღგიძრავს ენა!..
აწ განიშორე ფიქრი და წყენა!
სასოებითა იპყარ მოთმენა.

—

შენთვის ეგ კმარა, რაცა სიმდიდრედ
თან მიგდევს სრული გონიერება.
იგ გეკმავების სიბრძნის სიმდიდრედ,
თუმცა იხმარე ზომიერება.

ეგ ძალლი ენა, სადაც მიგყვება,
დროს გაატარებ სიხარულითა.
შენთან მიმოსვლა მყისვე იწყება,
მით გმართებს ქცევა ჭკუით სრულითა.

—

მოხუცი ბიძა გემუდარები,
არ დამივიწყო შენთვის მჭმუნვარე,
გული ჰყო ხსოვნად დაუზარები;
არ გშვენის მღერალს იყო მდუმარე.

—

ძმა ძმას მოგიძღვნი ამბავსა რასა?
სიცოცხლის ღმერთა სად განისვენებს:
ღრუბლით მოსილი მყოფობს თვისს სრასა,
თვინიერ შენსა ვის მოიხსენებს?

—

ჰე, გიკვირს ძმაო, ბედმან იგიცა,
ვით მჭმუნვარე ჰყო მზგავსი მთვარისა?
რისხვით მობრუნდა მტრფობი იგი ცა,
მონაწილედ ჰყო დროსა მწარისა.

—

ბამოვედ ძმაო, მომეც ნიშანი,
გამოხატული შენის სახისა.
ვლო ზღვით სისველე და ზღვა-ქვიშანი
ვჰპოვო გზა მზგავსის ალვისა ხისა.

—

არ ვრიდებ გზასა მე შენთვის მზასა,
დაუღალავად რკინის ქალმითა,
აწ განვიძრახავ, ვჰპოებ და ვნახავ
მიუალერსებ შენის სალმითა.

მივალ ვიტირებ, მასაც ვატირებ
და განვუცხადებ აზრსა ყოველსა,
ნუ მოჰკლავ გულსა, მისთვის დაგულსა,
ნურც თვალს გიმყოფებს ცრემლით სოველსა.

—

ვადა დაგიდვას, თავს არ გაიდვას,
ვიდრე შენ უკვე მოიქცეოდე!
მანცა „პატრეთი“, მშვენებით ერთი
მოგცეს და თვითცა მკვდარ იქცეოდეს.

—

დასრულდა ძმაო, საყვარლად კმაო,
ღმერთსა ვსთხოვ, იქმნე მარად მშვიდობით!
ხელმწიფე დიდმან, სიმართლის ხიდმან
ბედნიერად გყოს! გნახოთ დიდებით!

—

„ყაზარმობის“ დროს რომ სხვათა შორის გიორგი ერისთავი, პოეტი, დააპატიმრეს და წაიყვანეს, თავადმა სვიმონ მაჩაბელმა ეს ლექსი მისწერა მისი ლექსის პასუხად.

ამირანი

(დრამატიული პოემა)

წინა-სიტყვა

დიდი ხნიდგან გრძნობს ჩვენი ხალხი იმ მოთხოვნილებას, რომ ამირანის ლეგენდების ციკლი შეკინძულიყო და გალექსილიყო. ხალხმა ამ ლექსის მინუშები, ფორმა ამირანის ამბის გამოსურათ-ხატებისა უკვე გვაჩვენა. საჭირო იყო მხოლოდ შეთანახმება, გაერთ-სულება ამირანის ამბებისა და სხვ. ჩვენ ვსცადეთ ამ ხალხის კოლლექტიური სულის ნათხზის ამ ნაირად შემუშავება, და დასრულება მისი-კი მიგვინდვია უფრო ნიჭიერთათვის და მცოდნეთათვის.

გმირი ამირანი საერო გმირია, რომლის მსგავსიც აღარა იცის-რა სხვა კიდევ ჩვენმა ხალხმა. მაგ. გ[illegible]ირს აწერავს იგი ყოველ-გვარ თვის აღმაფრენას და ელის მის აღსრულებას. იშვიათია ხალხი, და ან სულაც არ არის, რომ დღემდე ასეთი შინაარსის გმირი ჰყავდეს. იყვნენ ბერძნები —მათი პრომეთეოსი აიხსნა და მოსჭამა პური თვისი დანიშნულებისა . . . ეს ჩვენი გმირი, ამირანი, ყოველ გვარ არიმანებზე, პრომეთეოსებზე და სხვ. ძველის ძველი ცხოვრების გმირია თვისი დასაწყისით. ჩვენი ხალხის კოლლექტიურ შემოქმედებითს ნიჭს ის გაუდიადებია მაშინ, როდესაც ეს ერები არიმანებისა და პრომეთეოსებისა არც კი ყოფილან.

არასფერი არაა ამ გმირში ისე საჭირო ჩვენთვის, როგორც მის მისწრაფებათა გამოსურათ-ხატება...

ჩვენ შევჰკრიბეთ ორჯელ მეტი იმაზე, თუ რაც ჩვენამდეა დასტამბული ხალხური სიტყვიერების მასალა და იმ მასალაზე შევკინძეთ ამირანი ისეთი, როგორადაც ის ჩვენს ხალხს უუძველეს დროებიდგან აქნობამდე წარმოუდგენია. ამით, ჩვენ გვგონია, თუ სრულებით ვერ შევავსეთ ნაკლი, გამოვიწვიეთ მაინც ხანა ნაკლის შევსებისა, როცა ჩვენც უნდა გვეღირსოს „კალევალას“, „ნიბელუნგების“ და სხვათა მსგავსი ეპოპეა ხალხის კოლლექტიურ სულიერ ნათხზზე დამყარებული.**)

ავტორი.

**) „შინა-არსი“ იქ და აქ ავსებს პოემის ფაბულას

ავტორი.

საუფარელ აკაკის.

წარსულთა დროთა სიღრმეში
ნათელნი პირნი ყოფილან;
მათ ისტორია ვერ იკნობს
და მაინც როდი მოფხვრილან.
მადლიერ ხალხის უკვდავ სულს
ობლად უბეში უთბია,
ზღაპრები მათზე უწყვია,
კუდი-კუდ გადაუბია,
და ზღაპრად მათი სახენი,
ჩვენს დროებამდე მოსულნი
არიან მადლის, შვენების
შარავანდედით მოკულნი.
თვისის ნაღვაწით გვხიბლავენ,
ველარ ვაშორებთ თვალებსა
და გვაგონებენ ოფლ-ნაღვარ
მამა-პაპათა ძვალებსა.
დავეძებთ მათსა აკლდამებს,
სუნით ვსცნობთ სისხლსა დაღვრილსა,
ვსცემთ თაყვანს მიწას მით ნაბანს
და შევჰტრფით წმინდა ადგილსა.
მუხლ-მოღრეკილნი ვიწვევთ-რა
აკლდამებიდგან მათს აჩრდილს,
ვიხარით მისსა სალმუნსა
და ვიზიარებთ მის წადილს.

ხან შუბლს გვინისლავს სევდა-რამ,
ხან პირს გვინათლავს ღიმილი,
ხან გვინდა მასთან სიცოცხლე,
ხან გვინდა მასთან სიკვდილი.
ამ რიგად მკვდარს და ცოცხალსა
სულები შეგვდუღებია...

ავტორი.

პ ი რ ნ ი:

1. მზის-დედა — ღმერთი.
2. მზე-ქალა, მისი ასული — ღმერთი.
3. მთვარე, მისი ვაჟი — ღმერთი.
4. ამირანი — გმირთ-გმირი.
5. ამირანის მამა — მაღინდარა მონადირე.
6. ამირანის დედა — სამხრეთის მეფის ქალი.
7. სამხრეთის მეფე — ამირანის მამობილი, ბაბუა.
8. არაბი (ტუჩ-გაჭრილი) ქალი.
9. უსუპი } ამირანის ძმანი } გმირები.
10. ბადრი } ამირანის ძმანი } გმირები.
11. უსუპის ძმის-წული, ბადრის ძე } ამირანის ძმანი } გმირები.
12. ბადრის დედა — გამზრდელი ამირანისა.
13. გულ-თოიჯი ქალწული - დობილი ამირანისა.
14. ვეზირი სამხრეთის მეფისა.
15. ქალთა-მზე, მეუღლე ვეზირისა.
16. მწყემსი.
17. მწყემსის ცოლი.
18, თეთრი, ბაყბაყი, კოჭლი დევი.
19. მკვდრები.
20. ხალხი და სხვა.
21. მწირველი.

მოქმედება სწარმოებს: ამ დედა-მიწაზე, მაღლა ცაში და ძირს ქვესკნელში.

პირველი სურათი.

შინაარსი.

იყო სამხრეთის მეფე. ჰყვანდა მზეთ-უნახავი ქალი; გადაეკიდა ამ ქალს თეთრი დევი, მოიტაცა და კოშკში ჩაიმწყვდია.—სანამ არ გავიცინებ, მანამ არ დაგნებდებიო, უთხრა მზეთ-უნახავმა და დევიც დაჰყაბულდა. შეუჩდა, ვერ გააცინა. ამ ქალს აღთქმა ჰქონდა მზე-ღმერთთან, რომ ვისაც მისი პირის-ნაბანი გადაესხმოდა, მისთვის უნდა შეეწირა თვისი უბიწოება. ერთ დილაზე გამოდგა კოშკის ნაპრალიდან მზეთ-უნახავი და პირის-ნაბანი გადმოაქცია. ძირს თურმე ერთ მაღინდარა მონადირეს სძინებოდა და დაესხა თუ არა თავზე, შეშინებული წამოვარდა. მოჰკრა თვალი მას მზეთუნახავმა, აღთქმა უნდა აესრულებინა და ჩამოუშვა კავები მის ასაყვანად. აიყვანა კოშკში და იტრფიალეს. ქალი დაფეხ-მძიმდა და ეყოლა ვაჟი. ვაჟის ყოლამ გააცინა. ახლა დევზე მიცემულ პირს ვეღარ უღალატებდა, მაგრამ ხათაბალაც ის იყო, რომ დევი ალის მქშინავი იყო. ალს ამოუშვებდა პირიდან სიხარულშიაც და უბედურობაშიაც; ტრფობის ალში უნდა ჩაეწვა ეს ქალიც. მოატანია ქალმა მაღინდარას კუბო და თვალ-ცრემლიანმა მისცა ხელში ბალღი: წადი, წაიყვანე და ამა და ამ ალაგას ქოხია ტყეში, იქ მისდგი, გაზრდიანო. წაიღო მაღინდარამ ხოჯიჯით ბალღი და ჩუმად მიდგა პირველ ნახულ ქოხის კართან. თვითონ გამოიპარა. სამზადისს ადგა დედა-ქალი ამ ოჯახის და რომ მოჰკრა ყური ბალღის სხვავილს, მივარდა და გულში მიიკრა. გულ-დამწვარი იყო

თვის დაკარგულ შვილი-შვილზე. ეს დაკარგული იყო უსუ-
პის ძმის-წული, ძე ბადრისა. ამ ნაპოვარით გაიმთელა გუ-
ლი დედა-კაცმა, ამ დროს ხედავს, რომ ერთი ამბით მო-
ჰყავსთ ბადრს და უსუპს მაღინდარა მონადირე. შესწამეს
მზვერაობა. დედამ შვილებს გააშვებინა იგი, სცა პატივი,
მიართვა ვახშამი და მერე მოაყოლა ამ ბალღის ვინაობა.
ვინაობის მოყოლის დასრულება და მისი წასვლა, გადა-
კარგვა ერთი იყო. იზრდებოდა ამირანი. ერთი დღის —ერ-
თი წლის გგონებოდათ. გახდა ათი წლის და დევის მო-
ყვანილობა მოიცა. წაჰყვა ახლა ძმებს—უსუპს და ბადრს
სანადიროდ. ნადირობაში ტყის ღმერთი გამოდგა: მის ნა-
როლ ისარს აღარაფერი გადაურჩა. ძმანები თან ჰკვირობ-
დნენ, თან აღტაცებაში მოდიოდენ ამირანის სივაშკაცით.
მაშინ მოუყვა დედობილი—გამზრდელი ამირანს მის ვინა-
ობის ამბავს და მიუთითა იმ იმედებზე, რომელთაც მაზე
ამყარებდა ბადრი:—მისი დაკარგული ძის რამე გზით მოპოე-
ბას. ამირანიც მოწადინეა მამის, დედის, დევის და უსუპის
ძმის-წულის ნახვას.

სცენა: უსიერ ტყეში ქოხი, რომელსაც აწყდება კარზე გზა-
წვრილი. ბაკეში შემოვა ნანადირევით ბადრი; ქოხიდგან გამოდგება.
ბადრის დედა.

ბადრი. მადლობა მზე და მთვარესა
 და მზის დედასაც ნეტარსა!
 თუმცა ძე ჩემი დავჰკარგე,
 კვალიც ვერ ვნახე ველარსა,
 მაგრამ მათსაღე განგებას
 არ დავუგდივარ სამადლოდ:
 ამირან მომცა მის ნაცვლად,
 სამაგიეროდ, საბადლოდ!
 ჯერ ათის წლისაც თუ არის,

თვალ-ტანად სრული დევია,
მაგრამ დევის ხმას სამყაროს
ბჭენი სად შეურყევია,
და ან დევის ძალს რიყისთვის
წვენი სად გაუდენია?
რაც ამირან-ყრმამ საქმე ჰქნა,
ჯერ არვის ჩაუდენია!

ბაღრის დედა: მიკვირს და გამკვირვებია!

ბ ა ღ რ ი: გასაკვირალიც ის არი,
რომ ნახტომ ნადირს ჯერ მისი
არ ასცდენია ისარი.
ტყე და ველს ისე აბრუნებს,
თითქო ნადირთა ღმერთია,—
სწორ-უპოვარი, უბადლო
ქვეყნად ის ერთად-ერთია!

ბაღრის დედა: (ჩაფიქრდა ნანადირევს).
მართლა, რომ საკვირველია,
თუ ეს ნასროლი მისია,
მაგრამ ეტყობა ჭრილობას—
ეს უფრო უსუპისია!

ბ ა ღ რ ი: რას ამბობ?!... უსუპ რომ ხედავს,
ჯერ დაკვირვებას უნდება:
იმისი ძველი გმირობა
ამირან ყმასთან ხუნდება.
აავსო ნანადირევით
კლდე და ღრე, მთა და ბარია.
სარჩოსთვის ნუღა მოვსცდებით,
აწ სხვა გვაქვს საძებარია:
შევუდგეთ ჩემი ძის გზა-კვალს
გინდ მიგვიყვანოს სადაცა,

თავ-გამეტებით მოვლახოთ
დაბლა ქვესკნელი, მაღლა ცა.
(მოკვლენ ამირან და უსუბიც ნადირობიდგან.
ამირანს გადაეხვევა ბადრის დედა).

ბადრის დედა: შვილო ამირან! ხედავ ბადრს,
შვილის დაკარგვა ამწარებს
და ნუგეშს მხოლოდ ერთად-ერთს
შენს ბიჭობაზე ამყარებს.
რომ ვინმე ექოს შენსავის
ჯერ არვის გაუგონია:
შენს შეხვედრაზედ ბაყბაყიც
აკანკალდება — ჰგონია!
ნუ შეიბრალებ მუხთალსა,
მოღალატესა გმობილსა,
ნუ გამოტყუებ იმედსა
ძმაზედ უტკბესსა ძმობილსა.

ამირანი: ძმა უნდა შავის დღისათვის
ეს ძველთაგანვე თქმულია...
ჩემი სიცოცხლე და ბედიც
ძმისაზე გადაბმულია.
ავჰყევები ბადრის სურვილსა,
ვივჰდევ უსუპის ნებასა:
ან გავიმარჯვებთ ჩვენ ერთად,
ან შევეყრებით ვნებასა.

ბადრის დედა: ვეტყობა სიტყვა-პასუხზე,
შესულხარ ჭკუა-გრძნობაში;
გცოდნია სესხი და ვალი
დაწესებული ძმობაში.
აწ როგორც დაბრძნილ ვაშკაცსა,
ჭკუა მაღალსა, გრძნობა სრულს,

ნბ 5-25173
გკ. 175 ...
ს.ბ.

გეტყვით ჩვენ საიდუმლოსაც
აქამდე შენგან დაფარულს.
ბედის მწერლებმა მაჩუქეს
მე შენი თავი მაშინა,
როცა დავჰკარგეთ ბადრის ძე,
სულის-დგმა უსუპისთვინა.
ერთსა საღამოს ხოჭიჭით
კარზედ მოგაგდო სულ სხვამა,
ყური მოვჰკარი შენს სხავილს,
ამწურა ცოდვა-რისხვამა.
იჯრას ვადექი, გავაგდე,
შამოგიტევე მარდადა;
გავხედე, გზა-წვრილს გაკვროდა
შენი მომყვანი ლანდადა.
ბადრ მთვარეს ჰგავდი, რომ გნახე,
მაგრად მიგიკარ გულზედა.
შენ ძუძუს პირი შემახე
შვილი-შვილ დაკარგულზედა.
ჩემს შვილებს შენი მომყვანი
გზაში შეჰყროდა უეცრად;
ის გონებოდათ მზვერავი
ოჯახის და მიეღოთ მტრად.
მომგვარეს ვაი-ვაგლახით,
მაღინდარასა წაგავდა,
თუნდ მონადირეს ირქმევდა
და ისარ-შვილდიც თან ახლდა.
გავაშეებინე ბადრს, უსუპს,
მივდექი მასპინძლობასა
და მოვაყოლე ნავახშევს
კერასთან ვინაობასა.

უსუპი: მაშინ მოვედით, ამირან.
შორეულ ნადირობიდგან,
ძმისწულს დაკარგულს ეძებნიდით,
დავრბოდით შორსა შორიდგან.
რომ ვნახეთ დედის ხელშია,
გულმა იფეთქა უჯეროდ
და დაკარგულის ძმისწულის
მიგიღეთ სამაგიეროდ.
იმ დღის შემდგომად ძმას გარქმევთ,
ძმა ხარ სისხლით და ხორცითა,
თუნდა ას-ფერად გვიღებეს
შენი ამბები ჭორითა.

ბაღრის დედა მომიყვა: ნადირობის დროს
შემომაღამდა მთაშია,
კოშკის მაგვანი კლდე ვნახე
და მივეყუჩე ხავსშია.
ალიონის დროს მძინარსა
თავზე დამესხა ნაბანი:
თურმე ეს კოშკი ყოფილა,
შიგ—დევის ტრფობის საგანი.
სარკმელს გადმოდგა, შემიხმო,
თმით ამიყვანა კოშკშია;
შავეტრფიალე; ნამყოფი
ცხრა თვის—ეგ პაწა ბავშია.
ფარულად მოხდა ყოველი,
არც კი მინახავს დევია,
მაგრამ ქალს გაცინებია,
ვაჟი რომ დაბადებია.
დევთან მას ფიცი ჰქონია:
უნდა მას დანებებოდა,

თუ მოხდებოდა ოდესმე,
სიცილი აუტყდებოდა.
რაღა გზა ჰქონდა, მიბრძანა:
„ბავშის აქ მალვა ძნელია,
დევი მას მოჰკლავს, თუ ნახა
და შენი საზრუნველია.
წადი, წაიღე ხოჭიკით.
ამ ვის წერა ვარ მენაცა,
ძაგრამ, თუ ეგე დავსწყეველო,
მყის გამიქავდეს ენაცა.
წადი და კუბო ბოიტა.
ალის მქშინავი დევია,
გამიცინია უნდ მოვჰკვდე,
ღამეც ნუ გამითევია.
აქედან წაღმა წადექი,
გზა-კეცილები იარე
და პირველ ქოხის მეკვამურს
მიუდგი, ჩუმად მიჰგვარე.
არამც და არამც შენს ქოხში
არ მიიყვანო არადა:
შენი ცოლ-შვილი დატანჯავს,
მოეკიდება ავადა.
მზე და მთვარეა მაგისი
მზრუნველი, მწყალობელია.
ეგ ამოკაფავს დედის სისხლს,
გადუხდის... უეჭველია.
ჰკოცნა და ცრემლი აყარა
ძუძუ-დამწვარმა დედამ
და მეც დამიწვა გულ-ღვიძლი
იმ თეთრი დევის ბედამ!“

თქვა და გაგვშორდა ტირილით,
ამოჯდომოდა გულია.
მას აქედ შენი მამისა
გზა-კვალი დაკარგულია.
ჩვენ გზრდიდით ტკბილი ალერსით
დაკარგულისა წილადა,
და იზრდებოდი დღე-ღღეზე
ერთი თვის სამი წლისადა.

ამირანი: მე შენი ძუძუ ვიგემე,
ესენი მყავან ძმებადა.
ნეტავი მამა მანახა
დედისა მოსაძებნადა;
ნეტავი დევი მანახა
მთაში, ან სადმე ველადა;
ნეტავ მანახა ბადრის ძე
ხელში ხელ გასაყრელადა!

მეოთხე სურათი.

შინაარსი.

ამირან და ძმანი მისი წავლენ ბადრის ძის საძებრად. დაბურულ ტყეში უეცრად წაატყდებიან კოშკს. სამ დღეს და სამ ღამეს გარს უვლიან და კარს ვერ მიუგნებენ. ამირანი წიხლს ჩაჰკრავს და კარი ჩატყდება. კოშკში ნახვენ კუბოს და კუბოში მდებარე ცხედარს. წიგნი უკავია ხელში ამ ცხედარს. წაიკითხავს ამირანი და გამოდგება ეს ყმაწვილი უსუპის ძმის-წული. დევები ამოუჟლეტია და მხო-

ლოდ ბაყბაყ-დევის ჯავრი ჩაჰყოლია გულში. ვინც იმ ბაყ-ბაყ, თეთრ დევს მომიკლავს, ჩემი ხრმალი ალალ მისიო. ამირანი დაეპატრონება მის ხრმალს, რაშს, მშვილდ-ისარს. ძმებმა ითათბირეს და გადასწყვიტეს, რომ სამ-კუთხივ გა-მგზავრებულიყვენ თეთრი დევის საძებნელად, რომ ან შე-კვდომოდენ და ან მოეკლათ.

სცენა: უსიერ მთაში კოშკის მსგავსი კლდე. ამირანი და მისი ძმანი—ბადრი და უსუპი გარშემო უვლიან ამ კოშკისებურ კლდეს.

ამირან: სამი დღე და სამი ღამე
გარს ვუვლი და არ ვიხვმსე.
სახით კოშკსა რასმეს წაჰგავს,
ანაგებად კლდეა ესე.
თუ რომ კოშკის კედელი აქვს,
რომ ჩავუქნევ მაგრად წიხლსა,
კარს ავაბავ უკარობზე
კლდესა ფეხით შენატეხსა.

(ჩაჭკარავს წასდს. კარი შეტეხდება. გამოჩნდება კუბო, რომელშიაც ცისფერი ასულია).

ეს ვინ არის? ეს რა არის?
ვიზეადა რისხვა მზისი?
შავ-კუბოში მკვდარი ყრმა წევს,
საწყალი და საბრალისი.
თითებსა და თითებ შუა
წიგნი უდევს ქაღალდისი.
ვნახოთ ერთი, რა დაურჩა
ჯერ უთქმელი, სანატრისი?

(გამოართმევს ქაღალდს და ეკითხებოდეს).

„ვისაც უნდა ჩემი ცნობა,—
ძმისწული ვარ უსუპისი“...

ბადრი (მღელვარე) დაკარგული ძე ვიპოვე

საქებური ჩემი ძმისი,
მაგრამ მკვდარი სატირალი,
რომ სამარე ვთხაროთ ყრმისი,
რომ ვიყაროთ თავზე მტვერი,
ავაღრუბლოთ ბურქვი თმისი,
რომ გულ-ბოყვი ჩავიქოლოთ
გადუვალი ჯერე მტრისი...

ამირან (ჭკვითსულობს) დევის რჯული სულ გავწყვიტე,
ალარ ჩამრჩა ჯავრი მისი.
ერთი თეთრი დევი დამრჩა,
მოვკვდი, წამყვა ჯავრი მისი.
ვინაც იმ თეთრ დევს მომიკლავს,
ჩემი რაში ალალ მისი;
ახსენი და წაიყვანე,
სადაც ბაგა იყოს მისი.
ჩემი ხრმალიც მან წაიღოს
გასაჭირში სახმარისი,
ისარ-შვილდიც მოწამლული
გამტეხელი წელში მტრისი.

უსუფი (გაკვირებული) შავმა კატამ გადურბინა,
ახლა ვიცი, თეთრ დევს წინა.
ვისთანა მაქვს საქმე, ვიცი
და სატკენიც არ მეტკინა.
ჩემს შავ რისხვას მის თეთრ სიხლში
ვაღებვინებ წითლად სახეს:
ავუსრულებ ძმისწულს ანდერძს,
თუ ვერა და მკვდარიც მნახეს.

ბადრი (სასოწარკვეთილი) მატყუარაა სოფელი,
ცბიერი, სახე ჭრელია,
წარმავალია სულ ყველა,

მწარე თუ გემრიელია...
აწ სამერმისო სიცოცხლე,
რაც მქონდა, გამომელია:
იმედი, ნდომა, ხალისი
ჩემთვის თანასწორ მწველია!
რაც ახალია სხვისათვის,
ის ჩემთვის ძველის ძველია;
წარკვეთილება იმედის
გლახ-გულის მხრწნელი გველია.
მე აღარ მინდა აწ ოქმი,
ჯიბრი—ეს სულის მდგმელია;
მე აღარ მინდა სიცოცხლე,
სიკვდილი სასურველია.

უსუპი. ნეტა ვიცოდე, რა მოხდა,
რომ ჯერ სხვას არ მოხდომია?
რა გაჩენია ქვეყანას,
რომ იგი არ მოკვდომია?
რად ჰღალავ ენას მჭევრობით?
ხედავ, ცხოვრება ომია:
ერთი ჩნდება და სხვა კვდება,
ყველა ამ გზაზე მდგომია.
დეე, აგოროს სოფელმა
ჩვენის ცხოვრების ტალღები;
დეე, აბრუნოს თვით ბედმა
წალმა-უკუღმა ჩალხები!
ხომ მაინც არ გამოვა-რა,
თუ ყველა წარმავალია,
ჩვენც ავყვეთ-დავყვეთ სოფელსა—
თვით ბედი მამღერალია!
თუ ჩვენთვის ყველა გაჰყინა

და გააქვავა ბედამა,
განა ამაო არ არის,
შვილიც იტიროს დედამა?
მაშ რაღას ყეფავ, ბედ-კრულო,
ბადრო, ფერ-მკრთალო მთოვარე?
მეც, რომ გიყურებ დაღრეჯილს,
ვარ გულ-მოკლული, მთრთოლვარე.
ნუ ამაღრინებ, ესა მაქვს.
მე შენთან სათხოვარია:
შენი ძის უდროდ დაღუპვა
ჩემთვისაც ნაღველ-ძმარია.

ამირან: ძმაო, უსუპო! მეც ვიცი,
რაც ამ დროს საცოდნელია.
დაკარგვა შენის ძმისწულის
ყველასთვის საგრძნობელია.
მაგრამ რას იზამს ვალალი?
მოგვარება სჯობს საქმისა:
თეთრი დევია საძებნი
და საფიქრალი სამ-ძმისა.
სამ კუთხივ ცეცხლად მოვედვათ
ქვეყნის არეს და მარესა:
ჩავძახოთ შავსა ქვესკნელსა,
შევყეფოთ მზეს და მთვარესა.
ან ზეცა გვეტყვის, ან მიწა
გვაჩვენებს მისსა გზა-კვალსა
და მაშინ თავზე დავეცეთ
სულთა-მხუთავად მზაკვარსა.
ვფიცავ ვაშკაცის მარჯვენას,
ვფიცავ ძმობას და მტრობასა,
ვანანებ, სადმე თუ შევხვდი,

ქვეყნად გაჩენას, შობასა!
ვანანებ ტურფა ყმაწვილის
დაჯაბნას, გულის ტკენასა!
ხახას გავუხსნი პირ-მყრალსა,
ხელით ამოვგლეჯ ენასა!

ბადრი: დევების მეფე-მჭლეტელო,
ძმაო ამირან, გმირთ-გმირო!
მე შენი ქება დიდება
დღე და ღამ უნდა ვიყვირო.
შენს მძიმე მაჯას რა უძლებს?
ვისი რა თეთრი დევია?
გაუმარჯვნია ყმაწვილზე
ბაყბაყს, რომ შემომთხვევია.
მაგრამ დღეს შენ ხარ ჩემი ძმა,
ჩემი ძეც შენი შვილია;
თეთრსა დევს იგი მოუკლავს,—
ეგ დევი შენი წილია!
შენ ამოკაფე მის სისხლი,
ეგ სასახელო შენია;—
ერთიღა ეგ გყავს მეტოქე,
სხვა ვინღა შამოგრჩენია?

უსუბი: რათაო, ბადრო?! არ იცის
ხათრი და შიში რისხვამა.
მე გადავყვები ჩემს ძმის წულს,
თუ რომ პატრონად მიწამა.
გინდ შემყლაპავდეს, ვიცოდე,
მარწყვივით თეთრი ღევია,
მე მაინც მივალ პირ და პირ,
ეს ჯინი გამიწევია!
მერე ვის რა სურს, ისა ჰქნას;

მოვრჩე მე ჯავრს და ვარამსა,—
უნდა პირიდან ვადინო
სისხლი თეთრ დევსა, არამსა.

ბადრი: ავდგეთ, წავიდეთ, დრო არის,—
ბევრი გვაქვს საფიქრებელი,
ან გულის აღმაფრენელი,
ან თავის დამამსებელი.

მესამე სურათი.

შინაური.

დაშორდებიან ძმანები ერთმანერთს და ცალ-ცალკე წავლენ დევის საძებრად. შემოეყრება ამირანს თეთრი დევი და შეჰკივლებს ამირანი: ახლა დაითვალა შენი დღეო! დევი სხვაგან უკვალავს: ნუ მამკლავ, ამირანო! ამა და ამ ადგილას მზეთ-უნახავია, ამომავალი მზე არის, ვეფხვია მარდი, ლომ-გული და დღემდე არავინ მორევიაო. ამირანი ამ ქებით იმ მზეთ-უნახავის ძალ-ღონის შურში შევა. ამირანს იქით გაისტუმრებს თეთრი დევი და თვითონ გადიცდენს თავზე ხიფათს.

სცენა: ამავე კოშკის ახლო-მახლო გზა შარა. ამირანი და თეთრი დევი შეეყრებიან ერთმანერთს და ამირანი შესჯყივლებს.

ამირანი: გაჩერდი, დევო ბაყბაყო,
შენ თეთრო დევო, ვერანა!
შენი დღე ჩამოთვლილია,—
ამოვიგდია ქვეყანა.
შენ მზე-ჯაბუკი დოყსა გდებს,

ძმისწული უსუპისია.
ვინც ჩაგაძღლებს, ჩაგახრჩობს,
მის ხრმალი ალალ მისია!

თეთრი დეკი: არა, ამირან, ნუ მომკლავ,
პირი დაგრჩება რძიანი,—
მზეთ-უნახავსა გასწავლი,
ამომავალი მზე არი.
ვეფხვია მარდი, ლომ-გული,
ნაზია, მაგრამ ცხარეა;
თვით გემრიელი ლუკმაა,
დაპატრონება მწარეა.

ამირანი: ვეფხვია მარდი?!

თეთრი დეკი: ელვაა!

ამირანი: ლომ-გული?!

თეთრი დეკი: ყველას მძლეველი!

ამირანი: (ჩიჩქნით) შენ მყრალო დევო, ენა გაქვს
მჭევრი და დაულეველი.

თეთრი დეკი: მჭევრ-მეტყველება მის სრისა
მესრეპის წვეტებს ასხედავს:
ძირს მღილი, მაღლა ფრინველი
მის შიშით გავლას ვერ ბედავს.

ამირანი: ვეფხვია განა, ლომ-გულიც?

თეთრი დეკი: მზე-ქალის მოჩხუბარია.
იმისი სახის, როგორც მზის,
დაიწვის შემხედვარია.
მოსისხარია ლაჩარის,
დევ-გმირის მაძებარია:
ვინც იმას გვერდსა დაუდებს,—
მხოლოდ ის მისი ქმარია.

ამირანი: ვაი შენს დღესა, თუ სტყუი.

ამ ჟამად გადამრჩენიხარ.
მე იმ მხნე ქალის ლონისა
შურში და ჯიბრში შევდივარ.
მთლად დედა-მიწას მოვივლი
ფეხ-და-ფეხ, კვალა-კვალადა
და, თუ რომ ვერსა ვიპოვი,
არ შამეყარო კვალადა.

მეოთხე სურათი.

შინაარსი.

წავა ამირანი ამ მზეთ-ულახავის საძებრად. ერთ სამხრეთის მეფის კარზე მივა. მეფეს შეაყვარებს თვის ვაშკაცობით თავს და იშვილებს ის ამირანს. როცა გაანადგურებს მის მტერს და დუშმანს, ამირანი წავა ისევ დევის ნარჩევ ქალის საძებრად. ორ ქალს შაირთავს. ახლა მიადგება ერთ ოდა-სარაიას რკინის მესრებით შამოვლებულს. ყველა მესერას ერთს გარდა კაცის თავი აქვს ჩამოცმული. ერთად-ერთი გზა ორღობეში მიდის და ოდა-სარაიას უნდა ჩაუაროს. ერთი სარახე ქვაბი ფლავი დუღს ორ-ღობის შესავალში. ამირანი დიდი ხნის მშიერია, გადმოხტება რაშიდგან. მთლად-ერთიანად შესჭამს ამ სარახე ქვაბ ფლავს, მოევლება ისევ შავს და შეიგდებს ორ-ღობეში. სარაიადან გადმომდგარი არაბი (ტუჩ-გაჭრილი) ჭაბუკი შეაჩერებს მას. მიიწვევს შინ. ამირანი უშიშრად შევა. არაბი გამოიწვევს. საჭიდაოდ: ერთ მესერას თავი აკლიაო. ამირანი დასცემს. დაჯაბნილი არაბი შეეხვეწება—საკინძი გა-

მიხსენიო. ამირანი გაუხსნის და რაღას ხედავს?! ძუძუები! თურმე ეს არაბი ქალია. ამირანს გული წაუვა ბროლის ძუძუ-მკერდის დანახვაზე და წაბარბაცდება. ამით ისარგებლებს არაბი და მოახტება გულზე: მიაძახებს: ცოლად შემირთე, თუ არა მოგკლავო! ამირანი დაჰყაბულდება.

სცენა: უდაბურ კლდე-ღრიან ტყერნალ ორკაჯოში ოდა-სარაია სდგას. გარშემო შემოვლებული აქვს მესრები კაცის თავებით შემოხირხლული. ერთად ერთი გზა გაუვლის ამ ოდა-სარაიას მესერების გასწვრივ ერთ მხარეზე ვიწროში. ამირანი ვიწროს შესავალში დაინახავს დიდ ქვაბს ფლავიანს და ერთიანად ამოსვლეს დიდი ხნის მშიერი. ამას ჰყურობს ოდა-სარაიის აივანზე გადმომდგარი არაბი და ბრაზი მოსდის გულზე. ბოლოს შეჯდება ამირანი რაშზე და შეიგდებს ვიწროში.

არაბი. ვინ ხარ, რომ ასე თამამად
რაშს მოაგელვებ ქარადა?
ვინ ხარ, რომ ფლავი შეჰყლაპე,
მე არ ჩამაგდე ფარადა,
მაშინ როდესაც მესერებს
სარქველადა აქვს თავები,
და უცხოს გულსა უპობენ
საშიში სანახავები?

ამირანი. რა გულსაც შიში უგრძვნია,
მისი გმირობა სად არი?
არ უნდ შეიხოს თავს ხელი,
რომ დაეყაროს ლადარი.
სიკვდილსა ვინცა მიურბის,
ნაცარ-ქექია, ქალია!
ჩემი გულია ტალ-კვესი,
ჩემი მარჯვენა ხრმალია,
და თამამობაც სულია,
ნალესი ხრმალის მმართველი,—

იმ ხრმალის მიქნევ-მოქნევას
შორს გაქვს ჩემი სახელი!

ვრაბი: მომწონს ეგ სიტყვა-პასუხი,
დასაჯერებლად თქმულია,
თუ რომ საქმეცა, ვით სიტყვა,
მაგ გვარად გაბედულია.

სმირანი: ნაცარ-ქექიას შეჰფერის
შიშთანა სიტყვით მაგრობა,
ეგრეთვე გმირსა სიტყვასთან
საქმის უტყუვრად მაღლობა.

ვრაბი: კარგია თავის იმედი;
გაგაბედვინებს საქმეს.
მეც იმედი მაქვს უშიშრად
ჩემთან გაითვე ღმესა.

სმირანი: რატომაც არა, თუ სტუმარს
არ უძღვნი ქვემძრომ ფიქრებსა.
მოღალატობა მახინჯი
როდი ამარჯვებს გმირებსა!
საძრახისია ღალატი—
გათახსირება გმირისა—
წამწყმედი, გამფუჭებელი
მისი ხელის და პირისა.

ვრაბი: მაშ ჩამოხტენი რაშიდგან,
მობრძანდი შინა არესა.
ისე დაგხვდები, მოგივლი
როგორც მზესა და მთვარესა.
(ჩამოსტეპა სმირან რაშიდგან, ივრაღს
ალიერის და ვრაბს გარდასტეპს, მიაბარებს).
ეგ მეტის მეტი ნდობაა,
ან მეტი გაბედულობა.

ამირანი: ჩვენ ურთიერთის გაკვრეტით
დავდევით ხელ-შეკრულობა:
თუ ვემოყვრებით—ვიმოყვრებთ,
ვიმტრობთ—ვემტრობით ერთმანერთს.
არც მტრობას, არცა მოყვრობას
არ დავურიდებთ კასილ მკერდს.

ვრაბი: მე შენ მაქეზებ, ჯიბრს იწვევ
ჩემს გულში ვაშკაცობისას.
სჯობს, რომ ბეგარა მივუზღათ
ჯიბრს მტრობის, ანუ ძმობისას.
ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი!
ვნახოთ ეგ მკლავი შენია:
მესერა ერთი უთავო,
ხომ ხედავ, გამომრჩენია?!
(მიუყრის ალარს)

ამირანი: ვეფხი ხარ მარდი, არაბო,
მაინც შევიკლავ ხელშია.
მე ალარი რად მინდა,
ძალა ჭარბად მაქვს მხრებშია.
დავსჭყიტლებ დავაბურბულებ,
საწყლად გიტირებ დედასა;
ლომივით შემოტევებით,
ნახავ, ჩაგიწყვეტ ენასა.

ვრაბი: ეგ მაშინ დაიტრაბარე,
როცა გამიძვრე კლანჭშია.
მესერის თავზე დაგაგებ,
ხელს რომ წაგავლებ კანჭშია.

(დასჭყეტლებენ და სულ-და-სულ შეუტეკენ ერთმანერთს სასასლის ბაკეში. ეს იმას გადისერის, კოჭამდე დასობა ის მიწაში; ის ამას და ეს მუხლებამდე დასობა.

დიდ ხინს იბრძვიან და ბოლოსაც ქვეშ მოიქცევს არაბს ამირანი).

ამირანი: რას იტყვი, კერპო არაბო,
მწყერს წამოაჯდა ქორია?!
მოწამეც ჩვენის ამბავის—
მე და შენ—ორად ორია!
რაღად შეგრცხვება ტრაბახის,
„მესერას თავი აკლია“?!
ამ გვარი დატრაბახება
მენდე, გმირისთვის ნაკლია.

არაბი: თვით ..ძ მესერის მოწმობა
მარცხვენს. მაწბილებს ჩუმადა.
ახია ჩემზე, რომ ჩემი
ხორციც შესჭამო უმადა.
დამეცი გულში ისარი
თვით ორბის ფრთამდე მტრულადა:
მე ერთად ერთი სიკვდილი
მეცვლება სიხარულადა.

ამირანი: დაჯაბნილს ჩვენში არ ჰკლავენ,
ეს გმირთა ძველი წესია!

არაბი: აბა, გამიხსენ საკინძი,—
გულ-ბოყვი გაგიგლესია.

(გაუსსნიან გულის პირის საკინძს და რა დაუნასავს ძუძუ-მკერდს ამ კაცად ჩაცმულ არაბ-ქალს, ბნედა მოუვა და წაბარ-ბაცდება. ამით ისარგებლეს არაბი და წამოაჯდება გულზე მუხლ დაბჯენილი).

ამირანი ხარ, ამირან!
დაუთქვამს ბედის წერასა,
რომ შენ გაუყრი შენს მზერას
მზის მაჩხუბარის მზერასა,

შენი ძალ-ღონე რომ დარევს
მის დაურეველ ძალასა
და უკან ცოლად იახლებ
შენს მოლოდინე ქალასა.
მითხარი, მამცნე, ამირან,
თუ რომ ერთგული საქმრო ხარ
და ფიცის ნიშნად ალერსით
ნეტარი მზერა გადმომკარ.
თუ არა, ისარს ხხნე გულში
თვით ორბის ფრთამდე გიგმირავ:
ჩემს პირ-შავ ბედსა შენს თავთან
დაუნანებლად გავსწირავ.
(ამირანი გადმოჰკრავს თვალს).

მეხუთე სურათი.

შინაარსი.

სამივე ცოლიანა წამოვიდა თვის მამობილთან ამირანი. შვილობილის ცოლებზე სიხარბე და შური შეეპარა მეფეს. შაგრამ ვერასფერს ვერ ახერხებდა. ამასობაში არაბი ჩაკიდა ამირანს: ნეტა რა მოგერევაო. გაუტყდა ამირანი: კეფაში სამი ბეწვი ბალანი მაქვს. რომ შეწნა და მითი მიმიკრა ცერი ცერზე—აღარაფერი აღარ შემეძლებაო. ერთჯელაც ლხინში რომ იყვნენ ჩამჯდარი მეფისას, დაიტრაბახა არაბმა: ამირანის სული ჩემს ხელშიაო. შეუჩდა მეფე და გამოტეხა. მძინარ ამირანს ამოვლიჯეს კეფაში

ეს სამი ღერი ბალანი, შეწნეს, მიუბეს ერთმანერთზე მით ცერები, დათხარა ვეზირმა თვალები და უდაბურ ტყეში ცხრა მთას იქით გადაგდო. სანამ ამ ამბავს შეიტყობდა არაბი, რომ არაფერი ხიფათი ექნა, კოშკში შეიტყუეს და ჩარაზეს. ამასობაში ბაღრი და უსუპი სძებნიან და ველარც ნახეს ვერც თეთრი დევი და ვერც ამირანი. ნახეს გულ-თოიჯი (გულთ-მისანი, მკითხავი) ქალი და კითხეს ამირანის და თეთრი დევის ამბავი, თუ სად ვნახავთ, სად არიანო? გულ-თოიჯმა ქალმა ასწავლა: მე ვერ გავამხელ ვერაფერს მაგის შესახებ, მაგრამ მაგის შესატყობლად რა ღონე უნდა იღონოთ, გასწავლითო; წადით ერთი ზეს-კნელში მზის დედასთან და მეორე ქვესკნელში დედა-ჩემთან და ისინი აგიხსნიან თქვენს კითხვებსაო. წავიდა უსუპი მზის დედასთან. იარა და ხედავს, რომ ხუთი მამა-შვილი მუშაობს.—სად მიხვალ, კაი-კაცო?—მზის დედას-თანო.—აბა, თუ კაცი ხარ, ჩვენი ამბავიც ჰკითხე: ხუთი მამა-შვილი ვ`კვდებით მიწას და დოვლათი არა აქვს-რა, რატომ არის ესაო? იარა კიდევ უსუპმა და ხედავს, რომ გუთანია გაბმული. გუთნის დედამ ჰკითხა: საღ მიხვალო? —მზის დედასთანო.—აბა ჩემი ამბავიც გამიგე: გუთანს ვავლებ და ბარაქა არა აქვს მუშაობასო. წავიდა უსუპი და ნახა, რომ დაფოლხვებული ცხვარი ჰყრია ძირს და მე-ცხვარე თავზე დასტირის. რომ გაიგო მეცხვარემ, თუ სად მიდიოდა ეს კაცი, დაიბარა: მეც გამიგე ამ ცხვრის და-ცვენის მიზეზიო. იარა, იარა და ერთ ირემს შამოეყარა. უშველებელი რქები გაზრდია ამ ირემს. ერთი მიწაში ჩასობია, მეორე ცაში აუშვერია და თავს ვ`ღარ სძრავს. ირემმა რომ გაიგო სად მიდიოდა უსუპი, უთხრა: აჰყევი კიბესავით ჩემს რქას და ცაში ახვალ მზის დედასთანო. ჩემი ამბავიც ჰკითხე, რა მიშველისო? აჰყვა უსუპი და

ავიდა ღმერთების ჩარდახში. შინ დახვდა მზის დედა და ალერსით მიიღო. მოუყვა, თუ რისთვის მოსულა მზის დედასთან. ამანაც, რა რომ ყოველისფერი მოუსმინა, ნემსად აქცია, ყური დაატანა, გაიგონე, რაც სთქვას მზემ, როცა მოვაო და კედელში შეარჭო. მთვარეს ლოგინზე ეძინა. საღამომაც მოატანა. მზის დედა სამზადისს მიადგა და მზეც შამოდგა განის კარზე. ეცა კაცის სუნი და იუცხოვა, მაგრამ დედამ ანარწმუნა, ტყუილს ამბობო. მერე მზე მოუყვა დედას, რაც ენახა ქვეყნის ზვერაში. ამასობაში გამოაღვიძეს მთვარეც. ვახშამი უნდა ეჭამათ და მთვარე ცისა და დედამიწის საზვერავად უნდა წასულიყო. მთვარემ ძილს თავი ვერ წაართვა, მზე ძიეძალა; მთვარეს გული მოუვიდა: ღამით შენ ერთჯერ მაინც იზვერეო. მოუვიდათ ჩხუბი და ძმამ, მთვარემ, წაავლო მზეს ქოჩორში ხელი, მისწია და მოსწია. იკივლა მზემ: დედა, მიშველე, მამკლაო! მიეშველა დედა და ეს ცომიანი ხელი ლეწა მთვარეს სახეზე. ახლაც აჩნია დედის ცომიანი თითები მთვარეს. გატყეპა და გაადგა უვახშოდ გარედ. მაშინ დაემუქრა ძმა დას: თუ სადმე შეგხვდი ცაში, ვაი შენს დღეს—ცოცხლად გადაგყლაპავო! ვახშამზე ბევრს რასმე მოუყვა მზე კიდევ დედას. ახალ-ახალი ამბებით გაჯერა და მიიძინა. მაშინ გამოიღო კედლიდან მზის დედამ ნემსი, აქცია უსუპად და უთხრა: ახლა ხომ გაიგე, სად არის და რა დღეშია ამირანი და არაბი? წადი და უშველეო. მზის პირის ნაბანი თუ გინდა, ჩადი ძირს და როცა პირს დაიბანს, მიუშვირე რამე. ის არის უკვდავების წყალიო. ირემს რქები მოუნძრიე და წაძვრება. თავი გაუმჩატდება. მეცხვარეს უთხარი: გაკრიჭეს ცხვარი და ადგებაო. გუთნის დედას უთხარი, რომ რკინის ულლის მაგიერ ხის ულელი დაადგას და ისე ამუშაოს ხარ-კამეჩი, ბევრს დახნავსო. იმ ხუთ მამა-შვილს

უთხარი, მამას ნუღარ ამუშავებენ, ცოდვაა, და ღმერთი ერთს ასად მისცემს მოსავალს. აბა, ახლა-კი წადი, სადაცაა, მზეც გამოიღვიძებსო. უსუში დაჰყვა ირმის რქებს. რაც უთხრა მზის დედამ, ისე ჰქნა: პირველად მიაშურა სამხრეთის მეფის კარს და განიზრახა არაბის განთავისუფლება.

სცენა: ღმერთების ჩარდახი მაღლა ცაში. მთვარეს სძინავს ლოგინზე და ხვრინავს. მზის-დედა სამზადისს ადგია—გობში ცომს ჰზელს, შემოდგება განის კარზე მზე.

მზე-ქალი: კაცის სუნი სდის აქ, დედავ!
მზის-დედა: კაცს აქ რა უნდა, რა თქმაა?
რას მასულელებ მზე-ქალავ?
ეგ ჩემი თავ-ბრუს დასხმაა!
მზე. ოჰ, რა ამბები ვიხილე
ცა და ქვეყნისა ზვერაში!
უსამართლობა დიდი
კაცთა ცხოვრების ღელვაში.
გმირი ამირან სამხრეთის
ხელმწიფემ იშვილობილა,
და იმ ხელმწიფის ორგული
მის შემდეგ აღარ შობილა.
წავიდა ბედის საძებრად,
დაეპატრონა სამს ქალსა.
ერთი არაბი ქალია,
ვერ უმართავდენ მას თვალსა.
მისი მომრევი არ იყო:
თვით ჩემი მაჩხუბარია.
მისის სახისა მჭვრეტელსა
ბუნებას გაუხარია.
ამ ქალზე დევმა უთითა,
თვით თეთრმა დევმა ბაყბაყმა,

მკვლელმა უსუპის ძმის-წულის,
იმ მავნე-სულმა, ბაყაყმა!
ცდუნება თვალ წინ დაუდვა
ამირანს დაუძლეველსა:
არაბის ღონე შეუქმ
და გააჯიბრა...

მზის-დედა: ტყე-ველსა,
თვალისა გადუწდომელსა
ჰფლობს იგი ქალი, მეც ვიცი.
ულეტს, ადებს მოკურკუზვებს,
არ გადის ხვეწნა, არც ფიცი.
თვის სრის გარშემო მესრები
მათი თავებით უმკვია.
გმირთა-გმირს ეძებს პატრონად,
მხდლები-კი მუდამ უმკია.

ეზე. ვგ არაბია სწორედ ის,
ამირან დაეპატრონა.
მასთან გუნება და სული
სიყვარულითა შაჰკონა.
თვის მამობილთინ მიბრუნდა,
იქ ბინადრობდა ტკბილადა.
მაგრამ არაბი ჰკითხავდა
ამირანს ხშირის-ხშირადა:
ნეტამც რა დაგძლევს, ვინ მოგცა
ამდენი ღონე წილადა?
მითხარი, მამცნე, ამირან,
მითხარი გულ-ახდილადა!
ამირანისა ყოყმანსა
ბოლო მოეღო მოუტყდა
და იმა დღიდგან საბრალოს

ბედნიერება გაუწყდა:
„ბედის-მწერლების რჩევითა
კეფაში სამი ბეწვი მაქვს.
მით რომ შამეკრას ცერები,
ძალ-ღონეს ჩემსას შესწყვიტავს“.
ეს ჩაინერგა არაბმა.
ერთჯელ, ხელმწიფის გვერდშია
არაბმა დაიტრაბახა:
„ამირან ჩემსა ხელშია!“
ხელმწიფემ ყური აკვიტა,
შვილობ ლს ეხარბებოდა:
დაპატრონება ცოლების
მისის მას ენატრებოდა.
შეუჩდა არაბს, აცდინა,
ამირან გაათქმევია.
ქალის ტარტალა ენასა
ეს ცოდვა მუდამ სჩვევია!
შაიტყუილეს არაბი
კოშკში, ჩარაზეს მაგრადა;
ცერებზე მოსდვეს ამირანს
ბეწვი სულ სამი-სამადა.
გამოელვიძა, დაინძრა,
მთლად დაიდინა სისხლი მან,
მაგრამ ცერები ვერ გახსნა
და მოიქანცა რისხვისგან.
შეჰკრეს, შეკოჭეს, უსიერ
მთაში გადასვეს კარადა,
რა კი ორთავე თვალები
დათხარეს საზიზღარადა.
ერთი ღა ფინა თან ახლავს,

ჭირისუფალი მისია.
ოხრავს და ხვნეშის ამირან,
მეტად დიდ გასაჭირშია.

მზის-დედა: შენ გაიხარე, მზე-ქალავ,
რომ მასმენ უცხო ამბებსა;
მაგრამ რა უნდა ეშველოს
ამირანს, იმ გმირს შავ-ბედსა?

მზე. მე მივუვლინებ სამსა მტრედს,
ვამხილებ საიდუმლოსა.
თვალის ჩინს მივსცემ, მივუსევ
მამობილს უსულ-გულოსა...
მაგრამ ამ საქმეს დრო უნდა,
საქმისგან მოცალებაცა.
ახლა დაღლილი მოვდივარ,—
დავზვერე მიწა, ზეცაცა.

მზის-დედა: (მძინარე მთკარეს) ადექი, ვაჟო, გაფხიზლდი.
დროა, მოგართმევთ ვახშამსა,
გაშვებულია ცა, მიწა
ელის მზვერავის სალამსა.

მთკარე (მწყრალად) ისევ მზე-ქალა წაეთრეს.
მაგანაც ჰზვეროს ღამითა.
მე მეძინება, ხომ ხედავს;
წავალ დღისულის ძალითა.

მზე. ამდენი სრბოლვით მომექცა,
ყმაწვილო, ორთავ ფეხები!
ლამის დავვარდე, შენ წადი;
მე ფეხზე ვეღარ ვჩერდები.

მთკარე. ნუ მიბრთხობ ძილსა, გამშორდი,
სულ მე ვერ ვათევ ღამესა.
დღისით ზვერვის დროს დედასა
მოვუტან ამბავს რამესა.

მზის-დედა. შენ ელამი ხარ, თუ არა,
ლამით ნახავდი მეტსაცა,
რაც ერიდება დღის სულსა,
ეკრძალვის აქ და იქაცა.

მთვარე. არ წავალ, არა. უგზიროდ
ეგდოს ცაცა და ქვეყანაც,
მომბეზრდა ამდენი ზვერვა,
აწ დავისვენებ ერთ ხანაც.

მზის-დედა. როგორ თუ ასე გაურჩდი!?
თავს ნუ გაიხდი ავადა...

მ ზ ე. ადექი ზეზე, ზარმაცო,
გასწიე საზვერავადა.

მთვარე. (წამოვარდება გასულებული, წაკლებს მზეს თმაში ხელს
და მისწვდ-მოსწვდეს).
არ მომეშვები, ტარტალავ,
შენ ჭორიკანა მზე-ქალა?!
ლამ-ლამე ბოდვით, ვერ ხედავ,
მთვარის პირ-სახე შემკრთალა?

მ ზ ე. მ. შველე, დედავ! გამხეცდა
ჩემი ზარმაცი ძამია.
ჩანთქმას მიპირებს თავის დას,
როგორც რომ კაცის-ჭამია.

მზის-დედა. (ჩაერევა შეილებში და ტომიან ხელს ლეწავს სასუ-
ზე მთვარეს).
შენ ავაზაკო, რას ბედავ?
გადი ახლავე კარშია.
შენ უვახშმოდაც იზვერავ;
მე როგორც გატყობ, არ გშია.
(გამოეკიდება ნიგუზალით და გაგდებს კარში).

მთვარე (რისხვით უქნევს თავს მზეს).

თუ სადმე შეგხვდი ცაზედა,
ველარ გიშველის ეგ დედა:
როგორც მარწყვს, ისე შეგულაპავ
მაგ გაურჩების ბრალზედა.
(მთვარე წავ).

მზის-დედა. ერიდე, ძლიერ ერიდე
მთვარეს ზარმაცსა, თავ-ხედსა,
თუ არა, სადმე თუ შეგხვდა,
დაგაწყევლინებს თავ-ბედსა.
ჩემთან კი შიშობ ნურა-რას,
ველარ გაანძრევს ენასა;
ჩემთან აწ ველარ გაბედავს
შენს შედავებას, წყენასა.

მზე. რადგანაც ასე მჭომაგობ,
ამდენად იჩენ ზრუნვასა,
უფრო გულ-დასმით გიამბობ
კაცთა ცხოვრების პრუნვასა.
„სანადიროდ წასულიყვენ
ამირან და ძმანი მისი.
ცხრა მთანი რომ გადაევლოთ,
მეათე-კი ანგეთისი,
მეთერთმეტე მთაზე ნახეს,
კოშკი იდგა სიპი კლდისი.
ამირანმა წიხლი ჩაჰკრა,
იქ აება კარი მისი.
კოშკში შავი კუბო ნახეს,
შიგ ძმის-წული უსუპისი.
თითებსა და თითებ შუა
წიგნი ჰქონდა ქაღალდისი.
წაიკითხა ამირანმა,

ყოველივე იცნო მისი:
თეთრი დევის მოკლულია,
ჯავრი ჩაჰყვა გულში მისი.
ვინც რომ იმ დევს ჩააძაღლებს,
მისი ხრმალი ალალ მისი.
მაშინ დასხდენ სამი ძმანი,
თათბირი ჰქნეს საკადრისი:
თეთრი დევის საძებარად
გზა აიღეს სამივ მხრისი.
ამირანის მოგახსენე,
ახლა გითხრა ორი ძმისი:
გულ-თიაჯი ქალი ნახეს,
შეიმეცნეს აზრი მისი.
მან ამხილათ: „უსუპ, წადი,
დედა ნახე ღმერთი მზისი.
ამირანის ამბავს გამცნეს
დღის მზვერავი ქალი მისი.“
ბადრსი უთხრა: „საიქაო
მოიარე გზა-შორისი.
საიქაოს მე მყავს დედა,
მას მოჰკითხე ბაყბაყისი.“
დიდი ხანი გამოვიდა,
ორთავ ძმასა ვატან თვალსა,
მაგრამ ამა ღილას აქეთ,
ველარ ვამჩნევ იმათ კვალსა.
მიწა გასკდა და ჩაჰყლაპა,
თუ ავიდენ მაღლა ცასა,—
აღარ ვიცი, მაგრამ ვსწუხვარ,
სანამ ვსცნობდე მათს ამბავსა.

მზის-დედა. ჰა, მამლებიცა აყივლდენ,

დაიბანე ბარემ პარი.
აწი, სადაც არის, მოვა
ის შენი ძმა, ღამის გზირი.
უცხო ამბებს მომიყევი,
გაუხარდი დედაშენსა.
იმედი მაქვს, მომიყვები
ხვალ ვახშმის დროს დანარჩენსა.

მზე. ეგ ყივილი პირველია,
მოვატყუებ ძალით თვალსა,
თვარა თვალი უძილობით
აღიბეჭდავს სიხლის კვალსა.

მზის-დედა. წაიძინე, მე ვიფხიზლებ
და მეორე ყივილზედა,
რომ ქვეყანას ისარი ჰკრა,
გაგაღვიძებს შენი დედა.

(მზე მაწვება და ფშვინვას ამოუშვებს. მზის-დედა გამოაძრობს. სარეცელს კედლიდგან, გაადაქცევს ისევ უსუფრად).

ყური გქონდა და მაშ იცი
ამირანის ყოვლის ფერი.
უშველე და გაახარე:
თუ მოძმე ხარ, გაინძერი.

უსუფი. მოწიწებით მუხლს მოვიდრეკ:
გევედრები მზის პირ-ნაბანს,—
დაწამებულ გულს მოვურჩენ
მით საყვარელს ჩემს ამირანს.

მზის-დედა. გიპასუხებ შენს კითხვებზე,
მით აგიხსნი დაბარებულს
და ამ გვარად გაგისტუმრებ
დამტკბარსა და დაამებულს.
რა კიბესა ამოჰყევი,

იპ ირმის რქებს ჩაჰყევი ძირს.
იმ ირემს რქა შეუნძრიე,
დაყრის და სხვას ამოიყრის;
ინავარდებს, იფორთქინებს,
გამჩატდება, განახლდება;
მეცხვარემ ცხვარს მატყლი მოსჭრას,
ცხვარის ფარაც მყის ადგება;
გუთნის-დედას ასე უთხარ:
რკინის უღელს ნუ დგამს ხარებს,
ხის უღელში მჩატედ სწევენ:
ბევრს დახნავს და გაახარებს;
იმ ვაჟებსაც მოახსენე:
მოხუც მამას ნული რჯიან,
მადლიანი შრომით მაშინ
ერთსა ასად მოიმკიან.
რომ ჩახვიდე ირემთანა,
განთიადსა მოუთმინე.
ზეცის ცვარი რომ წამოვა,
მას ჩათარა მოუფინე
იგი არის მზის ნაბანი,
ეგი თვით მკვდარს ასულდგმულებს.
გაილალე, არ დახვდე მზეს,
სადაც არის, გახსნის თვალებს.

(უსუბი გაკა გასის-კარიდგან. მოისმის მეორე კარებიდგან რაკუნი).

ვინა ხარ? ვინ ხარ, ვერაგო,
უმტვრევ მზის-დედას კარებსა?!
მთკარის-სმა. დიდი ხანია გათენდა,
მზე რად არ ახელს თვალებსა?
ბამლის ყივილი გახშირდა,

ჟღივილი შეჰქნეს ჩოტებმა,
ნელ-ნელა პირი გააღეს
ღიმილით ყვავილთ კვირტებმა.
დიდი-პატარა მზეს ელის.
„მწირველი“ უცდის ლოკვასა,
გულში რა ითხრობს ტანჯული
ქვეყნის ვარამს და ცოდვასა.
გავიდეს კარში, გაეთრეს,
ნუღა მანახვებს სახესა:
მე მტანჯავს მაგის დანახვა,
როს სხვას ახარებს მნახველსა.

მზის-დედა. ადე მზე-ქალავ, სულიკო!
გელიან ცხოველ-მყოფელსა,
ენაზე ლოცვა გადმოდის
ლოდინში არსსა ყოველსა,
მოჰფინე შუქი ქვეყანას,
აბერტყე კალთა მადლისა,
იყავი მიმნიჭებელი
სამართალისა მართლისა.

მზე. (გამოიღვიძებს მდიმარე).
მომეცი წყალი, დედილო,
გამფხიზლებელი, ცივია.
ცის ნამსა კვირტი პირს უღებს,
ცის ცვარს გაჰყვება სხივია.
(აზმორებს და ბანს ჰარს)
მიწყრება მთვარე ძამია,
რა მეშველება ქალასა?!
არ გადამკიდოს, ვმოშიშრობ,
რაიმე ხათაბალასა.

მზის-დედა. ერიდე, შვილო, გარიგებ:

შენი ძმა ერთობ მყრალია;
უძილარობით, მე ვიცი,
ფერ-მკრთალია და მთვრალია

მზე. (კაცებს კანის-კარს და შედგებაა დიერეზე კანსასვლელად)
მშვიდობით, დედა!

მზის დედა. მშვიდობით!

(კაცებს კარს და შამოდგაკს ფეხს მთვარე. შესდგება).

ველი ცხელ-ცხელსა ამბავსა.

მთვარე. აშოროს ღმერთმა მტერიც-კი
დიაცსა ანჩხლსა და ავსა,
მეტადრე ჰორიკანასა,
ენა-ტარტალა ქალასა!
აჭკიდებს შინა და გარედ—
სულყველას ხათაბალასა.
ღმერთთა ჩარდახში ასეა,
რაღა იქნება ქვეყნადა?
სხვა რა დამართა არაბმა
ამირანს გულის მწველადა?
ამირანისა დანახვამ
დამწვა გულ-ღვიძლი ცოდვითა:
ბაბუ-წვერასა ჰგავს კიდე,
ლრეს უვლის გარსა ბოდვითა.
ქვა და ხეც სტირის მის ბრალით
ჭირისუფლური მოთქმითა.
რა გმირი იყო! ქვეყანას
ავსებდა წმინდა ოქმითა.
ახალ-ახალი ამბების
მოყოლა გსურდათ სახლშია,
მე უბოდიშოდ გამაგდეთ
მშიერ-მწყურვალი კარშია.

ნახავ, შენ დაო უხათრო,
რაც მოვა ჩვენსა თავზედა!
გითხოვ, რომ ამიერიდგან
არ გაღმეღობო გზაზედა,
როცა გუშაგად დავსრბოლავ
პირ-გაბადრული ცაზედა,
ან როცა ღამის თევითა
რული მომიდის თვალზედა.

მეექვსე სურათი.

შინაარსი.

ბადრი-კი სიქიოში წაიდა. საწყირო იყო, რომ მურგვი აღზლის ძიეის მანძილი გაეკლო, რომ ჰირ და ჰირ სიქიოში შესულიყო. მაგრამ რა რომ უახლოვდებოდა სიქიოს, რაღაც სასასწაულო ამბებს სმენულობდა, ნახულობდა. რომ გადაარა ცხრა მთა, ნახა, რომ ერთ სოფელში სამი სარასე ქვაბი სდგას და სამეგეს აღაზღაზებული ტეტლი უნთია. ორ განაპირაში წყალი ასია და შუანაში-კი არა. საპირადან ნაპირაში კამარა-საეთ გადადის ანდაღარი წყალი და შუანა რომ ისარტება და იწვებ, ერთი წვეთი არ ეღვრება შიდ.—რა არის ესაო? იეთხა. მიუგეს, რომ დრო მოკა,—ვისაც ექვს, შემლებულიც ისეე იმაა მისტემს და ვისაც არა,—ის ისე დაიწვის და დაიდაგება ამ შემლებულებში, უფრასაც არ ათხოვებენო. გაიარა კიდეკ ცხრა-მთა და ნახა ერთ სოფელში, რომ ძაღლი წვეს და შუტალ ბეკე უეეფაკეს ლეკვები. იეთხა: ეს რა ამბავია?—ეს იმას ნიშნავს, რომ დრო დადგება, როცა უნტროსი უმფროსს

ალარაფერს დაცლის, წინ წაუსწრებსო. კიდევ გადაიარა ცხრა მთა და იქ ნახა ერთ სოფელში: აგრეზნულ ხეების ტოტებში ლამაზ-ლამაზი, ფერად-ფერადი ჩიტები ფრთქიალობენ, თავლს იბირავენ, გალობენ—ეურს ბორკავენ. თეთრიანი გალობით დამთვრალები ჩამოცეინდებიან შარის ბღვერში, გაიმურტლებიან, ბინაში მიწას იყრიან.—ეს რალას ნიშნავსო, იკითხა.—ეგ იმას ნიშნავს, რომ დრო დადგება, როცა ერი-ბერი სულ-ყველა შესხედავად ლამაზობენ და ჭეკავიან, ეურს ათალისებენ სიტეკვა-ბასუნით და გულში-კი ეოკელგვარი სიბილწე უტრიალებთ და კიდეც ჩაიდენენ ეოკელგვარ სიმდაბლეს. ამასობაში შეატანა სიაქეოში და ნახა, რომ ხარი ბია კოლინდარში და ისე სმელია, ისე სმელი, რომ ძვალი და კანია კიდევ. ჭკეითხა ხარს: ეგ რას ნიშნავსო? მიუგო: ჩამელელი ბეკრი მინახავს, ამომკელელი ალარო. ამოიარე და მაშინ გეტეკეო. ჩაიარა ქვეკეთ და ნახა: ხარი ბია კალდე-ღრიანკელში და სულმთლად გასოსმანებულია. რომ ჭკეითხა, რას ნიშნავს ეგო, იმანაც ისე მიუგო, როგორც ბიჩკელმა. დაჭეკა ქვეკეთ. ნახა, რომ ერთი დედა-კაცი მიწას ჭიხელს და რომ ჩაკჯენს თოარნეში, ბურად იქცეკა. კითხკაზე ამანაც ისე მიუგო ბადრს, როგორც სხეებმა. დაუეკა. ნახა, რომ ქალი ბურს ჭზელს და რომ ჩაკჯეხს, მიწად იქცეკა. რომ ჭკეითხა, ეგ რა ანიანა, ამანაც ისე მიუგო, როგორც წინაებმა. ახლა კიდევ ნახა, რომ ცოდ-ქმარი ცულის-ტარზე წეკრახ და ისე ესუტებიან ერთმანერთს, რომ კიდევ თაკისუფალი ადგილია ამ ცულის ტარზე დარჩენილი. მერე ნახა ცოდ-ქმარი. ესენი იწკენ ხარის ტეკეზე.—კაიწი, კაიწი, კერ დაკეტიეო, უძახოდნენ ერთმანერთს და წინლებით ამტკრეკდნენ ცხეირ-ბიერს. ბოლოსაც ნახა თაკისი შვილი და გადასეია ედდით. მოუეკა, რაც ენახა და დაეკითხა, რას ნიშნავსო? შვილმა აუხსნა: ის სმელი ხარი სიაქეოს წეწკი ეოფილა, ბატრონის უსიამოვნო და აქ ჯკროკან სასჯელს იღებსო: ბალახში ბია და კერ სჭამსო. ის მსუ-

ქანი-ვი პატრონის ერთგული და მოსიამე ყოფილა და აქაც სულ სუქანი, თუნდა კედელზედაც ამბობ. მოზელილი მიწა რომ პურად ექცეოდა, ის ქალი მაკდიანი იყო,— გამელელ-გამომგელელს უკვლის მოუტეხდა სოლმე პურის და აჭმევდა. ასლა ჯეროვან საზღაურს იღებსო. ტალახად რომ პური ექცეოდა, ის ძუნწი იყო და საწყალის გაუგიოსავიო. ცულის ტარზე რომ ტოლ-ქმარი იყვნენ ერთად ჩასუტებული, სიაქოსაც ერთმანერთის მოუკარული და ერთგული იყენენო. სოლო სარის ტუკუზედაც რომ არ ეტეოდნენ — სიაქოსაც სიცოცხლეს უმწარებდენ ერთმანერთსო. ეს რომ დასარულს, მიუთითა იმ გულ-თოიჯ ქალზე, რომელთანაც მოვიდა ბაღრი ამბის სასაუბროსავად. ამ გულ-თოიჯ ქალს მეკერეები დასდეკენ. საიქოში და ეს ეუბნება მათ. ოკეკლიეე წუთის-სოფლის ამბავს წუალში ისედება და იქ ჭეთხულობს. ანაზრებს ბაღრის მისელასაც და მოკა მასთან. დასწრეს და ოკეკლისეურს მოუყვება ამირანის და თვის კინაობას. ესაა ამირანის დედა. სწორედ იმ დროს, როდესაც თეთრი დეკი სწვავდა მას ის-ის იყო ტრფობის ალში, შანგრია კოშეი წუთის სოფლად ბაღრის ძმე და უჩქარ დეკს სრმალი. დეკის ალი მის წიდად მოდგა უსუფთის ძმის-წულს და მოჭკლა იგი. დეკის ტრფიალისაკენ შეეძინა ამირანის დედას ის გულ-თოიჯი ქალწული, რომელსაც დეკეთსა ბაღრი და უსუფთი ამირანის და დეკის სიდეოფას. ამ გულ-თოიჯ-ქალწულის ყოფას გადაჭეკა ამირანის დედა. გულ-თოიჯობის ხიჭიც დეკის ტრფიალის შემდეგ გარდმოეცა მას. ის თეთრი დეკი ისეკ იმ კოშეი ბეფდობს, სადაც ცხედარი უსუფთის ძმის-წულის სასეკნია. ეს გუბო თვისთვის ჭქონდა დამზადებული და უსუფთის ძმის-წულისთვის დეკოფა და მისი წიგნიც ამირანის დედას დაეწერა. დეკი ტეცხლის მქონისვეა და თუ თვისვე ალში არ დაეწვა — მისი მორეკა არ იქნებაო. იმედი მაქვს ამირანი მომიკლავს ბესა. ოკეკლისეურს დაწერილებით მოუკა და გაისტუმრა უკან.

სცენა: საიქიო. ბადრს შეეგებება თავისი ძე.

ბადრი. ვის ვხედავ, ვისა? ჩემსა ძეს
უდროდ დაკარგულს საწყლადა?
შენ რადგან გნახე, სიცოცხლე
მინდა მე რაღა შავ-წყლადა.
მაგრამ ის აუცილებელ
თან ლანდად მომყვა აქაცა
და ჩემს ?ედნიერებაში
სული და გული მომტაცა.

ბადრის ძე. არა, მამილო, ნუ ჩქარობ!
ნუ სტოვებ ქვეყნად შენს ვალსა!
იქ დამრჩა დევი ბაყბაყი
და ნუ შეარჩენ მას ბრალსა.
თანა გყავს გმირი უსუპი,
გმირობის მადიდებელი,
შური იძიეთ ჩემი კვლის
საჩქაროდ, სათითებელი.
დაკსტოვე იგი ქვეყანა,
იმ ქვეყნის მომყვა ჯავრია,
თვით ჩემი მამა მშობელი
საიქიოის ?გზავრია;
სასწაულები ამრავლა
დევმა,—აგვრია-დაგვრია:
ნეტავი ისე მაცხონა,
ის დევი დაგაჩაგვრია!

ბადრი. მაგას ნუ ეტყობ, სულის დგმავ!
შენ მოკვდი—ამირანი გვყავს.
რაღა თქმა უნდა, რომ იგი
დევისა მოდგმას გასწყვეტავს.
გაჟუჟა, სადაც მიუწვდა

შენის ხრმალითა მკლავია.
როგორც ჯირკები, დაგორავს
აქ და იქ დევის თავია.
მაგრამ მაგ თეთრ დევს გადაჰყვა—
სამისნრა—საკითხავია!
ამოდ დავწყდით ძებნითა,—
ორივე უნახავია.
გულ-თოიჯ ქალას ვეკითხეთ
მე და უსუპი ამადა.
სადაც გვირჩია, მივდივართ,
არ ვჯდებით სმად და ჭამადა.
ის ცაში და მე ქვესკნელში
ვიჩქარით საკითხავადა.
ჰისი რა გითხრა, აქ მოველ
მე ასე—თავის-თავადა.
ღაზლის მურგვისა მანძილზე
გადმოვირბინე ტყე-ველი.
ვიხილე, რისაც არ ვიყავ
მნახველი, არცა მსმენელი.

ბადრის ძე. აქეთ დასხედით ჭანდრის ქვეშ
დაღლილი-დაქანცულია;
ანკარა წყაროს წყალითა
ჯერ გაიგრილე შუბლია,
მერე დაწყობით მიამბე
ნასმენი და ნახულია.
მამისა ნახვით, ბაასით
დასტკბა, დაამდა სულია!

ბადრი (გაიგრილებს შუბლს და მიჯდება ოვისის ძის გვერდით ჭანდრის ქვეშ).
ვიარე და ვლიე გზები,

მეცხრე მთაზე გადავდექი,
ჩემს ქვეშ ჭალა გადიშალა,
ზედ სოფელი, სოფლის ხერგი.
მე ვსთქვი: აბა, საიქიოს
ალბად ახლა მივადექი,
თუ ვეღირსე, ესეც ახლა,
ჩემი ძისა ნახვას-მეთქი!
დავინახე: ღრმა მოხუცი
სამ ქვაბს უნთებს ღაზღაზ ცეცხლსა.
იქით-აქეთ წყლიანია,
შუა ქვაბში როდი ესხა.
შუა ქვაბი იდგოდა,
ნაპირიდან ნაპირაში
ქაფი ისე მიდიოდა,
წყალი გარბის თითქო ღარში.
ერთი წვეთი არ ხვდებოდა
შუა ქვაბსა დახვარტულსა,
და ვიკეთხე: რაა ნიშნავს ეს?
რა შვრება ამ სასწაულსა?
მიპასუხეს: ღრო დადგება,
ვისაცა აქვს, მას მისცემენ;
ვისაც არა—დაიწვება
ისე,—წვეთს არ აღირსებენ.
ჩავფიქრდი და წამოვედი.
სხვა ცხრა მთაზე გადვიჭერი.
აქაც დამხვდა სხვა სოფელი,
ედვა საიქიოს ფერი.
ვნახე: მაკე ძაღლი ძირს წევს,
მუცელშიდვე უყეჯს ლეკვი,
შავეკითხე ერთ მოხუც-კაცს:

ეს ამბავი რაა? მე ვსთქვი.
მან მომიგო: დრო დადგება,
ვერ გაარჩევ ულაროსს, უფროსს:
არ დააცლის დედას შვილი,
თხას თიკანი წინ წაუსწრობს.
გამოვჰკარი ისევ ხელი,
ცხრა მთას იქით გადვიქერი.
აქაც დამხვდა ლხვა სოფელი,
ედვა საიქიოს ფერი.
ვხედავ: ხეებს მოდებიან
ჭრელა-ჭრელა რამ ჩიტები,
გალობენ და გულს ატკბობენ
საოცნებო მათი ხმები.
თვისავ ხმებით დათვრებიან,
ჩაკვეიან შარის ბღვირში,
ისვრებიან სამაწანკლოდ
და იყრიან მიწას პირში!
გამიკვირდა და ვიკითხე:
ეს რა არის, რას ნიშნავს-თქვა?
—დადგება დრო, მიპასუხეს:
თან მოჰყვება წვა და დაგვა!
ვინც თავის თავს ალამაზებს,
ვინც მოსტაცებს ყველას თვალებს,
ტკბილი ენით ვინც მოხიბლავს
ქვეყნის ყურს და აკანკალებს,—
ის იქმნება სალახანა,
ქვეყნის მტერი და ორგული,
მისი ფიქრი, მისი გრძნობა
ბოროტებით თვით ორსული.
ერი-ბერი გეგონება

პატიოსნად მრჯელი-მთქმელი,
რას იკადრებს?! გამოდგება
უპატიურისა მქნელი.
ეს პირები ამ სოფელში
ყვავიან და სოფელს მოსწონს,
მათი საქმე აღარ მოსწონს,
არც გრძნობას და აღარც თვით გონს.
ვიარე და აქ მოვედი,
საიქიოს გარემოში.
გავიხედე: ხარი ება
მწვანედ მობიბინე მოლში,
მაგრამ ისე ხმელი იყო,
არ მენახა არას დროში:
ტყავში ძვალი შეხირხლოდა.
იყო კიდევ მარტოდ ჩონჩხი!
ბადრის ძ. მაგ ხარისა ამბავს გეტყვი:
წუწკი იყო იმ სოფელში.
თავისით არ მოვიდოდა
არასოდეს თვის ბოსელში.
აწვალებდა სხვას და პატრონს,—
ხან დასდევდენ, ხან სძებნიდენ,
არ ზოგავდენ, ყვერს ამტვრევდენ,
მის მოხეშვას ვერ ეღირსენ.
ჯეროვანსა სასჯელს იღებს
ახლა ხარი ამ სოფელში:
კოლინდარში დაბმულია
მაგრამ ღვლერჭი უჭერს ყელში.
ბადრი. ცოტა ქვევით ჩამოვიკილდი:
ხარი ახლა ება კლდეში.
იმისთანა მსუქანი მე
არ მენახა ჯერ ჩემს დღეში.

ბადრის ძე. იმ სოფელში როცა იმ ხარს
გაუშვებდენ საბალახოდ,
იცოდენ, რომ თავის ძებნას
არ გახდიდა საავალალოდ.
სამხრობის ჟამს მოვიდოდა,
გაუყრიდა ქედს უღელში,
სახნავს იმდენს გადუშვებდა,
რასაც ზოგი მთელს ერთ დღეში.
ჯეროვანსა ჯილდოს იღებს:
თუნდა კლდეზე დაბმულია,
მაგრამ მუდამ მაძღარია,—
არც შია და არც სწყურია!

ბ ა დ რ ი. ჩამოვშორდი ცოტა ქვემოდ,
დედა-კაცი ტალახს ჰზელდა,
თეთრ-ფიფქ პურად იქცეოდა,
როს თორნეში ჩააჯენდა.

ბადრის ძე. იმ სოფელში, როცა იგი
ამზადებდა ხოლმე იჯრას,
გამვლელსა და გამომვლელსა
გაუღებდა თვის ქოხის კარს,
ცხელ-ცხელ ნამზადს მიართმევდა
და ლოცავდენ მადლიან ქალს.
ჯეროვანსა საზღაურსა
ამ სოფელში ახლა ჰკრიბავს.

ბ ა დ რ ი. ჩამოვშორდი. ვხედავ ერთ ქალს:
პურს აცხობს და რომ ჩააჯენს,
მიწის კვერად გადიქცევა
და თვისს ჩამჯენს გულსა ატკენს.

ბადრის ძე. იქ ეგ ქალი ძუნწი იყო,
პურშავი და შეუბრალი;

მზადების დროს უსათუოდ
უნდა ჩაერაზა კარი.
ჯეროვანსა სასჯელს იღებს:
მადლი არ აქვს მის შრომასა,
აღარა აქვს დასასრული
გულის ტკენას და წყრომასა.

ბადრი. ჩავიარე კიდევ ქვევით.
ცოლ-ქმარი სწევს ცულის ტარზე,
ერთმანერთსა ჩაწმახვნიან—
ადგილია კიდევ განზე.

ბადრის ძე. იმ სოფელში ერთმანერთი
მათ უყვარდათ ისე მტკიცედ,
რომ ამ სოფლად ნეტარება
გაიხშირეს სულ ზედი-ზედ.

ბადრი. ახლა ქვევით ჩამოვედი.
ხარის ტყავზე ცოლ-ქმარი სწევს.
—გაიწიე; არ ვტევივარ,—
ორივ იქით-აქეთ იწევს.

ბადრის ძე. ეგ ცოლ-ქმარი იმ სოფელში
მძულვარობდნენ ერთმანერთსა,
ამ სოფელშიც აწვალებენ
და ურტყავენ თავში კეტსა.

ბადრი. აქ მოვედი ახლა შენთან.
ახლა მინდა შენი კოცნა.
შენი ნახვა, შვილო ჩემო,
რამ მაფიქრა, რამ მაოცნა?
შენი მძლავრი სიყვარულით
ვსძლიე კაცის სუსტ ბუნებას,
გადავშორდი ცოცხლის სამზღვარს,
სიკვდილის შიშს და მის ვნებას.

მოველ შენთან. მომიყევი
შენს ამბავს, თავ-გადასავალს.
დაკარგული სული, შვილო,
მომიბრუნე მამას საწყალს!
(ელდით ჩაეკონება).

ბადრის ძე. სანადიროდ გადავედი,
ჩავუდექი ირემს კვალში.
დაბურულ და ხავსნარ კლდეში
უცბად კოშკი მომხვდა თვალში.
კარი არსად არა ჰქონდა.
ვხედავ: ლოდს და ლოდის შუა
ამ კოშკიდან, როგორც ალი,
შუქი რაღაც გამოქშუა.
მივდექი და შევიჭვრიტე,—
გამიარა დანამ გულში,—
თეთრი დევი მზეთ-უნახავს
ალით სწვავდა სიყვარულში.
შევანგრიე ყორე-ლოდი
და დევს ვუჭვდე ხრმალი თავში,
მაგრამ მყისვე დავიძინე,
გავეხვიე რა მის ალში.
სიზმრად მახსოვს, რაღაც ბოდვა
ამიტყდა და მომწყდა გული.
თეთრი დევის ჯავრი ჩამყვა,
ქალი მისგან დაღუპული.
საოცარი საქმე მოხდა:
მე მოვკვდი და ქალი დარჩა.
ცხრა თვეს იქით იმანაც-კი
საიქიოს ნახა ბალჩა.
მოვიდა და იმ ქვეყნისა

არაფერი გაეპარვის.
იმ ქვეყნისა იმ დღეს აქეთ
საიდუმლო არ აქვს არვის.
წყალს ჩახედავს. წყლის სარკეში
წუთის-სოფლის სახეს ხედავს.
იმისთანა თოიჯობას
ვინ შეიძლებს, ვინ გაბედავს?
როგორც მნახა, მიცნო, მითხრა:
მე დამითმო თურმე კუბო,
თურმე ბოდვაც გაიგონა,
ის წერილმა თქვენ გაუწყო.
ხედავ, ხედავ? ჭანდრის ძირში
ჩაჰკირკიტებს ის წყლის სარკეს.
მიდამოსა შუქსა აფენს,
გაინათებს როცა სახეს.
გრძელ თმა-კავში ტურფად ბრწყინავს
მოჭიატე მზესავითა,
არაბი არის იმ ქვეყნად,
მზეს ებრძოდა მისავითა.
ხედავ? ხალხი გარს ეხვევა
გულის ძგერით ბდგუსავითა,
ყურსა ჭიმავს გასუდრული
და უენო მუნჯსავითა.
ადგა. ხალხიც აირია,
გააპო და მოდის აქედ.
ხედავ? თავსა იჭერს დინჯად,
ჩაგეწოვა თვალით მწარედ.
(კაცმოდის გულ-თოიჯი დედა ამირანისა
და თან მოჰყვებიან მკვდრები).

ბულ-თოიჯი დედა ამირანისა. ბადრო! მიეხვდი გულის პასუხს,
რომელმაც შენ ცოცხლად მოგკლა.
შენებრ ბევრს არ უფიქრია
საიქიოს ცოცხლად მოვლა.
წყლის სარკეში წავიკითხე
ამირანის წვა და დაგვა,
მისი საწყლად დაბრმავება,
ცხრა მთას იქით გადაკარგვა;
უსუპის და შენი ტანჯვა,
ზე-ქვე-სკნელში მოგზავრობა.
თეთრი დევის, იმ ბაყბაყის,
რად იფიქრა დიდამ შობა?!
მან მოშალა ჩემი შვება
რა ერთხელვე გადმეკიდა.
ხელმწიფეა მამა-ჩემი,
ჩემთვის იმას წაეკიდა.
მომიტაცა და ჩამკეტა,
ჰქონდა კოშკი ბუნებური.
შემაწუხა, არ დავნებდი.
გასწყვა ბარემ დევის რჯული!
პარი მივეც: თუ როგორმე
მოახერხებს, გამაცინებს,
ჩემს ნებას და უბიწობას
მხოლოდ მაშინ დაიმისებს.
ეცადა და ვერ ახერხა.
მზეზე ფიცი ასე მქონდა:
პირის ნაბანს ჩემსას ვინაც
შეისხავდა, შემეტრფოდა.
ერთხელ ლოდს და ლოდის შუა
თავი გავჭყავ ნაპრალიდგან

და ნაბანი ჩემი პირის
გადავუშვი სიმაღლიდგან.
ძირსა კაცი თურმე იდგა,
მიბჯენოდა სალსა კლდესა;
წინ ისარი გაეწვადა,
არ ეკბინა რამე მხეცსა.
მძინარს წყალი გადაესხა,
გაეღვიძა, დაიყვირა.
აი, სწორედ მაშინ ჩემი
უბიწობა გაიწირა.
ფიცი მქონდა, თმა გადვუშვი,
თმით ავზიდე კაცი შინა,
მასთან ტრფობამ საიმედოდ
ამირანი გამიჩინა.
მისმა ყოლამ ამამჩატა:
გამიკვირდა, გამეცინა.
მაშინ უნდა მომკვდარვიყავ,
კაცმა კუბო მომირბინა.
დევს ვუთხარი: გავიცინე,
ვერ გავტეხე ენა-პირი
და უსუპის ძმის-წულმაც-კი
ნახა ჩემი გასაჭირი.
დავფეხმძიმდი დევისაგან,
გულ-თოიჯი ქალი დამრჩა.
დევის ნიჭი მეც მომეცხო
და ამ ჯავრმა სულ დამმარხა.
ქალის შობას გადავყევი,
წამოვედი ამ სოფელში,—
ამირანს იმედი მაქვს,
გამიტეხავს იმ დევს წელში!

წადი უკან. იმ კოშკს გარდა
სადაც იყო ჩემი ბინა,
საყვარელმა სადაც შენმა
ძემ სამუდმოდ დაიძინა,
ვერსად წავა თეთრი დევი.
იქვე ნახავ ჩემსა ქალსა.
არასფერში ურევია
ის და დავსდებ ვერცა ბრალსა.
ტიხრული აქვს ბევრი იმ კოშკს,
იქ დივილი იწყეთ ბრთხილად;
რისხვაში და სიხარულში
ალსა უშვებს დევი ხშირად.
საბრთხილოა იგი ალი
მტრისაცა და მოყვრისთვინა.
მაშინ შენმა ძემ მიშველა—
ჩემი ამას მოეფინა,—
მე მომკლავდა დევის ცეცხლი,
ჩემთვის მოკვდა, დაეძინა.
თუ რომ ისევ თვისმა ალმა
დევი დასცა, დააწვინა,
თუ არა და მისი მოკვლა
არ იფიქროს არავინა!

სვე. გაჩეჩილაძე.

(დასასრული იქნება)

პროგრამა

ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების შესაკრებად.

(დასასრული *).

IX

19. როგორა ჰყავს ხალხს წარმოდგენილი ღვთის-მშობელი?
20. რა სახით გამოეცხადება ხოლმე იგი ხალხს?
21. ღვთის-მშობლის ქვეყნად ცხოვრების შესახებ დარჩენილა რამ თქმულება?
22. რა თქმულებაა მის საკვირველ-მოქმედებაზე?
23. ხალხში არსებობს ამ გვარი თხზულებანი: „ღვთის მშობლის ძილი“, „ებნეულთა ხილვა ღვთის-მშობლის მიერ“ და სხვა... რა მნიშვნელობა აქვთ მათ? წარმოადგინეთ მათი შეუცვლელი ასლი ან თვით დედნები.
24. რა ზეპირ-გარდმოცემა დარჩენილა ღვთის მშობლის დაბადებაზე, ქვეყნად ცხოვრებაზე, მიცვალებაზე?
25. რა შეხედულობა და თქმულობა არსებობს წმინდანებზე? (პეტრე, პავლე, იოანნე ღვთის მეტყველი, გიორგი, ელია, მარიამი, ბარბარე, ნინო, სირიელი მამები და სხვ.)
26. რომელი კერპები დარჩენილან ხალხის ხსოვნაში? ჩამოთვალეთ მათი სახელები.

---

*) იხ. „კრებული“ № IX. 1899 წ.

27. რა თქმულება დარჩენილა ბედზე, ჭირზე, უბედურ წამზედ და სხვა?..
28. ღმერთები სადა სცხოვრობენ?
29. როგორა ჰყავს ხალხს წარმოდგენილი ანგელოზები, მათი ჩამომავლობა?
30. მათი რიცხვი მატულობს თუ უცვლელია?
31. ანგელოზთ შორის არსებობს განსხვავება თუ არა? რითი განსხვავდებიან ერთმანერთისაგან? სახელებით? ძალით? გარეგან შეხედულობით?
32. წლოვანობით და სქესით ხომ არ განირჩევიან ერთმანეთისაგან?
33. ანგელოზი უნახავს ვისმე? რა ნაირია?
34. ძველი ამბავი დარჩენილა რამ ანგელოზის ქვეყნად ცხოვრებაზე, როცა იგი ინანიებდა თავის ურჩობას ღვთაების წინაშე?
35. ანგელოზები ორ დასად ხომ არ იყოფიან: კეთილი და ბოროტი?
36. გავრცელებულია თუ არა კულტი (თაყვანის ცემა) კეთილის და ბოროტის ღვთაებისა, ან ორივეთა ერთად.
37. როგორ არიან დახასიათებულნი: უმაღლესი მსაჯული, სხვა ღმერთები და სულნი,—ღოცვებში, შეთქმაში, დანავსვაში?
38. ფიცში კეთილ სულს ან მავნეს ხომ არ მოიწოდებენ ხოლმე?
39. როგორ იფიცავს ხალხი სხვა და სხვა შემთხვევაში?
40. რომელ სიტყვებსა აქვთ მეტი ძალა და რომელს ნაკლები?
41. ფიცის გატეხას რა მოჰყვება ხალხის აზრით?
42. რა ნაირად ჰყავს წარმოდგენილი ხალხს კეთილნი სულნი და მავნენი? (ტარტაროზები და სხვა.)

43. რითი განირჩევიან ერთმანერთისაგან უმთავრესად?
44. რა დამოკიდებლობა აქვთ მათ ერთმანეთ შორის და ადამიანებთან?
45. საიდგან წარმოსდგა მავნე სული?
46. რა სახელები ჰქვიან?
47. ეშმაკებს შორის არის უფროს-უმცროსობა? ვინ არის ყველაზე უფროსი?
48. რა განსხვავება და დამოკიდებულობაა ერთგვარ მავნეთა შორის? (ქაჯი, ალი, ეშმაკი, სატანა და სხვა...)
49. ცოლ-შვილი იციან ეშმაკებმა?
50. მრავლდებიან თუ არა?
51. მტვრის კორიანტელის ატეხას ეშმაკების ფერხულს ხომ არ აბრალებენ?
52. ამ კორიანტელზე ხომ არაფერი იცის ერმა?
53. ხომ არ არსებობს თქმულობა, ვითომც ქარიშხალში რომ კაცმა ლაჯვებ შუა გაჩვრეტილი ნაფოტი დაიჭიროს და შიგ ჩაიხედოს, ეშმაკს დაინახავს?
54. დედაკაცთან ხომ არ შეკავშირდებიან ხოლმე მავნენი?
55. რა გვარი შვილები მოსდევენ ამ კავშირს?
56. გველეშაპად ხომ არ მოევლინებიან ხოლმე ეშმაკები დედაკაცებს?
57. ეშმაკები მოუნათლავ ბავშვებს ხომ არ იტაცებენ ან თავიანთ შვილებზე არა სცვლიან?
58. სადა სცხოვრობენ ეშმაკები? რას აკეთებენ?
59. როდის ან რად მოდიან ქვეყნად? რა სახით დაიარებიან?
60. შავ ძაღლის ან კატის სახით ხომ არ გამოცხადდება ხოლმე ეშმაკი?
61. ამ გვარ ცხოველებს თავისუფლად ინახავენ სახლში?

ჭექა-ქუხილის დროს ხომ არ ერეკებიან კარში?

62. ჯვარედინ გზებზე დახვედრა ხომ არ უყვართ ეშმაკებს? ამ მიზეზით ხომ არა სდგამენ ამ ადგილებზე ჯვრებს?

63. დაუხურავ წყლიან ჭურჭელში ხომ არ იცის ეშმაკმა ჩაძრომა?

64. მთქნარების დროს ხომ არ უძვრება ადამიანს პირში, უკეთუ პირჯვარი არ გამოსახა?

65. უწამწამო კაცი ეშმაკად ხომ არ მიაჩნიათ?

66. იმ ადამიანში ხომ არ იმალება ეშმაკი, რომელიც პირჯვარს არ იწერს ჭექა-ქუხილის დროს?

67. ეშმაკი ხომ არავის უნახავს? სადა? რა დროს? რანაირად?

68. რა გვარად აცდენს მაცდური ადამიანს და რა ვნება შეუძლიან მისი?

69. არსებობს რწმუნება, ვითომც შეიძლებოდეს ეშმაკთან რამე ხელშეკრულება? რა ნაირი?

70. ამ გვარი ხელშეკრულობა სისხლით ხომ არ იწერება?

71. რა ამბავი დარჩენილა ამ ნაირ ხელშეკრულობაზე?

72. ზოგს ხომ არ მიაჩნია სიტყვა „ეშმაკი“-ს თქმა ცოდვად და სხვა სიტყვას ხომ არ ხმარობს მის მაგიერ?

73. რა შედეგი მოსდევს მშობლების კრულვა-წყევას: „ჯანაბა-ჯოჯოხეთამდის გზა გქონდეს“ და სხვა? მავნე ხომ არ ეპატრონება ამის შემდეგ ბავშვს?

74. ღვინო და თამბაქო ეშმაკის მოგონილი ხომ არ არის?

75. რა დარჩენილა ამბად ამის შესახებ?

76. ხალხში დარჩენილა რწმენა განსაკუთრებითი დანიშნულების ანგელოზებზე?

77. ყველა კაცსა ჰყავს მფარველი ანგელოზი?

78. რა მნიშვნელობა აქვს ამ ანგელოზს?

79. სჯერათ, რომ მფარველი ანგელოზი იმყოფება ადამიანის მარჯვენა მხარეზე, მავნე-კი მარცხნივ?
80. ცოდო ხომ არ არის ამის გამო მარჯვნივ გადაფურთხება?
81. ადამიანი თუ სცოდებს მფარველი ანგელოზი ხომ არ აფრქვევს ცრემლებს? თუ კეთილ-გონიერად იქცევა ხომ არ სიამოვნობს?
82. სწამთ ალი? სახლის ანგელოზი?
83. რა ადგილს იმყოფება იგი სახლში?
84. ოჯახს შველის რასმე თუ ავნებს?
85. სახლის ანგელოზს (ალს) სხვა რამ სახელს ხომ არ უწოდებენ? სახლის პატრონს ხომ არ ეძახიან?
86. როგორია ალი (ჭიმკა)?
87. ვისმე უნახავს ალი, ჭიმკა, მაჯლაჯუნა? რა ნაირია?
88. ყველა სახლშია ალი, მაჯლაჯუნა?
89. ახალ სახლში გადასვლისას ხომ არ იწვევენ ალს, მაჯლაჯუნას? რა ნაირად, რა სიტყვებით?
90. როგორ იქცევა ალი, მაჯლაჯუნა თუ სახლი და პატრონი მოეწონა, ან თუ არ მოეწონა?
91. ჭიმკას უყვარს ხეშრობა? რა ნაირად?
92. ადამიანებს ხომ არ ახრჩობს მაჯლაჯუნა, თუ სძულს ვინმე?
93. საშუალება არის რამე მის თავიდგან ასაცილებლად?
94. ალი, ჭიმკა ბავშვებს ხომ არ იპარავს?
95. ცხენების გაწვრთნა-გახედნა ხომ არ იცის ღამ-ღამობით?
96. ალი ხომ არ აწუხებს ღამე ცხენს? ძუა-ფაფარს ხომ არ უწნავს? რა საშუალებას ხმარობენ, რომ ალმა არ შეაწუხოს პირუტყვი?
97. ხალხსა სწამს ტყის-მავნე სულები (ტყის კაცი, ქაჯი)?

98. რა სახისაა ტყის კაცი? ქაჯი?
99. საიდგან გაჩნდა? როგორ?
100. რა თქმულება დარჩენილა მის შესახებ?
101. სადა სცხოვრობენ ქაჯები? ყოველ ტყეში იმყოფებიან? გამუდმებით იქ არიან?
102. საშიშოა ქაჯის გამო ტყეში დარჩენა?
103. გზას ხომ არ შეუკვრენ ხოლმე ქაჯები მგზავრებს? როგორ?
104. რა ღონისძიებას ხმარობენ ამ შემთხვევაში გზის გასაგნებად?
105. ქაჯებმა იციან ღიტინი? ხომ არავინ მოუკლავთ ტყეში ღიტინით?
106. ქაჯები ხომ არ მიუსევენ ხოლმე ცხვრის ფარას მგლებს?
107. სნეულად ხომ არ ჩავარდება, ვინც ქაჯის ნაფეხურზე გაივლის?
108. ამ სენისაგან როგორ იკურნ�eba ადამიანი? პურმარილს ხომ არა სტოვებს ტყეში, ან სხვა საშუალებას რასა ხმარობს?
109. ტყის მავნე სულებს აქვთ სახლი? იციან ცოლშვილი?
110. ვაჟებს ხომ არ იტაცებენ ქმრებად, ან მოუნათლავ ბავშვებს?
111. რა საშუალებით შეიძლება (ალის) ქაჯის გამოხმობა?
112. შესაძლოა რაიმე მიზნით ალთან ხელშეკრულობა?
113. სწამთ ზღვის მეფე? წყლის ქაჯი?
114. წყლის სახელმწიფოზე და მეფეზე რა დარჩენილა ამბად?
115. რა სახისანი არიან წყლის სულები?
116. როგორ გაჩნდნენ?

117. წყლის მავნე უნახავს ვისმე? როგორია?
118. ცოლ-შვილი ჰყავს?
119. წყლის მავნე ცოლად ალს ხომ არ ირთავს, ან წყალში დამხრჩვალს, ან მშობლისაგან დაწყევლილს ქალს?
120. რა დამოკიდებლობაა წყლის სულსა და დამხრჩვალთ შორის?
121. საშიში ხომ არ არის ბანაობა, თუ ჯვარი არა აქვს ადამიანს ყელზე? მზის ჩასვლისას ერიდებიან ბანაობას? მავნესი ხომ არ ეშინიანთ?
122. სად სცხოვრებენ წყლის მავნე სულნი?
123. ჭაობებში ხომ არ სცხოვრებენ ან სხვა ადგილებში?
124. დიდ ჭაობებთან ღამით გავლა საშიშია?
125. რას აკეთებენ წყლის სულები? რა დამოკიდებულობა აქვთ ადამიანებთან?
126. რითი შეიძლება მათი გულის მოგება?
127. ხომ არ არსებობს შეხედულობა, ვითომ მეწისქვილე, საჭიროა თილისმა იყოს და მეგობარი წყლის სულებისა, თუ სურს კარგად მიმდინარეობდეს წისქვილის საქმე?
128. წისქვილის აშენების დროს ქაჯებს ზვარაკს ხომ არ ჰპირდებიან, რომელიც მათ თავისთვის მიიქვთ?
129. მეწისქვილენი ხომ არ ისვრიან წყალში წყლის ეშმაკებისთვის პაწაწა ცხოველებს, ან სხვა რასმეს ძღვნად?
130. ფუტკრის მოშენებას ხელს ხომ არ უშლიან წყლის მავნე სულები? თაფლს ან სანთელს ხომ არ ისვრიან მეფუტკრენი წყალში?
131. წყლის გადმოვარდნას და წალეკას მავნეთ ხომ არ აბრალებენ?

132. თევზის ბადეში გაბმა იმათი უნარი ხომ არ არის? ბადეს ისინი ხომ არ ჭგლეჯენ?
133. მეთევზენი აგდებენ წყალში პურს, ან ცხოველს, რათა ბევრი თევზი მოჰყვეს ბადეს?
134. წყლის უფროს ეშმაკის გულის მოსაგებად ხომ არ ანთავისუფლებენ ცოტაოდენ დაჭერილ თევზებს?
135. თევზზედ შეჯდომა ხომ არ იცის წყლის მავნემ? რომელ თევზზე?
136. ზოგ-ზოგი თევზების ჭამა ცოდვად ხომ არ ითვლება? (ლოქოს თავი მაგალ.) რა მიზეზით?
137. ხალხის აზრით ავადმყოფობის მიზეზი ეშმაკი ხომ არ არის?
138. სხვა-და-სხვა ავად-მყოფობა ეშმაკებისაგან ხომ არ დაიარება-ქვეყნად? (ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა).
139. რა მიზეზით და როდის უძვრება ეშმაკი ადამიანს პირში?
140. ქადაგი ეშმაკისაგან გაფუჭებულად ხომ არ მიაჩნიათ?
141. მადნებს ეშმაკები ეპატრონებიან?
142. რა ჰქვიან ამ გვარ ეშმაკს?
143. მადნის ამოღების დროს რა წესს ასრულებენ, ესე იგი, რას ამბობენ, რას აკეთებენ?
144. ძღვენს უკეთებენ ეშმაკს მადნის პოვნის შემდეგ? როგორ, რა წესით?
145. ხომ არა სწამს ხალხს, ვითომ საკმარისი იყოს მადნის ალაგას მამლის თავი დასტოვო, რათა ადვილად წამოიღო დოვლათი?
146. რა თქმულებანი დარჩენილა მადნებზე? მათ აღმოჩენაზე?
147. სხვა რა მავნე სულები სწამს ხალხს? ჩამოთვალეთ სახელები?

148. რა თვისებისანი არიან? რას აკეთებენ? როგორ სცხოვრობენ?
149. მავნე სულების სურათებს ამზადებენ თუ არა?
150. კერპები ყველა სახლებში ხომ არ არის?
151. ხალხის შეხედულობა სარწმუნოებაზე გამოიხატება გარეგნულად ლოცვა-თაყვანის ცემაში?
152. სად ინახვენ კერპებს?
153. ვინ ასრულებს ლოცვებს და, საზოგადოდ, ყველა წეს-წყობილებას? რა სახელს უწოდებენ ამ ადამიანს?
154. რა ნაირად ეპყრობა მას ხალხი?
155. ირჩევენ ამ პირებს თუ შთამომავლობით გადადის ეს თანამდებობა უფროსიდგან უმცროსზე?
156. არსებობს წაწლობა, ანუ დედათა და მამათა სულიერი დაახლოვება?
157. ძღვნის მიტანა იციან?
158. რა ლოცვებს კითხულობენ ამ დროს?
159. ხატები ღმერთებად მიაჩნიათ? რა აზრისანი არიან მათ შესახებ?
160. რაგვარ ხატებს ინახავენ ოჯახში?
161. რა ადგილს ჰკიდებენ? როგორ? რითი ალამაზებენ?
162. რომელი ხატები უფრო მეტადა სწამთ?
163. რომელ ხატით ჰლოცავენ ჯვარის-წერის დროს?
164. ხომ არავის გამოსცხადებია ხატები? რომელნი? რა დარჩენილა ამბად?
165. არსებობენ საკვირველ-მოქმედი ხატები? სად არიან? რა დარჩენილა ამბად?
166. ცეცხლის გაჩენის დროს უპირველეს ხატების გადარჩენას ხომ არ ცდილობენ?

167. ცეცხლის გარშემო ხომ არ დააქვთ ხატი ცეცხლის ჩასაქრობად, ან ქარის პირდაპირ ხომ არ უჭირავთ რომ ქარი ჩავარდეს?
168. ზოგი ხატი საკვირველ-მოქმედებას ხომ არ იჩენს ცეცხლის გაჩენის დროს? მაგალ. ღვთის-მშობლისა?
169. სხვა და სხვა სნეულება-ავადმყოფობაში სხვა-და-სხვა ხატებს ხომ არ მიმართავენ ხოლმე ლოცვით? (შვილიერების დროს ქრისტეს დაბადებას და სხვა).
170. ხატის ძირს ჩავარდნა უბედურების მომასწავებელია?
171. სად ასვენებენ ხატს და რა მოსაზრებით?
172. რას უნთებენ ან უკმევენ მას?
173. ცოდვა ხომ არ არის ფეხების ძილში იქით გაშვერა, საცა ხატი ასვენია?
174. კბილს ხომ არ დაადგმენ ხოლმე ხატსა, ვინიცობაა ტკივილი აუვარდა?
175. სწამს ხალხს, რომ საყდარში საჭიროა იყოს უსათუოდ ეშმაკის ნახატი?
176. ეშმაკის სურათს ხომ არ აზიანებენ და რა მიზნით?
167. ხომ არავის დაუდგავს ეშმაკისთვის სანთელი? რა დარჩენილა ამბად?
178. რა მნიშვნელობა აქვს ყელის ჯვარს?
179. იმის დაკარგვას უბედურება ხომ არ მოსდევს?
180. ჯვრების გაცვლა მიღებულია? რა მნიშვნელობა აქვს?
181. ჯვარედინებზე, მთებზე რად სდგამენ ჯვრებს?
182. ძნელად მშობიარობის დროს აღსავლის კარებს ხომ არ გააღებინებენ ხოლმე ეკკლესიაში?
183. ძაფს შესწირავენ ხოლმე ეკკლესიას?
184. როგორ სწარმოებს საკლავ მსხვერპლის შეწირვა?
185. ვინ დაჰკლავს ხოლმე მსხვერპლს? როგორ ანაწილებენ?

186. რა მნიშვნელობა აქვს ჯვარის წერის სანთელს? აღდგომისას და სხვებს?

187. ცეცხლის გაჩენას ან ჭექა-ქუხილის დროს ხომ არ ანთებენ ამ სანთლებს? ან გაძნელებულ მშობიაროობის დროს?

188. იციან თუ არა დიდ ოთხშაბათს ან სხვა დროს ცეცხლის დანთება და შიგ გადახტომა?

189. ჭიაკოკონას (წიაკოკოლის) ნაცარს ხომ არ ინანავენ სამკურნალო მიზნით?

190. კატას და კუდიანს როგორ უყურებენ ჭიაკოკონობის საღამოს?

191. ჯადოს მოსაშორებლად რა საშუალება იციან?

192. კუდიანის მავნე ძალის ასაცილებლად რას ხმაროობენ?

193. მკითხაობა როგორ იციან?

194. აღთქმას სდებენ, ამა და ამ სანთელს დაგინთებ, თუ საქმე კეთილად ამისრულდაო?

195. თემობა ან საზოგადოება საერთო ზვარაკს ან სანთელს ხომ არ შესწირავს ხოლმე?

196. საკმელს აქვს საკვირველ მოქმედი ძალა? რა ნაირი?

197. ეშმაკს ეკავრება საკმელის სუნი? მიურბის მის სუნს?

198. იციან თუ არა ღამისთევა ხატის კარს?

199. რა სამზადისით და როგორ ატარებენ ამ ღამეს?

200. საკმელს სენის გასაკურნავად ხომ არ ხმაროობენ? რა ავადმყოფობაში?

201. სწამს ხალხს, რომ აიაზმის წყალი არასოდეს არ ფუჭდება? ჰკურნავს თვალის სნეულებას? სდევნის ბოროტ სულს?

202. მონადირენი აიაზმის წყლით ხომ არ რეცხენ თოფს, ვითომ ნადირს აღარ ასცდეს ტყვიაო?

203. ჯაჭვის ტარება ხომ **არ** იციან ზურგის სიმაგრისათვის?

204. ხატის კარს ხომ არ არის დაცული ქვის კვერცხი თვალებზე მოსასმელად?

205. ზარის ჩამოკვრას რა მნიშვნელობა აქვს?

206. პირველ ჩამოკვრის შემდეგ იმიტომ ხომ არ ისვენებს მეზარე, რომ ეშმაკებმა მოასწრონ გაპარვა?

207. სეტყვის დროს ხომ არ იციან ზარის რეკა? რა მიზნით?

208. ზარის მრაკავი აღდგომა დღეს ავადმყოფობას ასცილდება თუ არა?

209. ზარის თოკის ნაწყვეტს ქალები თმაში ხომ არ ჩაიწვნენ ხოლმე? რა მიზნით?

210. კიდევ რა წარმოდგენაა დაკავშირებული ზართან?

211. რომელი საღვთო წიგნები უფრო გავრცელებულია საკითხავად?

212. ძველის და ახალ აღთქმის ამბები ბევრმა იცის?

213. ძველი აღთქმის კითხვა ცოდვა ხომ არ არის?

214. ვინც მოელ დიბადებას წაიკითხავს, რაიმე თვისებას ხომ არ იძენს?

215. დავითიანი გავრცელებულია ხალხში?

216. დავითიანზე ხომ არა მკითხაობენ?

217. არის ხალხში ხელნაწერი აპოკრიფები (წიგნები, რომელნიც არ არიან შეწყნარებულნი ეკკლესიისაგან)? რა და რა?

218. რომელი მათგანი უფრო გავრცელებულია? უყვართ ეს წიგნები?

219. რა ავგაროზები, გულზედ სატარებელი ლოცვები იცის ხალხმა?

220. ძვალს რასმე ხომ არ ატარებენ გულის ყურისათვის,

ან თვალ-ნაკრაობის ასაცდენად?

221. შესაყვარებლად ან შესაძულებლად რას ხმაროობენ?

222. რა განსხვავებაა ლოცვასა და შელოცვის შუა?

223. ქვეყნის შექმნა-დაბადებაზე რა თქმულობა დარჩენილა?

224. ქვეყნის დასაბამზე, დასაწყისზე რა იციან?

225. ვინ შეჰქმნა სამყარო? ცხოველები, მცენარენი, ჰაერი, მნათობნი? რისგან? როგორ?

226. როგორ სცხოვრობდნენ პირველი ადამიანები? როგორ გამრავლდნენ? რა დარჩენილა ამბად ძველ აღთქმის ყოფა-ცხოვრებიდგან?

227. საიდგან და როგორ აღორძინდნენ სხვა და სხვა ენ̇ნი და ენანი?

228. ვინ ასწავლა ადამიანს ლაპარაკი?

229. პირველი ადამიანები რა ენაზე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს? ღმერთს? ცხოველებს?

230. პირუტყვები ლაპარაკობდნენ როდისმე? რომელნი? რატომ ახლა ვეღარ ლაპარაკობენ?

231. სახლის აგება, იარაღის გაკეთ̇ება და ხმარება, ხვნა-თესვა, ტანთ-საცმლის შეკერვა და სხვა. ვინ ასწავლა ადამიანს?

232. სიბოროტე საიდგან წარმოსდგა ქვეყნად?

233. დარჩენილა რამ ზღაპარი სისწორ-სიმრუდეზე, ოქროს საუკუნეზე?

234. რითი განირჩეოდნენ პირველი ადამიანი და პირუტყვი ახლანდელიდ̇გან?

235. რა დამოკიდებულობა ჰქონდათ ღმერთთან და ერთმანეთში?

236. რა ცვლილება მოხდა სამყაროზე (ქვეყნიერებაზე) და რაგვარად შეიცვლება იგი მომავალში?

237. როდემდე გაგრძელდება წუთი-სოფელი?
238. როგორ აქვს ხალხს წარმოდგენილი ცა?
239. რა რწმუნებანი არსებობენ მის შესახებ? ცა იხსნება როდისმე? ვინ ჰხედავს ცის გახსნას? სჩანს რამე? რას ამბობენ ამ ჟროს?
240. რისგან შესდგება ცა? სად იწყება და სად თავდება? რა იმყოფება ცაში? შორს არის დედამიწიდგან? რა მანძილზეა?
241. ცის გასაღები ვის ხელშია?
242. ვინ აღებს ცის კარებს წვიმის მოსვლის დროს და გამოდარებისას?
243. რა თქმულობა არსებობს ვარსკვლავებზე? მზის დაბნელებაზე, მზის ამოსვლა-ჩასვლაზე, ღრუბლებზე, ცისარტყელაზე, მთვარეზე და მზეზე, ჩრდილებზე, რომელიც ამ უკანასკნელებზე სჩანს და საერთოდ ცის მნათობებზე?
244. რა სახელებს უწოდებს ხალხი სხვა და სხვა ქვეყნის კუთხეებს? საიდგან შესდგენ ეს სახელები?
245. საით მიფრინავენ ზამთრობით ფრინველნი? რა ჰქვიან ამ ალაგს?
246. რა გავლენა აქვთ მნათობთ კაცის ბედ-იღბალზე, ცხოვრებაზე და მიწის მოსავალზე?
247. რა არაკები დარჩენილა ცის მნათობებზე?
248. როგორ ესმის და წარმოუდგენია ხალხს მოვლენანი: ჭექა-ქუხილი, ქარი, წვიმა, ყინვა, სეტყვა, ჯანყი, და ნამი?
249. რა რწმუნებანი დაფუძნებულან ამ მოვლენებზე?
250. შეიძლება გაქრეს მეხისაგან გაჩენილი ცეცხლი? რა არის მეხი? რა თქმულობა დარჩენილა მის შესახებ?

IX

ენა, ანბანი, სედოკნებანი.

1. თუ რომელიმე ერის შესახებ ცნობების შემკრებს არ შეეძლება შეისწავლოს კარგად მისი ენა, სასარგებლო ცნობებს, მაინც მოგვცემს, თუ მიიღებს მხედველობაში შემდეგ პირობებს:

ა) ჩასწეროს სიტყვები და ფრაზები სწორე ტრანსკრიპციით, თუ ეს ენა ეკუთვნის იმ ენათა რიცხვს, რომელთათვის არსებობს ტრანსკრიპცია.

ბ) თუ ენა ნაკლებ ცნობილია, იხმაროს ქართული ასოები და თუ ისინი არა ჰკმარიან რომელიმე ხმების გამოსახატად, მაშინ დაუმატოს მათ სხვა ნიშნებიც, მხოლოდ ახსნას კი, როგორ გამოითქმიან.

2. ყურადღება უნდა მიექცეს ენის ლექსიკონს და გრამმატიკას.

ა) უნდა შედგენილ იყვეს სია ხშირად სახმარებელ სიტყვებისა, მაგ. 1) ოჯახის წევრების სახელებისა, 2) ცხოველების სახელებისა, 3) მცენარეებისა, 4) ბუნების მოვლენათა, 5) სახლის ნაწილებისა, იარაღისა, ავეჯისა, ტანთ-საცმელისა, 6) სია ზედ-შესრულ სახელებისა, 7) რიცხვითი სახელებისა, 8) ნაცვალ სახელებისა, 9) ზოგიერთ ზმნებისა, 10) ზმნის ზედათა 11) თანდებულთა, 12) კავშირებისა, 13) შორის-დებულთა.

ბ) უნდა ჩაწერილ იყვეს რამდენიმე წინადადება, რომლებიც მოიცემიან მაგალითებს კანკლედობისა და მიმოხვრისას; უფრო უკეთესი იქნება თუ ჩასწერთ პატარა მოთხრობას გრამმატიკულ ფორ-

მების აღსნით; ზმნებთან ერთად უჩვენეთ მათი განუსაზღვრელი ფორმა (ინფინიტივი), აწმყო დრო, მყობადი და წარსული.

თუ ცნობების შემკრებმა კარგად იცის ხალხის ენა, შეუძლიან ყურადღება მიაქციოს უფრო რთულ, სპეციალურ კითხვებსაც:

3. რომელ ცნობილ ენათა ჯგუფს ეკუთვნის ამ ერის ენა?
4. აქვს თუ არა ამ ენას სხვა და სხვა კილოები? რამდენი და როგორები.
5. არსებობს თუ არა კერძო ენა ბავშვებისა, მწყემსებისა, მონადირეებისა, ქურდებისა და სხვ.?
6. რა სიტყვებს ჰხმარობენ საქონლის დასაძახებლად, გასარეკად, დასაყენებლად და სხვ.?
7. აქვთ რამე ნიშნები წერისთვის და თვლისთვის?
8. ხომ არ ხმარობენ რამე ნიშნებს წერა-კითხვის უცოდნელნი?
9. როგორ ნიშანს, დამღას უსვამენ თავიანთ საკუთრებას (ავეჯს, საქონელს, მამულს)?
10. აქვს თუ არა ოჯახს ამისთანა მუდმივი საკუთარი ნიშანი? თუ აქვს, რა მოსდის ამ ნიშანს, როცა ოჯახი იყოფა?
11. არის თუ არა გავრცელებული ხალხში მხატვრობა, ჩუქურთმის მოჭრა, ქანდაკება და სხვა ხელოვნებანი?

X

სახალხო სიტყვიერება.

1. რა გვარი ნაწარმოებნი სახალხო სიტყვიერებისა არიან გავრცელებულნი ერში?

შენიშვნა: ზოგიერთი ნაწარმოებნი სახალხო სიტყვიერებისა მოხსენებული იყვნენ ზემოდ სხვა და სხვა ჩვეულებათა და წესების აღწერის პროგრამმასთან ეოთად. სასურველია, რომ ლექსები, სიმღერები, რომელთაც ხმარობენ სხვა და სხვა შემოხვევების დროს (მაგ. ქორწილში, მკაში, რთველში და სხვა) ჩართულნი იყვნენ თვით ჩვეულებათა და წესების აღწერაში თავ-თავის ადგილს. თუ რომ შემკრები ისურვებს მხოლოდ ტექსტების ჩაწერას წესების აღწერავად, შეუძლიან იხელმძღვანელოს მათ რიგზედ ჩასაწერად ქვემოდ მოყვანილ კითხვებით.

2. აქვთ თუ არა ლექსები და თქმულებანი გმირებზედ, დევებზედ?
3. ისტორიული გარემოცემანი?
4. ადგილობრივი ლეგენდები?
5. ახსოვთ რამე ადგილობრივ მიღვაწეებზე, არის რამე ამბები მათ შესახებ, თუნდაც არა ისტორიულის სინამდვილისა?
6. იციან ზღაპრები ადამიანებზედ?
7. ცხოველებზედ (მხეცებზედ, ფრინველებზედ, მწერებზედ), აგრეთვე ფანტასტიურ არსებებზე, გველეშაპებზედ და სხვა?
8. რა შელოცვას ხმარობენ?
9. არსებობენ თუ არა ხალხური ლოცვები და საგალობლები?

10. როგორ სასულიერო და მცნებითი შინაარსის სიმღერებს მღერიან ბრმები და გლახაკები?
11. არის ხალხში გავრცელებული ისტორიული ლექსები და სიმღერები?
12. სალირიკო ლექსები?
13. რა სიმღერებს მღერიან უქმეებში და სხვა და სხვა სარწმუნოებრივ წესების აღსრულების დროს?
14. მღერიან რამე სიმღერებს ბავშვის დაბადების დროს? ნანას?
15. აქვთ სიმღერები საკუთრივ ქორწილში სამღერად?
16. დამარხვის დროს და ქელეხში?
17. სიმღერები სხვა და სხვა თამაშობის დროს?
18. სამხედრო სიმღერები?
19. სიმღერები საქეიფო, ლოთური?
20. რა სიმღერები აქვთ კიდევ ცხოვრების სხვა შემთხვევაში და სხვა-და-სხვა წლიურ სამუშაოების დროს?
21. იციან სიმღერები ან ლექსები დაცინვითი (სატირიული და სასაცილო (ჰუმორისტული) შინაარსისა?
22. შეჰკრიბეთ ნაკვესები, ზმები, ჩქარა-გამოსათქმელები,
23. გამოცანები,
24. ანდაზები.
25. როგორ და საიდგან ვრცელდებიან ისინი და ვინ უფრო ეტანება მათ?
26. არიან სპეციალისტები სიმღერების სამღერლად და ზღაპრების მოსათხრობლად?
27. რას ეძახიან ასეთ პირთ და როგორ ექცევიან მათ?
28. ჩასწერეთ მათ შორის უფრო შესანიშნავ პირთა ბიოგრაფია, მათი რეპერტუარი და აღნიშნეთ საიდგან შეუძენიათ ესა თუ ის ლექსი, ზღაპარი და სხ.
29. რამდენადაც შესაძლოა, აღნიშნეთ სხვა და სხვა ნა-

წარმოების გავრცელების ისტორია; დიდი ხანია გაიგეს მცხოვრებლებმა, საიდგან და ვინ შემოიტანა ამ ადგილს, რა ცვლილებები გარდახდა მას?

ალ. სახანაშვილი.



საქართველოს

დედ-ქალაქ

ტფილისი

(გაგრძელება *)

ერეკლემ ამის შემდეგაც საჭიროდ არა სცნო სამხედრო სამართლით გაესამართლებინა ქვეყნის ორგულნი და მოღალატენი! ასეთი წინ-დაუხედაობა ხელმწიფე კაცისა სწორედ გასაოცარია! ნუ თუ არარატიანისთანა ვერაგი კაცები კიდევ საცოცხლებელნი ‘იყვნენ, და ისიც მისთვის, რომ ეწერათ ყალბი ისტორიები და მათივე შემნდობელი მეფე გამოეყვანათ ქვეყნის მოღალატედ, რომ ამ სულგრძელ მეფისათვის წამოესხათ ცხვრის ტყაპუჭი და ანანურის ტაძარში მასთან დაესკუპებინათ მისი ღვაწლმოსილი ამალა კი არა, არამედ იგივე გაიძვერა და მატყუარა არტემა!...

—

განისვენა ერეკლემ (11 იანვ. 1798 წ.) და მის შვილების ქიშპობამ ბოლო მოუღო საქართველოს. ამერეთი შეუერთდა რუსეთს (18 ნოემბ. 1800 წ.).

—

*) იხ. „კრებული“ № X. 1899 წ.

ვიდრე მოვიყვანდეთ ცნობას ახალ მმართველობის დადგენის შესახებ, საჭიროა გავიცნოთ იმ დროინდელი შინაური ყოფა-მდგომარეობა მთელის ქვეყნისა და ტფილისისა.

1801 წელს ლაზარევი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ ამერეთში (ქართლსა და კახეთში) იყო 40,000 მეკომურიო და თითო კომლი შესდგებოდა 6 სულისაგანო [1]). მაშასადამე ამ დროს ამერეთში უნდა ყოფილიყო 240,000 სული. 1783 წელს კი ბუტკოვის ანგარიშით (ტ. II გვ. 340, ტ. III, გვ. 177, 260) ამერეთში იყო 61,000 მეკომური. თუ ყოველი კომლი ისევ 6 სულად ჩავაგდეთ, გამოვა, რომ 1783 წელს ამერეთში ყოფილა 366,000 სული.

ერი იყოფებოდა შემდეგ წოდებად: სამეფო სახლი (50 სული), თავად აზნაურობა, მეფის აზნაურობა, თავადთა აზნაურობა, ვაჭარნი, მოქალაქენი, სამღვდელოება, გლეხობა [2]).

თავადთ ჰქონდათ უფლება მიეღოთ უპირველესი თანამდებობა სახელმწიფოს გამგეობაში მემკვიდრეობით და ჰყოლოდათ საკუთარი აზნაურები. მეფის აზნაურობა მის ამალას შეადგენდა და მათ ეძლეოდათ ათასისთავობა და ასისთაობა. თავადის აზნაურები შეადგენდენ თავადის ამალას და ლაშქრობის დროს მის ხელქვეშ იყვნენ. [3]) ვაჭრებს ჰქონდათ უფლება მიეღოთ თანამდებობა მეფის სასახლეში. იგინი და მეფის აზნაურნი თანასწორნი იყვნენ. ვაჭარნი და მოქალაქენი უმეტეს ნაწილად სომეხნი იყვნენ.

---

[1]) Сборн. матер. для опис. Тифл. губ. გვ. 9, 15.

[2]) იქვე გვ. 9.

[3]) იქვე გვ. 10

სასულიერო წოდებაში შესვლის ნება ჰქონდა ყველას, და სასულიერო წოდებაში შერაცხილ თავად-აზნაურს ამასთანავე რჩებოდა ის უფლებაც, რომელიც ჰქონდა საერო წოდებაში მყოფობის დროს. ყველა მონასტერს ჰქონდა თვისი სოფლები და ჰყვანდა თვისნი ქვეშევრდომნი. ხელოსნები დაყოფილიყვნენ ამქრებად და ჰქონდათ ნება დასახლებულიყვნენ ქალაქებში. გლეხები ყმებად ითვლებოდნენ და როგორც ვახტანგ მეფის სამართალი ამბობს, გლეხის „სულის გარდა, ყველა ეკუთვნოდა ბატონს“.

1801 წელს მოხდენილ ანგარიშით მეფის ყოველწლიური შემოსავალი იყო: თათრებზე დადგენილი „მახტა“ 3,500 მან., „მახტა“ ტფილისიდამ 4,000 მან., ამას გარდა ტფილისისა და გორის ვაჭარნი, მოქალაქენი და ხელოსანნი ხდილობდნენ: ცოლოსანნი 1 მ. და 20 კაპ. და უცოლონი 60 კაპ., ხიზანთაგან, რომელნიც განბნეულ იყვნენ სხვა და სხვა სოფლებში, იკრიბებოდა 6 ფუთი ხორბალი ყოველ მეკომურისაგან; დამნაშავეებს, ცემატყეპის მაგიერ, მეფე ახდევინებდა ჯარიმას. „სურსათი“ თათართაგან 8,250 მ. და თავადთა და სამღვდელოთა სოფელთაგან 6 ფუთი ხორბალი მეკომურისაგან; ოჯახი რომ იყრებოდა, მეფეს აძლევდა $^1/_{20}$ ნაწილს თავის ქონებისას.

უკანასკნელ წლების შემოსავალი: შემოტანილ საქონლიდამ საპალნობით ციხისთავისათვის 100 მან., გორიდამ გატანილ და გორში შემოტანილ საქონლიდამ (მარილზე, თევზზე, სასწორზე, ღვინოზე, არაყზე და ყასბებზე) 1,100 მან., კახეთიდამ იმავე საგნებზე 1900 მან.; ერთდროული მახტა პურითა და ფულით, რომელსაც ხდილობდნენ ტფილისი და თათრები, 35000 მან.; სურსათი ყაზახიდამ, შამშადილიდამ, ბორჩალოდამ, ბამბაკიდამ, შულავრიდამ 8,350

მან.; ტფილისიდამ 13,200 მან., ბაკი თამბაქოზედ მთელს ამერეთში 5000 მ., ტფილისში ნაქსოვ ბამბის ტილოზედ დამლის დასასმელი 3,850 მ., ტფილისში მიტანილ თევზსა და ხიზილალაზედ 1,050 მ., ტფილისის სასწორი 700 მ. ტფილისში მოტანილ ღვინო-არაყზე 3,300 მ., ტფილისის ყასბებზე 3,100 მ., სპილენძის მადნები 10,050 მ., ენდრო 2,300 მ., ტფილისში მიტანილ ტივზე 120 მ., დუქნებზე ადგილის ბაჟი 120 მ., ადგ ილებზე, რომელნიც ეკუთვნოდნენ ციხეს და რომელზედაც დასახლებულ იყვნენ მცხოვრებნი 120 მან.*)

ამას გარდა ცალკე შემოსავალი ჰქონდათ თავადებსა, ბატონიშვილთა და დედოფლებს.

როგორც უკვე ვსთქვით, 1801 წელს ამერეთში იყო 50 სული, რომელნიც ეკუთვნოდნენ მეფის გვარეულობას. ყველა ესენი სცხოვრობდნენ თავისის ყმებისაგან აღებულ შემოსავლით, და ამას გარდა ჰქონდათ საბატონიშვილოები. 1803 წლის ცნობილ დარია დედოფალს ჰყვანდა 299 მეკომური (1311 სული) ყმა, რომელთაგან შემოსდიოდა ყოველ წლივ 1495 მან.; მარიამ დედოფალს ჰყვანდა 295 მეკომური (1556 სული) ყმა და შემოსდიოდა 3,366 მ., ვახტანგ ერეკლეს ძეს 2061 მეკომური (12815 სული) და

---

*) 1784 წელს საქართველოში მოგზაურობდენ ფრანგთა მოგზაურნი, რომელთაც ჰშველოდა ნემეცი იაკობ რეინექსი. იგი მსახურებდა ერეკლე მეფესთან. ეს ფრანგთა მოგზაურნი ერეკლეს შემოსავალს ანგარიშობენ 26,950 გირვანქა სტერლინგად, ხოლო რეინექსის ჩვენებით ერეკლეს შემოსდიოდა: ხარკიდამ (ყოველს მეკომურზე) 610,000 მან., უცხო ქვეყნების მოვაჭრეთა საქონლის ბაჟიდამ 25,000 მან., მადნებიდამ ყოველ წლივ 60,000 მან. ვერცხლი, მადნებიდამ ოქრო —3,200 მან., ხარკი ერევნიდამ 15,000 მ. და სულ 713,000 მან. (იხ. Нов. Обозр., № 3072).

შემოსდიოდა 5,252 მ. და 85 კაპ., იოანე გიორგის ძეს 953 მეკომური (6297 ს.) და შემოსდიოდა 1571 მან., მემკვიდრეს დავით გიორგის ძეს 391 მეკომური (1564 ს.) და შემოსდიოდა 3520 მ., ბაგრატ გიორგის ძეს 295 მეკომური (1510 ს.) და შემოსავალი 1892 მან., იოანეს 295 მეკომური (1743 ს.) და შემოსავალი 916 მან., ალექსანდრე ერეკლეს ძეს 214 მეკომური (1034 ს.) და შემოსავალი 1630 მან., ფარნაოზს 18 მეკომური (196 ს.) და 230 მან. შემოსავალი, თეიმურაზ გიორგის ძეს 41 მეკომური (229 ს.) და 300 მან. შემოსავალი, და კიდევ დავით გიორგის ძეს 21 მეკომური (296 ს.) და 248 მან. შემოსავალი; და საერთოდ ყველას 4883 მეკომური (28,408 ს.) და შემოსავალი 20,351 მან., მაშასადამე ყოველი მეკომური ხდილობდა 4 მ. და 17 კაპ., ხოლო ყოველი სული 72 კაპ.,*)

20 ივნისს 1811 წელს იმპერატორ ალექსანდრეს მიერ ხელმოწერილ სინოდის მოხსენებიდამ**) სჩანს, რომ საქართველოში (ამერეთში) არის 13 ეპარქია, 799 ეკკლესია, 746 მღვდელი, 146 მთავარი, 661 დიაკვანი, 6 არქიმანდრიტი, 75 ბერი, 2,218 მეკომური ეკკლესიის კუთვნილი გლეხობა და ამას გარდა 9 საარქიმანდრიტო კუთვნილი გლეხობა 637 მეკომური, საეკლესიო აზნაურობის კუთვნილი გლეხობა—470 ოჯახი, და უკანასკნელ 470 ოჯახ გლეხობის გარდა დანაშთენ მოყმეთაგან ეკკლესიას დაახლოვებით შემოსდის (სურსათი, ღალა, მახტა და კუ-

*) იხ. Сборн. матер. для опис. Тифл. губ., вз. 13—14.

**) იხ. Всеподданѣйшій докладъ Синода Великому Государю, Императору и Самодержцу Всероссійскому (წერა-კითხვის ბიბლიოთ. № 36).

ლუხი): ეპარქიებს — 96,360 მან. და საარქიმანდრიტოებს 13,224 მ. და სულ 39,584 მ.

8 მაისს 1802 წელს შეუდგნენ ახალის მთავრობის განწესებას საქართველოში *) (ამერეთში), რომელიც ამიერიდგან უნდა წოდებულიყო „საქართველოს გუბერნიად“ და გაყოფილიყო მაზრებად: გორისა, დუშეთისა, ლორისა, თელავისა და სიღნაღისა. დანიშნულ იქმნენ მთავარ მართებელი და მმართველი, საქართველოს უმაღლესი მმართველობა, რომლის ადგილ-სამყოფად გახდა ტფილისი.

საქართველოს უმაღლესი მმართველობა შესდგა 4 ექსპედიციისაგან: აღმასრულებელ საქმეთა, სახელმწიფო და სამეურნეო საქმეთა, სასისხლო საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა. ყველა ამ დაწესებულებაში დანიშნულ იქმნენ რუსთა და ქართველთა მოხელენი, ხოლო თავმჯდომარეობა ყველგან რუსებს ერგოთ.

7 მაისს 1802 წელს დიდის ზეიმით, ნაღარისა და საკრავების კვრით გამოცხადებულ იქმნა ტფილისში, რომ მეორე დღეს 8 საათზე გაიხსნება ახალი მმართველობა და დანიშნულ ადვილსა და ჟამს უნდა გამოცხადდნენ მოხელენი, ბატონიშვილნი, თავადნი და საპატიო აზნაურნი.

8 მაისს, დილის 7 საათზე სამჯერ გაისროლეს ზარბაზანი და აგრეთვე კიდევ $8^1/_2$ საათზე და შემდეგ ამისა ყველა ეკკლესიებში დაიწყეს ზარების რეკა წირვის გადასახდელად. შეიკრიბნენ ყველანი და აგრეთვე საქართველოს მმართველი კოვალენსკი, რომელმაც ორის რუსის მოხელისა და ორის ქართველთა პირით შეუთვალა მთავარმართებელს კნორინგს ყოველივე მზად არისო. კნორინგი დიდის ზეიმით გამობრძანდა, მას წინ უძღოდნენ რუ-

*) იხ Сборн. матер. для опис. Тифл. губ., გვ. 23—30.

სის მოხელენი, ქართველთა თავადნი, გენერალნი; მოვიდა ინახულა შემოკრებილნი და დადგა მაგიდასთან და მიჰმართა ხალხს ზეიმის შესაფერი სიტყვით, რომელზედაც უპასუხა საქართველოს ყოფილ მთავრობის უპირველეს მოხელემ— იოანე ორბელიანმა. შემდეგ წაკითხულ იქმნა სია ყველა ახალ მოხელეთა და მერე ყველანი ერთად გაემგზავრნენ სიონის საკრებულო ტაძარში: წინ მიდიოდა ტფილისის თავი პოლიციის უფროსითურთ და პოლიციის მოხელეებითურთ; მათ შემდეგ 12 თავადნი წყვილ-წყვილად; მერე მთავარმართებელი თვისის ამალითა და გენარლებით; შემდეგ საქართველოს მმართველი ექსპედიციების მოხელეებითა, და გარეშემო მიჰყვებოდნენ ბატონიშვილნი, თავადნი, აზნაურნი; ჯარის ერთი ნაწილი წინ უძღოდა და მეორე კი უკან მიჰყვებოდა. სიონის კარებზე გამოეგებნენ ორნი არქიელნი საკმევლის კმევით. სწირავდა ტფილისის მიტროპოლიტი არსენი. წირვის შემდეგ ქართულადა და რუსულად წაკითხულ იქმნა ახალი დადგენილობა და ამასთანავე მოხელენი დაფიცებულ იქმნენ. შემდეგ უწმინდესმა კათალიკოს ანტონიმ გარდაიხადა სამადლობელი პარაკლისი, წავიდნენ იმ სახლში, რომელიც დანიშნულ იყო სამმართველო სადგურად. აქ რომ მოვიდნენ, კათალიკოსმა აკურთხა წყალი, წმ. წყლით ასხურა პალატნი, საცა იმავე დღეს შესდგა საქართველოს უმაღლესის საბჭოს პირველი სხდომა. ამის შემდეგ კათალიკოსი, უპირველესი სამღვდელოება, მოხელენი, ბატონიშვილნი და სხვ. მიწვეულ იქმნენ სადილად მთავარმართებელთან. სადილის ჟამს უკრავდნენ მუსიკასა და სცლიდნენ ზარბაზანს.

ახალ მოხელეთა შესანახად გადადებულ იქმნა 80,939 მან. ყოველ წლივ.

იმავე დღეს დაწესებულ იქმნა პოლიციის კანცელარია ანუ საბჭო ქალაქის პოლიციისა. საბჭოში თავმჯდომარეობდა ციხის თავი, რომელსაც მებჭედ ჰყვანდა პოლიციის უფროსი. საბჭო მოვალე იყო გაერჩია მოქალაქეთა თხოვნები, საჩივრები, დაეცვა მშვიდობიანობა და სიწმინდავე მმართლმადიდებელ ეკკლესიისა, ამასთანავე მას უნდა თვალყური დაეჭირა, რომ კვირა-უქმე დღეებში საწინააღმდეგო არა მომხდარიყო-რა.

ყაზახისა, ბორჩალოსა და ბამბაკის მოურჩევებად დანიშნულ იქმნენ ქართველთა თავადნი და მათ თანაშემწედ რუსნი. ყარაბაღის სომეხნი დაშთნენ გამგეობასა ქვეშე მელიქებისა. გამოცხადებულ იქმნა სურვილი, რომ ორივე დედოფლები და ყველა ბატონიშვილნი, უმეტესად უფრო მოუსვენარნი მათგან, გადასახლებულიყვნენ რუსეთს, საცა მათ მიეცემოდათ საკმაო ულუფა. (ბუტკოვი, ტ II, გვ. 500).

მანიფესტის გამოცხადების შემდეგ შესახებ ქართლის შეერთებისა რუსეთთან და შემდეგ იმისა, რომ ახალს მმართველობაში არც ერთი ბატონიშვილი არ იქმნა დანიშნული, *) ეს უკანასკნელნი გულნაკლულად დარჩნენ. ესენი სცდილობდნენ ამბოხება და არეულობა მოეხდინათ საქართველოსა და ტფილისში. მალე გავრცელდა ხმები, რომ რუსებს ჰსურთ ყველა ქართველნი რუსეთში გადაასახლონო, საქართველოში კი ყაზახები დაასახლონო, ორი წლის ხარკი ერთბაშად

---

*) პირველ მდივანბეკებად განწესებულ იქმნენ: ზაალ ბარათაშვილი, იოანე ჩოლაყაშვილი, ეგნატე და სულხან თუმანიშვილნი და ტფილისის ობერ-პოლიციმეისტერი დარჩო ბებუთაშვილი (Сборн. свѣд. о Кавказѣ, VI. გვ 300)

აიღონო და სხ. ამ ხმებმა შეარყია მყუდროება. 1802 წელს შეთქმულთ განიზრახეს ავლაბრის ხიდის დაწვა. მათ ნავთი წასცხეს ხიდის სვეტებს და წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ პოლიციამ დროზედ შეიტყო და ხიდი გადაარჩინა გადაწვას. ეს საქმე სხვას არავის მიეწერებოდა, თუ არა დარია დედოფალს, რომელიც სცხოვრებდა ავლაბრის სასახლეში. ამისა გამო ავლაბარში დააყენეს ერთი დასი ჯარი (ბუტკოვი, ტ. II, გვ. 535, შენ. 2).

ეს იყო მიზეზი, რომ ყველა დედოფალნი და ბატონიშკილნი, გარდა ალექსანდრე ერეკლეს ძისა და ლევან იულონის ძისა, გარდასახლებულ იქმნენ რუსეთს...

—

რუსის მთავრობის დაფიქრების შემდეგ ტფილისში მთავარმართველმა კნორინგმა შეადგინა საპოლიციო წესდება ტფილისისათვის.

ამ წესდების *) ძალით ტფილისი, საცა მაშინ. იყო 2,000 სახლი და მისი უბანი ავლაბარი, საცა იყო 300-ზე მეტი სახლი, გაყოფილ იქმნა 4 ნაწილად და ყოველი ნაწილი 2 უბნად, ნაწილის გამგედ დანიშნულ იქმნა თითო იასაული, ხოლო უბნისა—თითო ასისთავი და 3 ათისთავი; უბნის ქუჩების თავსა და ბოლოს ლამ-ლამობით უნდა მდგარიყვნენ გუშაგნი, რიგ-რიგობისად გამოყვანილნი ყველა მცხოვრებთაგან; ქალაქი და მეტადრე უმთავრესი ქუჩები უნდა განათებულ ყოფილიყო ლამპრებით; ტფილისში დაარსდა პოლიციის კანცელარია ანუ გამგეობა, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ერისთავი და მებუქედ პოლიციის უფროსი.

*) Сборн. матер. для опис. Тифл. г, гв. 301.

ამავე წელს (1801 წ.) ტფილისში იწყებს მოქმედებას საგუბერნიო ხაზინა.

2 სექტემბერს 1802 წ. კნორინგი და კოვალენსკი, რომელთაც უბიოდნენ აქაურები უმაღლეს კარის წინაშე, გაწვეულ იქმნენ რუსეთს და მთავარმართებლად დანიშნულ იქმნა თავადი ციციანოვი. ახალი მთავარმართებელი მოვიდა ტფილისში 1 თებერვალს 1803 წ. ამან მოსპო ამბოხება, შეიპყრო დედოფალი, ბატონიშვილნი დავითი, ვახტანგი და ბაგრატი და ვადაასახლა რუსეთს; 4 ივნისს 1803 წ. მოახდინა პირველი სათავად-აზნაურო ყრილობა და ამ ყრილობამ პირველ მარშლად ამოირჩია გარსევან ჭავჭავაძე. [2])

იმავე წელს მოხდა ოფიციალური აღწერა ტფილისისა და ამ აღწერამ აღმოაჩინა შემდეგი: [3])

ა) ქალაქის პირველ ნახევარს არტყია გარეშემო ქვითკირის გალავანი, მის შუაში ციხე ასრეკვე გამაგრებული.

ბ) ქალაქის ნახევარს ჰქვიან ავლაბარი, რომელსაც არტყია ქვითკირის გალავანი და მას აქვს სიმაგრე—მუტეხი.

გ) ქალაქის ორივე მხარე გაყოფილია 4 ნაწილად:—მუხრანისა, წაეკისისა, მაისა და ავლაბრისა; მათში 3,000 სახლია, 20,000-ზედ მკვიდრები სხვა-დასხვა საარწმუნოებისა. ეკკლესიანი ქართველთა არის 15, სომეხთა 24, ბერძენთა 1, კათოლიკეთა 1 და მეჩითი 1; დუქნები ფარეულობისა 85, საწვრილმალო 63, სა-

[2]) იქვე, გვ. 302.

[3]) იქვე, გვ. 302,

ხელოსნო 310, სასანოვაგეო 76 და ღვინის სარდაფი 40.

გარნა ამ აღწერას წინ უძღოდა დიდი დაბრკოლებანი და ამიტომ შეკრებილი ცნობები არ შეიძლება ჩავთვალოთ იმად, რაც ნამდვილად იყო ტფილისში. ციხისთავი, თავადი საკაძე სწერს ციციანოვს, რომ ცნობების შემკრებელთ სახლებში არ უშვებდნენო და თვითონ სახლის პატრონები იმის მაგიერ, რომ მართალი ცნობები მოეცათ, წყეველ-მუქარით ეგებებოდნენ აღმწერელთო. და ამიტომ ცნობები შეიკრიბა მხოლოდ შემთხვევით და ფარულადო.

იმავე წლის 3 მარტს ციციანოვმა უბრძანა ციხისთავს საკაძეს: *) სასტიკად დაცულ იქმნეს ტფილისში სისუფთავე, ვის სახლის წინაც შეინიშნება უწმინდურობა, იმავე სახლის პატრონს დაევალოს მისი გაწმენდა; ყველა დუქნები დაიკეტოს ხოლმე საღამოს 7 საათზე; ქალაქის გარედ გაიმართოს საყასბო და აღკრძალულ იქმნეს ხოცვა საქონლისა შიგ ქალაქში; საყასბოდგან შემოტანილი ხორცი გახვეულ იქმნეს ტილოში, რომ არ მოეცხოს მას მტვერი; ტყავების გამოსაქნელი ქარხნები გატანილ იქმნეს ქალაქის განაპირას. ქალაქის სახლები აშენებულია უწესოდა და ქუჩების შევიწროებით, აღეკრძალოთ ამის შემდეგ შენობათა აგება ჩემ მიერ ნებადაურთველად.

ბუტკოვი ამბობს (ტ. II, გვ. 453): „უნდა ვიცოდეთ, რომ ტფილისი თუმცა ვიწრო არ არის, გარწა მცხოვრებნი არ ბინავდებოდნენ მისის გალავნის გარეთ, შიშისა გამო ლეკთა თავსდასხმისა, მიუხედავად

*) იქვე, გვ. 303.

იმისა, რომ ტფილისში ერთი ოთხ-კუთხე ალაბი სამოსახლო ალაგი ჯერ კიდევ 1805 წელსაც ისყიდებოდა 40 მან. ვერ,ცხლად“.

იმავე 1803 წელს ციციანოვმა გამოუცხადა ქალაქის მცხოვრებთ: საჭიროა ქალაქში იყოს ჯარი, ხოლო ლაშქარი ვერ იცხოვრებს ქუჩებში, მისთვის უნდა გაკეთდეს სადგური; თუ ქალაქელთ არა სურთ სახლებში ჩაიყენონ ჯარის კაცნი, უნდა გამოიღონ 15,000 მან. სადგურის ასაშენებლად. ეს ხარჯი დაეკისრება ყველას ერთნაირად—მდიდარ ვაჭარსა და ისე ღარიბსაც და უპირველეს თავადსაც, რომელსაც სახლი აქვს ქალაქში. *)

22 სექტემბერს 1802 წელს გახსნილი ორ კლასიანი სასწავლებელი საქართველოს კეთილშობილთა ყრმათათვის ოთხ-კლასიანად გარდაკეთებულ იქმნა 1803 წელს. [2])

ამავე წლის დამდეგს ქალაქში დაარსდა სამკურნალო უწყება, ხოლო 1804 წ. ზარაფხანა და 1805 წ. ფოსტის უწყება და ამავე წელს შეუდგნენ საქართველოს სამხედრო გზის კეთებას. [3])

ამავე 1803 წ. ტფილისში გაჩნდა ჟამი და ქალაქის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი და ქართველთა სამღვდელოება ტფილისიდამ გაიხიზნა. 17 ნოემბერს ქალაქში გაჩნდა დიდი ცეცხლი, რომელმაც 150,000 მან. ზარალი მისცა მცხოვრებთ, და ცეცხლისაგან დაზიანდა აგრეთვე სიონის ტაძარი, რომელსაც დაეწვა 10 დუქანი.

---

*) იქვე, გვ. 304.

[2]) იქვე, გვ. 303.

[3]) იქვე, გვ. 303.

1811 წელს გაუქმებულ იქმნა საქართველოს კათალიკოსობა, ანტონი II გადაასახლეს რუსეთს და საქართველოს ექსარხოსად დანიშნეს ვარლაამ ერისთავი.

ამ ვარლაამისა და მთავარმართებლის ტორმასოვის მოხსენებისამებრ უწმინდეს სინოდმა დაადგინა და ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრემ დამტკიცა*) (30 ივნისს 1811 წ.):

ა) 13 ეპარქიის მაგიერ საქართველოში (ამერეთში) იყოს მხოლოდ ორი ეპარქია—მცხეთისა, ქართლისა, ალაგერდისა და კახეთისა, 9 საარქიმანდრიტო შემცირდეს 5-ად.

ბ) მამადმთავარი საქართველოს სამღვდელოებისა იწოდოს მიტროპოლიტად მცხეთისა და ქართლისა, წევრად უუწმ. სინოდისა და ექსარხოსად საქართველოისა.

გ) დაწესდეს დიკასტერია გამგეობასა ქვეშე საქართველოის სამღვდელოების მამადმთავრისა და მის წევრებად—ეხლაცა და მერმეც—დანიშნულ იქმნენ სქემისანნი და სამღვდელონი.

დ) სასულიერო წოდების შვილთა აღსაზრდელად გიმნაზიის მაგიერ გაიხსნას სემინარია და აგრეთვე სასულიერო სასწავლებელნი.

ე) არქიელთა, არქიმანდრიტთა, დიკასტერიისა და სემინარიისა და აგრეთვე სასულიერო მოსამსახურეთა ქვრივ-ობლების შესაწევნელად ფული გადადებულ იქმნეს საეკლესიო ყმათა ხარკიდამ.

---

*) იხ. Всепод. докл. Синода, Держав., Велик. Государю Импер. и Самодержцу Всероссійскому, ხელმოწერილი იმპერ. ალექსანდრეს მიერ 20 ივნისს 1811 წ. (წერა კითხვის ბიბლიოთეკის № 36.)

3) საეკლესიო მიწები, რომელიც რუსის მთავრობის დადგენის შემდეგ განაწილებულ იქმნა, ისევ ეკლესიას დაუბრუნდეს.

ამავე მოხსენებიდამ მოგვყავს ვარლაამის-მიერ შედგენილი შემდეგი საყურადღებო ხარჯთ-აღრიცხვა: *)

საქართველოს სამღვდელოების მამადმთავარს, მცხეთისა და ქართლის არქიეპს, თანაშემწეებითურთ დაენიშნოს 5,000 მ.; წილკნის მთავარ-ეპისკოპოსს გერვასის, გორში მცხოვრებს 1,000 მ., მთავარ-ეპისკოპოსს იოანე ბოდბელს ალავერდის ეპარქიისას 2,500 მ.; დიკასტერიას 1,500 მან.; სასულიერო გიმნაზიას 3,400 მან.; სასულიერო სასწავლებელთ 2,000 მან.; ეკლესიათა შესაკეთებლად 3,300 მან. ყოველ წლივ; სამადლო სახლთ 2,000 მ.; გორისა და მარტყოფის ეკლესიათა შესანახადა და გასამშვენებლად 1,000 მ.; 5 არქიეპს ულუფა 3,800 მ.; ეკლესიათა შესანახად 2,860 მ.; ღვთის სათნო სადგური 1,000 მ.; 6 არქიმანდრიტს 6,100 მ.; მონასტერთა ეკლესიებს 700 მ. და სხვ., და სულ 39,584 მან.

28 დეკ. 1818 წ. უმაღლესის ბრძანებისამებრ საქართველოში დაწესებულ იქმნა ერთი ეპარქია—ქართლ-კახეთისა და ექსარხოსის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა ქორ-ეპისკოპოსი გორისა. 1. იან. 1825 წ. საქართველოში იყო: საკრებულო ტაძარი 11, შტატის სამრევლო ეკლესიები 311 და საეკლესიო გლეხთაგან შემოდიოდა 57,500 მანათიდგან 58,000 მანათამდე.[2])

---

*) იქვე, გვ. 4—5.

[2]) იხ. წიგნი Истор. Груз. іерархіи. Москва, Синод. типогр., 1886 წ., გვ. 25, 26, 27. 1811 წელს (იხ. ზევით) საქართველოში იყო: 799 ეკლესია, 746 მღვდელი, 146 მთავარი, 661 დიაკვანი, 6 არქიმანდრიტი, 75 ბერი და ეკლესიას შემოსავალი ჰქონდა 39,584 მან.

შენიშვნა. სინოდის მიერ გამოცემულს იმავე წიგნში სწერია,*) რომ საქართველოდ იწოდება ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და გურია, ხოლო მთელს საქართველოში არის ოთხი ეპარქია: ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, სამეგრელოსი და გურიისა. 1819 წლამდის იმერეთში იყო 4 ეპარქია: ქუთაისისა, გელათისა, ხონისა და რაჭისა, ხოლო შემდეგ ეს ეპარქიები ერთ ეპარქიად ჩაითვალნენ და მამადმთავრად დანიშნულ იქმნა სოფრონი (წულუკიძე), რომელიც 1821 წელს იწერება, რომ იმერეთში არის 15 მონასტერი, 2 საკრებულო ტაძარი, 618 სამრევლო ეკკლესია, 1,808 მეკომური საეკლესიო გლეხი, ერთი სამაზრო სკოლა ქუთაისში და 1 სამრევლო სკოლა ნიკორწმინდის (რაჭაში).—1819 წ. სამეგრელოში იყო 3 ეპარქია: ჭყონდიდისა, ცაგერისა და ცაიშისა, და მათში 233-მდე ეკკლესია, 2 არქიმანდრიტი, 49 ბერი.—გურიის ეკკლესიას ჰმართავდა ჯუმათელი (და მის შესახებ ჯერ ცნობა არ იყო შეკრებილი).

და, მაშასადამე, მთელს საქართველოში იყო ეპარქიები:

ა) იმერეთში: სამთავრო (მცხეთას), ტფილელი, სამთაველი, მრეველი, წილკნელი, ურბნელი, ნიქოზელი, ალავერდელი, ნინოწმინდელი, ხარჭაშნელი, ჭერამელი, კაწარელი, რუსთაველი, ნეკრესელი, ბოდბელი, ბოდნელი, მანგლელი, (და ძველად: ქურმუხელი, გიშელი).

ბ) სამცხეში (ძველად): მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, მტბევარი, წურწუმელი, წყაროსთაველი,

*) იქვე, გვ. 25.

ერუშნელი, ვალაშკერტელი, ანელი, კარელი, ბანელი, დადაშ-ნელი. *)

გ) საკუთარ იმერეთში: ქუთათელი, გენათელი, ვაკე-ლი (ხონის ეპისკოპოსი), ნიკორწმინდელი.

დ) სამეგრელოში: ზუონდიდელი, ცაგერელი, ცაი-შელი.

ე) გურიაში: ჯუმათელი. და სულ 40.

—

ტფილისის სიწმანდენი და წმიდანი.

ა) ნინოს ჯვარი.

ცოტაა ქალაქი, საცა არის იმისთანა და იმდენი სიწმიდე, როგორიც და რაოდენიც აქვს ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისს. უპირველესი ამ სიწმიდეთაგან არის წმ. ნინოს ჯვარი. ჭეშმარიტად ეს ჯვარი არის ჩვენი სასოება, ქართველთა ერის სიმბოლო, მისი მეოხება ხანგრძლივისა და გმირულ ცხოვრების განმავლო-

*) ამ ეპარქიათა სია შედგენილია მე XI—XII საუკუნეში (იხ. ბაქრაძისა Археол. путеш. по Гуріи и Адчарѣ), და ზოგიერთი მათგან არ იყო გაუქმებული თვით ოსმალთა მფლობელობის ჟამსაც. მაგ. 1556 წ. მტბევრად იყო ხახულარი წყმედიე საბა; 1637 წ. მტბევრად იყო გედეონ საფრიძე, რომელსაც 1650 წელს სულთანმა უბოძა წოდება იშხნელისა და მაწყვერელის. (იხ. თაყაიშვილის წიგნი „Матер. для исторіи Грузіи, გვ. 7, 11). ჩვენ ხელთ გვაქვს აგრეთვე სიგელები ზოსიმე კუმურდოელისა, იოანე ლასურიძისა კუმურდოელისა, გერასიმე კუმურდოელისა და ზოგიერთ სხვა ეპისკოპოსებთა, რომელნიც მამადმთავრობდა სამცხეში მე-XIV—XVI საუკ.

ბაში. ეს ის ჯვარია, რომელსაც ეამბორებოდნენ ჩვენნი პირველნი მამანი და დედანი, ეს ის ჯვარია, რომლისთვის თავი თვისი შესწირა წმ. აბომ, ტფილისის სამეუფო პატრონმა, წმ. შუშანიკმა, რომელიც ასაფლავია ტფილისის მეტეხის ტაძარში, წმ. ევსტათი მცხეთელმა, წმ. არჩილმა, წმ. გობრონმა, წმ. დავითმა და კოსტანტინემ, დიმიტრი თავდადებულმა, წმ. ქეთევან დედოფალმა, წმ. ბიძინამ, შალვამ ⁄ ელიზბარმა და სხ., მისთვისვე და მასვე მთელი თვისი ცხოვრება შესწირა ყოველმა ქართველმაც, და, ბოლოს, ეს ის ჯვარია, რომელიც გააკეთა სუსტის მცენარისაგან სუსტმა ქალწულმა და გადმოსცა მკლავ-მაგარ ქართველობას, რომელსაც ⁄ ვერავითარმა საშიშროებამა და მძვინვარებამ ვერ გააგდებინა იგი ხელიდგან, და დღეს ჩვენ, ნეტარ-ხსენებულ მამა-პაპათა შთამომავალნი, მსასოებელნი ვაზის ჯვარისა, იმედით ვუუკვრეტთ მომავალს...

თუმცა ძველი გადმოცემა გვეუბნება, რომ ჯვარი ვაზისა წმ. ნინოს ჩააბარა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა მარიამმაო, გარნა უუძველესს ჩვენს მატიანეში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) სწერია ესრეთ: „მოვიდა (ნინო), მდინარესა მტკუარსა მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა, და იყო სამ წელ ეგრეთ, ილოკვიდა ფარულად ადგილსა ერთსა, შებურვილსა ბრძანლითა მა ულისაჲთა; და შექმნა სახჱ ჯუარისაჲ ნასხლეგისაჲ დ. მუნ დაადგრა“.

ამავე მატიანის სხვა ადგილას თვით წმ. ნინო ამბობს: არმაზით „წამოვედ წინაკერძო დასასრულსა მის კლდისასა, სადა ძველ ქალაქი ყოფილიყო, და მას ადგილსა ყოფილარს ციხჱ, და მუნ დგა ხჱ მშუენიერი ბრინჯისაჲ, მაღალი და რტო მაღალი, მოვედ ქუეშჱ

ხესა მას და კამოგინიშ ნიში იგი ქრისტეს ჯუარისაჲ. და ვილოცევდი მუნ ექუს დღ“.

სჩანს, წმ. ნინოს კარგად სცოდნია დიდი მნიშვნელობა ვაზის ნასხლევისა, რომ მისგან გაუკეთებია ჯვარი ქართველთა მოსაქცევადა და სათაყვანოდ. ქრისტე ამბობს: „მე ვარ ვენახი (ვაზი) ჭეშმარიტი და მამა ჩემი მევენახე; მე ვარ ვენახი (ვაზი) და თქვენ რტონი; ვითარცა იგი ნასხლეჳსა ვერ ხელეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თვისით—უკეთუ არა ეგოს ვენახსა (ვაზსა) ზედა, ეგრეთვე არც თქუენ, უკეთუ არა დაადგრეთ ჩემთანა; რომელი დაადგრეს ჩემთანა და მე მასთანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი; უკეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემთანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი, და განჰხმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუას“. (იოანე, თ. 15, 1—7).

ეს ადგილი სახარებისა წმ. ნინოს მიუკერძებია საქართველოსათვის, ხოლო ეს ქვეყანა იმ თავითვე ითვლებოდა სამშობლოდ ვაზისა, რომლის ნაყოფის წვენს (ღვინოს) ამასთანავე აქვს საღვთო მნიშვნელობა და ქრისტეს დროიდგან იხმარება წმ. საიდუმლოში.

ვაზის ჯვარის თავგარდასავალი ისეთივეა, როგორიც იყო ხვედრი და ბედი ქართველთა. წმ. ნინოს მიძინების შემდეგ ეს ჯვარი ესვენა მცხეთის სამთავრო ტაძარში. ცეცხლ-თაყვანისმცემელთა შიშისაგამო წმ. შუშანიკმა იგი გადაატანინა ტაოს, აქედგან რამდენიმე ხნის შემდეგ წაასვენეს სპერს, მერე ჰქონდათ კაპოეტის ციხეში, ვანანდსა, ყარსსა და ანს. (მცხეთაში ესვენა 175 წლის განმავლობაში, კაპოეტის ციხესა და ვანანდაში 459 წ., ყარსში 164 წ., ანში 142 წ.). მონგოლებმა რომ ანი აიღეს (1239 წ.), ვაზის ჯვარი

რუსუდან დედოფლის განკარგულებით ეპისკოპოსებმა მოასვენეს მცხეთას. შემდეგ, საქართველოში რომ შიშიანობა შეიქმნა, იგი დამალეს მთიულეთს სამების ტაძარში (ყაზბეგს), მერე ანანურში და არშის ციხეს.

თქმულება არის, რომ, ვითომ, ეს ჯვარი საიდუმლოდ წაიღო რუსეთს საქართველოს მიტროპოლიტმა რომანოზმა (1749 წ.) და გადასცა ბაქარ ვახტანგის ძეს, რომელიც სცხოვრებდა სოფ. ლისკოვოში. გარნა ბუტკოვი სწერს (ტ. II, გვ. 510), რომ ჯვარი ვაზისა რუსეთში წაღებულ იქმნა მეფე ვახტანგ VI-ს მიერ 1724 წ. და მისმა ერთმა შვილის-შვილთაგანმა იგი უძღვნა იმპერატორს ალექსანდრეს (1801 წ.), ხოლო ამან დაუბრუნა ეს სიწმინდე საქართველოს 1802 წელს. ამ ჯვარის დასახვედრად (როდესაც მოასვენებდენ საქართველოში) შეიკრიბა დიდძალი ქართველობა დარიალიდგან მოკიდებული ტფილისამდის. თვით კათალიკოსი ანტონი და უმაღლესი სამღვდელოება მცხეთას მიეგებნენ ჯვარს, რომელიც მოჰქონდა მმართველს კოვალენსკის. კათალიკოსმა გამოართო ჯვარი და დიდის კრძალვით, შემოსილ სამღვდელოებასთან ერთად, მოიტანა ქალაქს და სიონში შეასვენა.

ჯვარი ვაზისა, რომელიც შეკრულია წმ. ნინოს თმებით, სიგრძით არის $1^1/_4$ ალაბი და სიგანით $^3/_4$. მისთვის გაკეთებულია ძვირფასი გვადრუცი. თაყვანისსაცემლად მას გამოასვენებენ ხოლმე ტაძარში 14 იანვარს, ე. ი. წმ. ნინოს მიძინების დღეს. თვით გვადრუცზედ შემდეგი წარწერაა: „დედაო ნინო, დედისა ღვთისა ნიჭებულსა ჯუარსა გიმკობ მეფე ვახტანგი,— რომლითა განანათლე ქუეყანა ქართლისა“.

ჯვარი ვაზისა.

(ნაწყვეტი ვ. ორბელიანის ლექსიდამ „ჯვარი ვაზისა“).

. . .

მიდის ასულდი *)... ხელს უშერია ჯვარი ვაზისა,

. . .

დედა წმინდასა წილხდომიდსა ქვეყანასა მიდის.

. . .

ვინ ხარ, ასულდო, სით მოხვედი, რა აზრი მოგაქვს?
რაც ხელს გიშერია, მნიშვნელობა, გვითხარი, რა აქვს?..
ივერის ერნო, უამბორეთ წმინდას ფერხთ მტვერსა;
თქვენში აღაგზნებს ქრისტეს ნათლის წმინდა ღამესარსა!
არა! ვერ იგრძნო წმინდის სიტყვა ერმა ყელურმა,
არ განაცხოველა მისი გული სიტყვამ ცოცხალმა!
წმინდამ ცრემლითა ცას მიმართა, ხელნი შეჭყარა:
ერი ყელური, კერპთ მსახური, დმერთს შეაყარა.

იელა ცამან, იჯექა ცამან,
გვნესით ხმა მისცა დაბლა ქვეყანამ;
შეირყა მიწა, შეირყა ზენა,
ბნელმა მოიცვა ცა და ქვეყანა...
აღდგა გრგვინვითა მრისხანე ქარი,
აენთო ცეცხლით ბნელი ცისკარი,
შეუსვენებლად ცა სჭექს და ელავს,
ჰაერი ცეცხლით და ადით დელავს,
სეტყვა და მეხი მიწის პირს სცემენ,
მრისხანე ქარნი ხეთ ძირით ჰგლეჯენ,

---

*) ლექსში აწერილია მოციქულთა სწორის წმ. ნინოს მოსვლა საქართველოში.

ცეცხლის ისროა ცა მიწას ესვრის,
ირეევა მიწა, ბუნება კვნესის...
ცამ მოიკრიფა, რაც ჰქონდა ძალი
და მიწას დასცა ცეცხლი და ალი:
მთანი და ბარნი დასქდნენ, დაიეკვნენ,
კერპთ მსახურთ ღმერთნი ქვესკნელს ჩაინთქნენ...
თვის მრისხანობა ცამ შეაყენა,
მზემ უხვის სხივით მორთო ქვეყანა.
წმინდის ფერხთ წინა დაემხო ერი,
წმინდამ მას ჯვარით დასწერა ჯვარი!...

. . .

არა, საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა:
ჯვარი ვაზისა!.. მადლი იმ ჯვარის
ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის!

ბ) წმ. შუშანიკი.

ეი ეს ნინოს ჯვარი წმ. შუშანიკმა, თავის წამებ-ბის რაოდენიმე ხნის წინად, მცხეთის ტაძრიდამ გამოასვენა და ჰაზარუვანქის მონასტერში დაასვენა.*) შუშანიკი იყო ცურტავის პიტაშხის მეუღლე და ასულ-სომხეთის მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანისა (ეს ვარდანი ცეცხლის თაყვანისმცემლებმა აწამეს 451 წ 2 ივნისს). ვასქენი და მისი ერი მართლმადიდებელნ-იყვნენ. მშვენიერის შუშანიკისაგან მას ჰყვანდა სამ-ვაჟი და ერთი ასული. იმ დროს სპარსეთის ყაენი იყო თაყვანისმცემელი ცეცხლისა და მოძულე ქრისტიანობისა. საქართველოსა და სომხეთში, რომელიც მაშინ

ებლობას აღიარებდა, ყაენმა გამოგზავნა
ის მქადაგებელნი და ლაშქარიც. ვასქენმა
მშობლოსა და ქრისტიანობას, ეახლა ყაენს,
ნისმცემლობა ირწმუნა და რანისა და ცურ-
აპანად შეიქმნა. მისი განდგომა რომ შე-
იკმა, სასახლე დასტოვა და თავის შვილე-
ეკკლესიაში, მწუხრის ჟამი მოისმინა, შვი-
ედრა ღმერთს და მერე დაბინავდა ერთს
მი, რომელიც იქვე ეკკლესიასთან იყო.
ტაეთს რომ მოვიდა, ძლიერ იწყინა, და-
იკი და იგი არ გამოცხადდა. მაგრამ შემ-
ით მიიყვანა სასახლეში, ბევრი სცემა,
პყრობილეში შეამწყვდია. დატყვევებულს
ინ ესვენა ნინოს ჯვარი და განუწყვეტ-
ლობდა. მისი შვილები ვასქენის ძალმომ-
ხლ-მსახურებად შეიქმნენ. ფრიად სწუხდა
ა მოელოდა თვისის აღსასრულის დღეს.
ანმავლობაში იგი იტანჯებოდა საპყრო-
სანახავად ქართლიდგან მოდიოდნენ კა-
ამოელ, აზნაურნი, დიდ-დიდნი სეფე ქალნი,
აურნი და უაზნონი. მემატიანე იტყვის:
ასაბამი ტანჯუათა მათ წმიდისა შუშანიკი-
აპანისასა*) მერვესა, დღესა ოთხშაბათსა და
ემა მისი აღვსებისა ზატიკსა და კვალად
ოდობის თთუსსა ათცხრამეტსა და აღსრუ-
თუსსა ოკდონბერსა ათშვიდმეტსა". (458 წ.)
ანიკის გვამი დასაფლავებულ იქმნა იქვე
ტაძარში, საიდგან იგი მოასვენა ტფილისს

კათალიკოზმა კირიონმა და დაკრძალა მეტეხის ტაძარში. მისს ხსენებას ქართველთა ეკკლესია დღესასწაულობს 28 აგვისტოს.

გ) წმ. აბო.

აბო—ქართველს განსმშვენებს, ტფილისსა ემზეების.

ნიკოლოზ ტფილელი.

აბო შთამომავლობით იყო არაბი და სცხოვრობდა მე-VIII საუკუნეში. მაშინ საქართველოში მძვინვარებდენ არაბნი. აქაურ არაბებმა თავის ქალიფას ამირა მუმლ აბდილას წინაშე დაასმინეს საქართველოს ერისთავთ-ერისთავი ნერსე, ძე ადარნასე კურატპალატისა. აბდილამ დაიბარა ნერსე და საპყრობილეში შეამწყვდია. ამის შემდეგ გავიდა 3 წელიწადი, აბდილა მოკვდა და ამირობა მიიღო მისმა შვილმა მაჰდიმ, რომელმაც გაანთავისუფლა ნერსე და გამოიხტუმრა. მას გამოჰყვა 18 წლის ჭაბუკი აბო, რომელიც იყო „ხელოვანი და კეთილად შემზავებელი სუნელთა და საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობით სარკინოზთათა“. იგი რომ მოვიდა საქართველოში, გულმოდგინედ შეისწავლა ენა ქართული, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები და შეიყვარა ქრისტე და მისი მსახურება. გარნა აქაურ სარკინოზთა შიშისაგამო აშკარად ვერ აღიარებდა თავის ქრისტიანობას. ეს არაბნი კვლავ გადაეკიდნენ ნერსე მთავარს, რომელიც იძულებულ იქმნა თვისი სახლობა დაეხიზნა აფხაზეთს და თვითონაც გაქცეულ იყო 300 კაცით ოსეთსა და ხაზარეთს. მის ამალაში იყო აგრეთვე აბოც, ხაზარეთში მაშინ

საკმაოდ გავრცელებულიყო ქრისტიანობა და იქ რომ მივიდნენ, აბო გაქრისტიანდა. ხაზარეთიდგან ნერსე გადავიდა აფხაზეთს, საცა აბო მხურვალედ მარხულობდა და ლოცულობდა. აქ დაჰყვეს მათ სამი თვე, მერე შეიტყეს, რომ ამირა მაჰდოს საქართველოს ერისთავთ-ერისთავად დაუნიშნავს ნერსეს დისწული სტეფანოზ გურგენის ძე. ნერსეს ფრიად გაურისხდა და დაბრუნდა სამშობლოში. აბოც მოვიდა ტფილისს და 3 წელიწადი დაჰყო ქალაქში „განცხადებულად ქრისტიანედ“. შემდეგ იგი შეასმინეს ტფილისის ყადს. აბო დაიბარეს სამსჯავროში და ჰკითხეს: «შენ შთამომავლობით არაბი ხარ და რად ქრისტიანობ?» აბომ მოახსენა, რომ ქრისტეს სჯული ჰეშმარიტიაო. ყადმა შეაგდო საპყრობილეში (27 დეკ. 785 წ.). აბო უფრო ფიცხლად შეუდგა ქრისტიანულ წესების აღსრულებასა, უმატა ლოცვასა და მარხვას. ყადმა ეს რომ შეუტყო, განრისხდა და ჯალათებს უბრძანა თავი გააგდებინეთო. ჯალათებმაც წარჰკვეთეს თავი აბოს ყადისავე ეზოში და შემდეგ მისნი ნაშთნი ტომარაში ჩაალაგეს, მიიტანეს ავლაბრის ხიდის ყურთან, ადგილსა საგოდებელსა, საცა იყო სასაფლაო, და დასწვეს (786 წ. 6 იანვარს).

აბო შეირაცხა წმიდათა შორის და მისს სახელობაზე მეტეხის კლდეში გამოკვეთილ იქმნა მცირე სამლოცველო. *)

---

*) წმ. აბოს ცხოვრება შედგენილი საბანისის მიერ მეცხრე საუკუნის დამდეგს, შეტანილია მე-IX საუკ. ხელნაწერებში (საეკლ. მუზ. №№ ები 19 და 95), საიდგანაც გადმოვსწერეთ და შევამზადეთ დასაბეჭდად.

დ) წმ. დავით გარეჯელი.

ქალაქ ტფილისში მოღვაწეობდა აგრეთვე ერთი ათცამეტთა კაბადოკიელ მამათაგანი—წმ. დავითი, რომელსაც სენაკი ჰქონდა იმ კლდეებში, საცა ახლა ცნობილი მთაწმინდის ტაძარია. ქალაქში მოღვაწეობას იგი გაეცალა მისთვის, რომ მას ცილი დასწამეს. ცილის დამწამებელი, როგორც თქმულება გადმოგვცემს, იყო ერთი დედაკაცი, რომელიც სცხოვრებდა იქ, საცა ახლა ქვაშვეთის ეკკლესიაა. ამ დედაკაცს ქმარი არა ჰყვანდა და დაორსულდა კი. მას რომ მხილება დაუწყეს, სთქვა: „დავორსულდი დავითისაგანო“. სამსჯავროომ ძიებწყია დავითი ჩვენების ჩამოსართმევად. დავითი რომ მოვიდა, ის დედაკაციც იქვე იყო. დავითმა თვისი არგანი შეახო ორსულ დედაკაცის მუცელს და წარმოსთქვა: „ყრმაო, მე ვარა მამა შენი?“ ყრმამ ხმა მოსცა მუცლიდგან: „არა! მამა ჩემი მჭედელია“. დამსწრეთ ძლიერ გაუკვირდათ და მათი გაკვირვება გაორკეცდა, როდესაც მცირე ხნის შემდეგ ორსული დაწვა და შობა ქვა, რის გამო იმ ადგილს დაერქვა ქვაშვეთი. ხოლო დავითმა აღარ მოინდომა დარჩომა იმ ქალაქში, საცა მას ცილი დასწამეს, ადგა და წავიდა გარეჯის უდაბნოში და იქ იწყო მუშაკობა და მოღვაწეობა. ამისაგამო დავით მთაწმინდელი შეიქმნა დავით გარეჯელად.

მოსე ჯანაშვილი.

ევროპის მეაბრეშუმობა.

(მოკლე განხილვა).

(ვეძღვნი საქართველოს მეაბრეშუმეთა ამხანაგობათ).

(დასასრული *)

პერმეცელის სიტყვით მთელს ქვეყანაზედ მოჰყავთ ამ ჟამად და ამზადებენ ყოველ წლობით 1,500 მილიონ ფრანკის სიდირად აბრეშუმს და ფარჩეულს; აქედან რომ გამოვქვითოთ აზია (უმეტესად ჩინეთი და იაპონია) დარჩება 1107 მილიონ ფრანკისა, ეს კი ნაწილდება ამ რიგად:

ქვეყნები	საფეიქრონი	ნაწარმოები მილ. ფრანკებად
საფრანგეთი	140,000	393
გერმანია	87,000	225
ინგლისი	77,000	110
ამ. შეერთ. შტატ.	45,000	105
შვეიცარია	35,000	80
რუსეთი	25,000	70 [1])
ავსტრია	15,000	55
იტალია	20,000	42
ისპანია	8,000	25
სულ . .	452,000	1,107 მილიონი ფრანკი)

*) იხ. „კრებული“ № VIII. 1899 წ.

[1]) ამ რიგად უზარმაზარი რუსეთი ჩამორჩენია პაწაწინა შვეიცარიასაც-კი.

საერთოდ უნდა აღვიაროთ, რომ მთელი მსოფლიოს მეაბრეშუმეობა წლიურად ისახება ამ რიგად:

აბრეშუმი (ძაფი) 20.000,000 კილოგრამი (საშუალოდ).

ფარჩეული — 1500.000,000 ფრანკისა (საშუალოდ.)

ევროპა-ამერიკის ქარხნები და საფეიქრონი ნთქავენ წლიურად 10—12 მილიონ კილოგრ. ძაფს და ამზადებენ 1,100 მილიონ ფრანკის სღირად ფარჩეულს. ერთი კილოგრამი აბრეშუმის ძაფი ღირს დღეს 40—60 ფრანკამდე. მოქსოვილი კი იყიდება ერთი კილოგრამი 100 ფრანკად (საშუალო რიცხვით), ასე რომ ქსოვილს ძაფთან შედარებით ერთი ორად მომატებია ფასი. ამ რიგად ნახევარი მთელი აბრეშუმეულის ფასისა, ე. ი. 750 მილიონი ფრანკი ყოველ წლობით წარმოუშობია ფარჩეულის ინდუსტრიას. მეორე ნახევარი ფასი კი, ე. ი. 750 მილიონი ფრანკი ეკუთვნის თვით მეაბრეშუმეობას.

XII

ბოლოს, სანამ დავასრულებდე ამ შრომას, არ იქნება ურიგო ვსთქვათ ორიოდე სიტყვა საფრანგეთის ფარჩეულის სკოლებზედაც.

ყველაზედ უკეთესი ტისუის, ე. ი. ფარჩეულის საქსოვი სკოლები არსებობენ ლიონში.*) აქ არის სამი უმთავრესი სასწავლებელი:

1) საქსოვი სკოლა კრუა-რუსზედ (ლიონის უბანია) (Ecole de tissage à la Croix Rousse) .ამ სკოლაში სწავ-

---

*) არის ეგრეთვე ქ. სანტ ეტიენში რუბანების (ლენტების) საქსოვი კარგი სკოლა.

ლა ძლიერ კარგადაა დაყენებული, ხოლო ფრანსიელთა და უმეტესად ლიონელთა გარდა არავის იღებენ. მისი კარები დაკეტილია უცხოელთათვის. სწავლის ქირაა წელიწადში 800 ფრანკი (300 მანეთი).

2) ლასალის სკოლა (Ecole Lassal). ეს წარმოადგენს ეზუიტთა სასწავლებელს და განაგებენ ეზუიტები; აქვეა ტისაჟის განყოფილება და საქმე გვარიანადაა დამდგარი. რამდენად ვიცი, ამ სკოლაში სამი წლის კურსია და წელიწადში სწავლის ქირა ღირს 600 ფრანკი (225 მან.); უცხოელთაც შეუძლიათ შიგ შესვლა.

3) კომერციული სკოლა. (Ecole de Commerce de Lyon). ეს სასწავლებელი ერთი საუკეთესოთაგანია მთელს საფრანგეთში და იღებენ მასში უცხოელებსაც. ეს სკოლა შესდგება სამს განყოფილებიდან: პირველს ეწოდება მოსამზადებელი კურსი (Cours préparatoire), გრძელდება მხოლოდ ერთ წელიწადს და სწავლის ქირა არის 500 ფრანკი (188 მან.). აქედან შეუძლია ყმაწვილს გადვიდეს ან ტისაჟის ნაწილში ან კომერციულისაში. მეორე არის კომერციული განყოფილება (Enseignement supérieur); აქ ასწავლიან ბანკების ოპერაციებს, კონტაბილიტეს (ე. ი. ანგარიშს და დავთრების ხმარებას), პოლიტიკურ ეკონომიას, ვაჭრობის ვითარებას, საქონლის გამოცნობას, ვაჭრობა-მრეწველობის კანონმდებლობას, ევროპიულ ენებს და სხ. ერთი სიტყვით ყოველივე მას, რაც შეეხება კომერციას. ეს კურსები გძელდება ორ წელიწადს და წლიური ქირაა 600 ფრანკი (225 მან.). მესამე განყოფილება კი არის ტისაჟის კურსი. (Cours de tissage). იგი შეიცავს ორ

ნაწილს: თეორიულს და პრაქტიკულს. პირველში ასწავლიან აბრეშუმის ჭიის აღზრდას, ფილატიურს, მულინაჟს, ტიტრაჟს და კონდიციონემანს, ტეინტურს, ურდისაჟს, პლიაჟს, რემეტაჟს, უმთავრეს არმურების გამოცნობას და შედგენას, ენის და ფასონეს დაშლა-გამოცნობას, სურათების კარტზედ გადაღებას და სხ.; აგრეთვე დაჰყავთ ყმაწვილები ტეინტურის, აპრეტის და ტისაჟის ქარხნებში და თვალ-და-თვალ უხსნიან ყველაფერს. პრაქტიკული ნაწილი კი წარმოადგენს ყოველ გვარ ფარჩეულის ქსოვას, აქვეა ვრცელი სახელოსნო, სადაც არიან მრავალი ხელის და მექანიკური საფეიქრონი თითქმის ყოველი სისტემისა; აქვეა მულინაჟის, კანეტაჟის და ურდისაჟის ყოველიკე მანქანები და მუშა-მოსპეციალეთა ხელმძღვანელობით მოწაფენი მუშაობენ ამ სახელოსნოებში. ტისაჟის განყოფილება შესდგება ერთი წლის კურსიდან და სწავლის ქირად იხდიან წელიწადში ფრანსიელნი 800 ფრ. (300 მან.) უცხოელნი კი 1,200 ფრ. (450 მან.). გარდა ამისა ყოველმა მოწაფემ უნდა შეიტანოს წლიურად 10 ფრანკი ბიბლიოთეკისათვის და 150—200 ფრ. (75 მ.) ფარჩეულის მინუშებისათვის და მანიპულაციებისათვის. ამას დავუმატოთ კიდევ 600 მანეთი ყმაწვილის წლიური ხარჯი (სახლი, ჭამა-სმა, ტან-ფეხი, წიგნები და სხ.), რაიცა სულ ერთიანად შეადგენს წელიწადში 1,125—1,150 მანეთამდე; ეს ხარჯი კი იმდენად დიდია, რომ თუ არა მდიდარს, სხვებს არ შეუძლიათ გაზარდონ მასში თავიანთი შვილები.

ეჭვი არაა, სწავლის ამოდენა ფასი გააკვირვებს

მკითხველს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთში სწავლის ქირა საყოველთაოდ ფრიად დიდია და გაცილებით ძვირი ვინემ სხვაგან. ეს ზემოთქმული საკომერციო სასწავლებელი კერძოა, აქვს მთავრობიდან მინიჭებული უმაღლეს სასწავლებელთა ყველა უფლებანი, დაყენებულია მშვენივრად, შემკულია საუკეთესო მცოდნე პროფესორებით და არის ლიონის შამბრდე-კომერსის მფარველობის ქვეშ. მასში სწავლა დამთავრებულ მოწაფეს მაშინვე აძლევენ კარგ ადგილს და ჯარის კაცადაც მხოლოდ ერთ წელიწადს მიჰყავთ (ეს ითქმის ფრანსიელებზედ). ამ სკოლაში იღებენ არა ნაკლებ 16 წლის ყმაწვილს, რომელსაც სთხოვენ ეგზამენს (ქალაქის სკოლის კურსს); უცხოელთ კი ამ შემთხვევაში შეღავათი აქვთ; შეუძლიათ დაიკავონ ეგზამენი წლის ბოლოს. ყველა უცხოელ ყმაწვილს სკოლის ადმინისტრაცია სთხოვს თავმდებს (correspondent); სწავლა იწყება 5 ოქტომბერს (ჩვენებურად 23 სექტემბერს). ამ ჟამად ამ სკოლაში ერთი ქართველიც იმყოფება.

გარდა ამ სკოლებისა არის ქსოვის შესასწავლად კიდევ სხვა ბევრად იაფი საშუალებანი; პირველი—ლიონის საქსოვი ქარხნები და სახელოსნონი. ზოგი ამათი პატრონნები უფასოდ, ან მცირე ფასად იღებენ შეგირდად ფრანსიელთ და უცხოელთაც (apprenti) და ამუშავებენ საფეიქროებზედ; ამ რიგად შეიძლება კაცმა შეისწავლოს ერთის ან რამდენიმე გვარ ფარჩეულის ქსოვა და მეტი არაფერი; ეს კი არ კმარა. მეორე—არის ლიონში ეგრედ წოდებული მარტინიეს სკოლა (Ecole de Martonier), სადაც იმართება სა-

ლამოს (საზამთრო) კურსები და გძელდება ოქტომბრიდან მარტამდე, (არის ეგრეთვე საზაფხულო კურსებიც). იღებენ ყველას, ეროვნების გაურჩეველად; ასწავლიან ფრანგულ ენას (გრამატიკას და ლიტერატურას), ანგარიშს, მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგებს, ფარჩეულის ქსოვას და სხ. კვდრაობით მიჰყავთ შეგირდები ზემოთქმულ საკომერციო სკოლის სახელოსნოებში და იქ ასწავლიან ქსოვას პრაქტიკულად. ყველა ამათებისთვის სათითაო საგანზედ შეგირდს შეაქვს ნახევარ წლის კურსზედ მხოლოდ 3 ფრ. (ე. ი. 1 მ. 10 კ.). ეს იმდენად მცირე ფასია, რომ ყველას შეუძლია გადიხადოს, ამიტომ მრავალი ღარიბი კაცი ეტანება ამ სკოლას.

მესამე საშუალება არის კერძო გაკვეთილები ჭრიფეს ხარებთან და სპეციალისტებთან, (ისინი ლიონში ბევრია). გაკვეთილი ღირს საათში 2—3 ფრან. და ხშირად 5-ც. ეს კი, ცოტა არ იყვეს, ძვირია, ხოლო ძლიერ სასარგებლოა. (სწორედ აქ ჩამოთვლილ საშუალებათ მიმართა ერთმა ხელვიწრო, მშრომელმა ქართველმა ტრ. ღ—ძემ, რომელიც ორი წელიწადი იმყოფებოდა ლიონში, სწავლობდა ბეჯითად მეაბრეშუმობას, განსაკუთრებით-კი ფარჩეულის ქსოვას (ტისაჟს). სწორედ ქების ღირსია ეს უმაწვილი კაცი, რომელიც არ შეუშინდა არავითარ დაბრკოლებას და გაჭირვებას, თვით საშინელ სიღარიბეს და შიმშილსაც კი, შეებრძოლა მათ და მიაღწია მიზანს. არ შემიძლია აქვე არ შევნიშნო გაკვრით, რომ არა ვგონებ, ჩვენი საზოგადოება ეპყრობოდეს სხვა რამეს ისე გულცივად და ისე უზრუნველად

იყოს ვინმე დატოვებული, როგორც ევროპაში მოსწავ-ლე ქართველი უმაწვილები; მაშინ, როდესაც ეს უმაწვი-ლები უმეტესად სწავლობენ იქ მეურნეობას, გამსჭვა-ლული არიან კეთილშობილურ აზრებით და ჰსურთ ემ-სახურონ თავიანთ სამშობლოს იმ მხრივ, რომელსაც იგი უფრო საჭიროებს, ე. ი. ჰსურთ აღადგინონ ჩვენი დაცემული მეოჯახობა; მაგრამ ბევრი მათგანი მეტად შეუწუხებია ნივთიერ გაჭირვებას, დამხმარე კი არა-ვინაა... აჰა კიდევ ჩვენი საზოგადოება-ინტელიგენ-ციის უგულობის შედეგი! რომელიმე უსარგებლო წევრისათვის ხანდახან ეს საზოგადოება რას არ ეც-დება და ცდილობს!? მართავს საღამოებს, წარმოდ-გენებს, ხელმოწერას და ათას რამეს. ამავე დროს შორს უცხოეთში ობლად გადაკარგული მეურნეობის შესა-სწავლად და საშინელ სიძვირეში ჩავარდნილი, ქვეყნი-სათვის ჭეშმარიტად სასარგებლო მოძმენი სრულიად უყურადღებოდა ჰყავთ მიტოვებული!...

ჩვენ ამ მცირე შრომაში შევეხეთ მოკლედ მეაბ-რეშუმობას და აბრეშუმის ინდუსტრიას. ეჭვი არაა, ამ მოკლე წერილში ჩვენ ვერ გამოვსახავდით ვრცლად ამ რთულ საგნებს; იძულებული გავხდით გამოგვეტო-ვა მრავალი მცირე სამნიშვნელო კითხვები და მხარეე-ბი; ბევრიც კიდევ დაგვრჩა არა საკმარისად ახსნილი და გამორკვეული. იმედია, ჩვენი ძვირფასი მკითხვე-ლი მოგვეპყრობა სულგრძელად და მოგვიტევებს ჩვენს ნაკლს, მით უმეტეს, რომ ეს ჩემი პირველი შრომაა ამ საგანზედ. დასასრულ, ნება მიბოძეთ ორიოდ სიტყვა

მოგახსენოთ, თუ რა ფასებშია დღეს აბრეშუმი ევროპაში და რა ამბები ხდება იქა.

როგორც ზევით ვსთქვით, ამ საუკუნეში დღემდე ფარჩეულში პირველი ალაგი ეკავა და უკავია კიდევ საფრანგეთს. ამ ხანად მის მეტოქეებად გამოსულან სამი ქვეყანა: გერმანია, შვეიცარია და ამერიკის შტატები; ამათ ლამის წაართვან საფრანგეთს ბაზრები და გამოაცალონ ხელიდგან ერთი უმთავრესი სიმდიდრე. როგორც პერმეცელის სიტყვიდან სჩანს ამ 8—10 წლის წინად საფრანგეთის ფარჩეულის ფასი წლიურად ადიოდა თითქმის 400 მილიონ ფრანკზედ, გერმანიის 225 მილიონზედ, შვეიცარიის 80 მილიონზედ და ამერიკის 105 მილიონზედ. დღეს კი საფრანგეთში ჰქსოვენ მხოლოდ 405 მილიონისას. შვეიცარიაში კი 150 მილიონისას, გერმანიაში 300 მილიონზედ მეტს, ამერიკაშიაც 200 მილიონამდე. ამასთანავე ამ სამს ქვეყანაში საფეიქრონი (მეტადრე მექანიკური) იზრდებიან საოცარის სისწრაფით, მაშინ როდესაც საფრანგეთში ხელის საფეიქრონი თითქმის განახევრებულან, (წინეთ იყო 100 ათასი, ახლა კი მხოლოდ 50 ათასი; მექანიკური საფეიქრონი კი მომატებულ ნ; იყო 20 ათასი, არის ახლა 28 ათასი). ამ რიგად მ ათ წელიწადში საფრანგეთის ფარჩეულს უმატნია 1—2%-ით, გერმანია-ამერიკა-შვეიცარიის ფარჩეულს კი 30—45%-ით. *) და თუ ამ რიგად იარეს, ეკვი არაა, მალე ჩამოირჩენენ საფრანგეთს. საგულისხმოა კიდევ ის ცნობა, რომ აქამდე ამერიკას გაჰქონდა წლიურად საფრანგეთიდან 40—

*) იხ. ჟურნ. «L'economiste français» № 45, 1898 წ. გვ. 616—617.

50 მილიონის ფ. რჩეული, ახლა კი მხოლოდ 20—23 მილიონის, და ისიც მალე შეწყდება. არა უკეთეს ყოფაშია ლიონის განთქმული კონდიციონიც. როგორც ზევით ვსთქვით, აქამდე იგი უუპირველესად ითვლებოდა მთელს ევროპაზედ და თუმც ახლაც საკმაოდ იზრდება, მაგრამ მაინც ჩამორჩენია სხვას და პირველობა დაუთმია მილანისათვის (იტალია). აი რიცხვებიც:

	ლიონი.	მილანი.
1894 წ.	—5.839,648 კილო (უბრალო ლ. დამზ. ქაფი)	5.775,270 კილო (უბრალო ლ. დამზ. ქაფი)
1895 წ.	—6.825,546 „ „	6.915,965 „ „
1896 წ.	—6.086,587 „ „	6.264,015 „ „
1897 წ.	—6 799,309 „ „	7.416,955 „ „[1])

ამ მოვლენამ ფრიად დააფიქრა საფრანგეთი და შეუდგა უკვე ამათ მიზეზთა ძიებას, რაც შეეხება ამ წლის აბრეშუმის ფასებს საფრანგეთში. აი რას შეიცავენ ამ უკანასკნელ სამი თვის ფასები:

1 კილოგრამი	შუალო (უმი)	ტრამი (ეკეთილ ორგანზინი (ეკეთ-	
	აბრეშუმი (ეკეთილ ხარისხის).	ხარისხის).	ილ ხარისხის).
საფრანგეთი . .	40 – 49 ფრ.	47—48 ფრ.	45—52 ფრ.
იტალია	41—45 „	46 „	48—50 „
პიემონტი . . .	42—46 „	47 „	49—50 „
სირია	41—44 „	—	45—48 „
ჩინეთი	24½-43 „	33—40 „	37—48 „
იაპონია	41-43½ „	43—47 „	44—49 „
სათათრ. (ბრუსი)	38½-44 „	—	42½-44 „*)

---

[1]) იქვე.

*) იხ. ეკურ. „Bulletin des soieries“ № 1122. 1898 წ. და ეკურნ. «Le moniteur de Soie» № 1884. 1898 წ.

გამხმარი პარკის ფასი კი საფრანგეთში ამ ჟამად ადის 10—12 ფრანკამდე ერთი კილოგრამი; ხან-და-ხან ადის 13—14 ფრანკზედაც. ამ რიგად, რომ ავიღოთ სულ მცირე ფასი 10 ფრანკი კილოზედ, ჩვენებურ გირვანქას ხვდება 4 ფრ. ანუ 1 მან. 50 კაპ. ჩვენ ვიცით, რომ ორთა-შუა რიცხვით 3 გირვანქა ნედლი პარკი აკეთებს ერთ გირვანქა ხმელ პარკს. ამ რიგად გირვანქა ნედლი პარკის უკანასკნელი ფასი ყოფილა 50 კაპ. ჩვენ კი ვყიდით მას აბაზად, ხუთშაურად და იშვიათად ექვს შაურად. ამ რიგად ვჰკარგავთ ნახევარ ფასად ჩვენს ძვირფასს, შრომით და ოფლით მოწეულ ნაწარმოებს.

XIII

ახლა ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენში მეაბრეშუმობა? თუ ვერწმუნებით ისტორიკოსთ, წინანდელ დროში იგი ყოფილა საკმაოდ განვითარებული. შემდეგ ცუდ პირობათა ზეგავლენით მეაბრეშუმობა ძლიერ შემცირებულა; 60—70-ან წლებში ისევ იწყება ჩვენში მეაბრეშუმობის აღორძინება, მაგრამ მალე მისი ზრდა ძლიერ შეაფერხა სხვა-და-სხვა ჭირმა; მასთან ძაფის ფასის დაცემამ. (წინად იყიდებოდა 5—6 მანეთში გირვანქა, შემდეგ კი 6—7 აბაზში). ამ ბოლო დროს მეაბრეშუმეთა ამხანაგობათა დაარსებამ ძლიერ შეუწყო ხელი ამ დარგის აღორძინებას თავის საღ თესლით, და უმეტესად ჩარჩებთან ბრძოლით. მეაბრეშუმობის განვითარებას ჩვენ ვატყობთ უმეტესად ქვემო იმერეთში და გურია-სამეგრელოში, თუმც საქართვე-

ლოს უმთავრესი ნაწილი წარმოადგენს შვენიერ პირობებს ამ დარგისათვის.

მეაბრეშუმობა სოფლისათვის დიდად სასარგებლოა და გლეხის ღარიბ ოჯახის დიდი დამხმარე, ხოლო მამაკაცი ვერ გაცდება მისთვის (არ აძლევს დიდ ხეირს), იგი ქალების და ბავშვების საქმეა; ამ რიგად ისინი ორსამ თვეში შეიძენენ რამდენიმე ათ მანეთს და მით შეიტანენ თავიანთ წვლილს ოჯახის საერთო ეკონომიაში. მასთან სასურველია ძლიერ, რომ საბრეშუმო ამხანაგობებმა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება თუთის საყოველთაოდ გამრავლებას, რის უქონლობა მეტად აფერხებს მეაბრეშუმობის გავრცელებას. ბჟოლის ანუ თუთის ხე არამც თუ იძლევა აბრეშუმის ჭიის საზრდოს, არამედ იგი ფრიად სასარგებლოა, როგორც ვენახის კარგი ხარდნის (ჭიგოს) მომცემი და მასთან როგორც კარგი საწვავი და სადურგლე ხე. მისი ნაყოფი კი მეტად გემრიელი საჭმელია და თან იძლევა მშვენიერ არაყს. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ბლომად გავამრავლოთ ყველგან ეს ფრიად სასარგებლო მცენარე. ხალხს უნდა ჰქონდეს თუთის ფოთოლი რაც შეიძლება ბლომად, უნდა მიეცეს აბრეშუმის ჭიის საღი თესლი, უნდა მოვაცალოთ წურბელა-ჩარჩნი, უნდა ავუწიოთ ფასები ნაწარმოებს, უნდა ვასწავლოთ ჭიის საზრიანი მოვლა და აღზრდა, ამ რიგად ყველანი გაედევნებიან მეაბრეშუმობას.

ჩვენი მეაბრეშუმობის მეორე დამღუპველი მხარეა ის, რომ ჩვენ (ორიოდ გარდა) არა გვაქვს ევროპიული ფილატიურები, ვიღებთ ჩვენებურ სამუხელათი მეტად ტლანქს და უვარგისს ძაფს, რის გამო მისი ფასი მსოფლიო ბაზარზედ ფრიად მცირეა, ამ რიგად ან ვჰკარ-

გავთ ძაფად სულ ოხრის ფასად, ან არა და ვყიდით პარკად, რითაც ეგრეთვე დიდათ ვზარალობთ. ჩვენი აბრეშუმი უმეტესად გააქვთ (ეგონებ ახლაც) ტრაპიზონსა და სტამბოლში, იქ ურევენ სხვა აბრეშუმში და სათრეთ-სირიის აბრეშუმის სახელით იყიდება მდაბალ ფასებში უმეტესად საფრანგეთში. ბევრი ვეძებე საფრანგეთის საბრეშუმო ბიულეტენებში, წიგნებში და ჟურნალებში და ვერსად ვერ ვნახე ვერც საქართველო და ვერც კავკასია, რთგორც აბრეშუმის პირდაპირი გამყიდველნი. თვით ჩვენი აბრეშუმის ტიპი, სახელი დაკარგულია, დარჩენილა სირიის და სათათრეთის (ბრუსის) სახელები. აი ამ საზარალო მოვლენას მივაქცევ ქართველ მეაბრეშუმეთა და ამხანაგობათა ყურადღებას და ვურჩევ გულით გაიცნონ ევროპა, გაიცნონ საფრანგეთი (ლიონი), ლიონის კონდისიონი, შამბრ დე-კომერსი და დიდი საბრეშუმო ფირმები, პირდაპირ მათთან დაიკავონ საქმე და ამ რიგად მოიშორონ თავიდგან მავნე შუამავლები, ე. ი. სხვა-დასხვა საეჭვო ფირმების აგენტები და ვაჭრუკები, რომელნიც ერთის მხრით გვატყუებენ და გვწოვენ ჩვენ, მეორე მხრით კი ათას გვარ ფალსიფიკაციით ამცირებენ ჩვენი აბრეშუმის ფასებს და უტეხენ მას სახელს მსოფლიო ბაზარზედ, ან ხშირად უკარგვენ სრულიად თავის ტიპსა და სახელს. ეგრეთვე ჩვენ უნდა ვყიდოთ პირდაპირ რუსეთის დიდ ფირმებზედ ჩვენი აბრეშუმი, მეტადრე ძაფად.

ამხანაგობათა ყურადღება მსურს კიდევ მივაქცეო ფილატიურების და მულინაჟის დაარსებას. მათი მოწყობა და მანქანები არაა მაინცდამაინც ძვირი, ფრიად სახეირო კია. დრო არის დავასვენოთ სამუდამოდ ჩვე-

ნი მედიას დროინდელი სამუნელა, ჯარა და თითინ-ტრები და მიეკუოთ ხელი ევროპიულ ფილატიურს, ლევიდაუს და სართავ მანქანებს. ამათების შეძენა გლეხთ თავის თავად არ შეუძლიათ; საჭირო აქაც დაეხმარონ მათ ამხანაგობანი. ფილატიურა. მულინაუს კი უნდა მოჰყვეს ტეინტური, ე. ი. ძაფის გამოხარშვა და შეღება. ამ დარგისათვისაც საჭიროა მცოდნე პირები (სპეციალისტები). შემდეგ უნდა გაჩნდეს ევროპიული ხელის საფეიქრონი და მექანიკები, ე. ი. უნდა შამოიღოთ ეგრეთიული ტისაკი. ამ ჟამად კი ტისაკის ქარხანები ჩვენში ადრეა და ვერ იხეირებენ, რადგან არა გვაქვს სიმათო ძაფი, და თუ გამოვიწერთ მას ევროპა-რუსეთიდან, მის მაგიერ კი პარკებს გავუგზავნით, ამით ჩვენ შორს ვერ წავალთ; ამას ისეე პირდაპირ ფარჩეულის ყიდვა აჯობებს; *) ამიტომ ჯერ უნდა ვეცადოთ ძლიერ და დავამზადოთ მხოლოდ მასალა, ე. ი. კარგად ამოხვეული, დაგრეხილ-გამოხარშული და შეღებილი ძაფი, შემდეგ კი ვქსოვოთ მისგან ნაჩი და ძვირფასი ფარჩეული. — რომ მეაბრეშუმობას და მის ინდუსტრიას დიდი შედეგი მოელის ჩვენში, ამაში უნდა ვიყოთ სრულიად დარწმუნებული. ერთი რომ ჩვენი ხელის შემწყობია საუკეთესო გეოგრაფიული და კლიმატოლოგიური პირობანი, მეორე სოფლის ხალხისა, ე. ი. ქალისა და

*) შეიძლება დავაარსოთ საქსოვი პაწია სახელოსნონი და ვქსოვოთ უბრალო ფარჩეული (ხოლო ბევრად გაუმჯობესებული ვინემ ჩვენი დარაიაა), მაგ. უნი, ტაფტა, სერჟე და სხვ. ძვირფას ფარჩეულთ კი მაგ. სატენს, ფასონეს, ხავერდს და სხვ. ჯერ ჩვენ ვერ მოვქსოვთ, შესაფერ ძაფის უქონლობის გამო.

ავტორი.

ბავშვების სიმრავლე, რომელნიც ევროპიელებივით არ არიან ქარხანა-ფაბრიკებში შემწყვდეული, არამედ არიან თითქმის უსაქმურად მთელი წელიწადი. მესამე კი უმეტესად ის, რომ ჩვენ გვაქვს უუდიდესი ბაზარი,—ესაა ვრცელი რუსეთი თავის 120 მილიონ მცხოვრებით. ამ მხრივ ჩვენ გაცილებით უკეთეს პირობაში ვართ, ვინემ ევროპა-ამერიკა. ისინი ერთმანეთს ებრძვიან და აცლიან ბაზარს; ჩვენ კი როგორც აბრეშუმის, აგრეთვე ყოველივე სამეურნეო-სამრეწველო ნაწარმოებთა, გამსაღებლად გვეყოლება რუსეთი, რომელიც სიხარულით მიიღებს ჩვენს ყოველივე ნაწარმოებს და დაუკეტს კარებს ევროპა-ამერიკის საქონელს. ჩვენ კი ერთი-და დაგვრჩენია: ესაა სწავლა, მხნეობა, საერთო შრომა, მეცადინობა და მომავალი ჩვენია. ამ რიგად ადვილად ვსძლევთ ყოველივე დაბრკოლებას, მოვიშორებთ წურბელებს და მკბენართ, გავმაგრდებით წელში, შევიკრებთ ნივთიერ ძალ-ღონეს და მხნედ დავადგებით კულტურის, განათლება-ცივილიზაციის და პროგრესის გზას. მაშ, მივსცეთ ძმურად ერთმანეთს ხელი ყოველმა ქართველმა, ყოველმა სოფლის მემამულემ და მუშამ, ვიშრომოთ ერთად, ვიმხნეოთ, ვსძლიოთ ყოველივე დაბრკოლებანი და გამარჯვება ჩვენია! გვახსოვდეს და გვამხნევებდეს შოთას უკვდავი სიტყვები:

„დიდთა ხეთა მოერევის მცირე დასწვავს ნაპერწკალი“.

ს. ქვარიანი.

სოფელი ბოსტანა.

(წარმოდგენილი მღ. ალ. ბარამიძისაგან).

ს. ბოსტანა მდებარეობს რაჭის მაზრის სადმელის საზოგადოებაში, ისამზღვრება: აღმოსავლეთით ღვიარის ღელე, დასავლეთით ს. ჩორჯო, სამხრეთით მდინარე რიონი და ჩრდილოეთით ს. ღვიარა. აქ ირიცხება 75 კომლი. მამრობითი სქესისანი არიან 266 და მდედრობითის 238. გვარად არიან: აზნაურები ყიფიანები, გლეხები ჯოხაძეები და ჯანგიძეები. წერა-კითხვა იციან ორისავე სქესისამ 173 სულმა. ამათგან სასწავლებელში ნასწავლი არიან 59; მოხელეები არიან: დურგალი, კალატოზი, მეწაღე, მხერხავი. დაბაღი, თერძი, ჭედელი.

ამ საზოგადოებაში სოფლის ბოსტანაზედ პატარა სოფელი არ არის და ამიტომაც ალბად მიუმსგავსებიათ ეს სოფელი ბოსტნისათვის და დაურქმევიათ ეს სახელი. აქ მიწაა ერთობ ქვიშნარი—მშრალი. რაც უნდა იწვიმოს, ტალახი სხვა სოფლებივით არ დგება, ამიტომ როდესაც გვალვაა, მოსავალი ძლიერ მცირედ მოდის. საზოგადოდ რაჭაში მეწყერი იცის, მაგრამ ბოსტანაში მისი სახსენებელიც არ არის.

სახნავ-სათესის სახელებია აქ: გუნდაური, სიბის-კარი, ღვლერჭია, ვაშლარა, სამბაბია, ლაზმაური, ნაციხვარა, შინდის-ყანა, საბადგე, ღორის-თავა, ნაისხარი, ღელეტეხილი, ჩიკვაური, სამჭიკია, ფაქუჩა, საელიო, ლა-

შე, ვენახი ბოლო, დიდ-მიდორი, ნაფუზვარი, ჭალა, მამაისი, სხეფონი, ბუზნაური, კონტახა, შოშია, მინდრუკა, ყორნალა, სამღვთო ღელე, ღელე ქვეშ, საჯვარე.

ტყეები: ეწერი, საფინია, ვაკე ტყე, ხოშური.

მოსავალი მოდის აქ: პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, ცერცვი, ლობიო, მუხუდო, ოსპი, ცულიპირა.

ბოსტნეული: კომბოსტო, ოხრახუში, ნიახური, პრასი, ლახანა, ხახვი, ნიორი, ბოლოკი, ქინძი, ქონდარი, რეანი, კიტრი, ნესვი, საზამთრო, კვახი, ცერეცო, სტაფილო. მიწი-ვაშლი.

ხეხილი: ვაშლი, სხალი, ატამი, ბია, ბროწეული, კაკალი, გვირილა, ქლიავი, ტყემალი, ბალი, ბეოლა.

ყურძენი: თეთრა, მწვანე, შავი კაბისტონი, ალექსანდრეული, ხიხვი, უწყვეტი, წიწილიანი, არაბეული, რქა-წითელი, ნაგუთნეული, მოქათური, თბილული, რცხილი.

ერთი შესანიშნავი ჩვეულება აქვსთ, როგორც სოფელს ბოსტანაში, ეგრეთვე სრულიად რაჭაში. სახნავ-სათესი მიწა თითქმის შუაზედ აქვს გაყოფილი ოითოეულს მოსახლეს; ერთ ნახევარში რომ პურს დასთესენ, მეორე ნახევარში სიმინდს. მეორე წელს, სადაც სიმინდი იყო, პურს სთესენ და სადაც პური იყო, იქ სიმინდს და ამ წესს არაოდეს არ გარდახდებიან. ამის მიზეზი უნდა იყოს, ჩემის აზრის, რომ რაჭის მიწა, რაც მამა-პაპას უხნავს და უთესია, ის შვილის-შვილი და მომავალი ხნავს, და სთესავს ყოველს წელს და როგორც იმერეთში, ადგილს არ შეუსვენებენ, მაგრამ მოსავალი მაინც კარგი იცის.

მამა-პაპიდგან გარდმონაცემი ცრუ-მორწმუნე ჩვეულებანი კიდევ არსებობს, როგორც მთელ რაჭაში. ისე

აქაც, თუმცა თან-და-თან კი სუსტდება მათი გავლენა. დავასახელებთ ზოგიერთს:

კორკოტობა: კორკოტს ამზადებენ ხვარბალი პუ-რისაგან. იმას გაარჩევენ წინ დღით, გარეცხენ კარგად, დანაყვენ, რომ გარეთა კანი გაეცალოს და მოხარშვენ შობის წინ დღით, რომელსაც უწოდებენ შობის შემოლოცვას; საღამომდე მოიხარშება კარგად, საღამოს, ვახშმობის დროს დაასხმენ თაბახზედ, შეჭკაზმენ მარილით და ხახვით და როცა სუფრას გააწყობენ ვახშმად ამ გობზედ დაანთებენ ჯვარის სახედ ოთხ წმინდა სანთელს და რომელიც უფროსი ქალია ოჯახში, შეეხვეწება ღმერთს მრთელი ოჯახის მშვიდობიანობის და კარგი მოსავლიანობისათვის, და ამ ლოცვაში მთელი სახლობაც მონაწილეობას მიიღებს. შემდეგ ამ სანთლებს, ლოცვას რაც გადარჩება, აიღებენ გობიდან (თაბახიდან) და შიგნივ სახლის ოთახის იფრას მიაკვრენ და იქ დაიწვის. ამ კორკოტს დაასხმენ იმდენ თეფშზე, რამდენი სულიც ოჯახშია; თეფშის შუა გულზედ გაუკეთებენ ზეთის ჩასასხმელს და დაასხმენ ნიგვზის გამოხდილს ზეთს და შეექცევიან.

ახალ წელიწადი. ახალ წელიწადს ისე შეეხვარება ბოსტანელი და მრთელი რაჭა ყველა წოდების კაცი, როგორც აღდგომის დღესასწაულს; ის კაი ხნიდგან ემზადება ამ დღესასწაულის მისაგებებლად: ასუფთავებს ეზოს, მოაქვს ტყიდან მარხილით შეშა, რომელსაც ზევიდგან აქვს ჩარჭმული ორი-სამი შტო შქერი (მწვანე ჩირგვია). ამ გვარი მარხილი სდგას ყველა მოსახლის ეზოში ხელუხლები ნანათლიღებამდე. ახალ-წლის წინ დღეს, რომელსაც ეძახიან ახალ-წლის შემოლოცვას, ყოველს მოსახლეს მზად ჰყავს გასუქებული ბურაკი (ღორი), დაჰკ-

ლავს საღამოზედ და მეორე დღისთვის მოამზადებს ხორცს, პურს, ღვინოს და საინზედ თაფლს; მეორე დღეს, როგორც გაახშირებენ მამლები ყივილს, წამოდგება ლოგინიდგან კაცი და ქალი, აგრეთვე ბავშები. კაცები ასტეხენ თოფის სროლას, ასე ეგონება უცხო კაცს, ამ სოფელს მტერი დაეცა და მიტომ შეიქმნა თოფის სროლაო. შემდგომ ერთი მათგანი ზემოთ აღწერილს პურს, ღვინოს, ხორცს და თაფლს კალათში ჩალაგებულს შეიტანს სახლში, რომელიც იმ ღამეს ბეღელში ჰქონდა შენახული და მიულოცავს ოჯახობას: „ღმერთმა მრავალი ახალ-წელიწადი გაგითენოსთო“. მივლენ თვითოეული სახლობათაგანი და აიღებენ აპაზით, რომელიც საინზე ძევს, თაფლს და შესჭამენ. რომელსაც წირვის მოყურება და ევლოგიის მიღება ჰსურს, ის თაფლს შესჭამს ნაწირვებს. ამ დღეს გარეშე პირს სახლში არ შეუშვებენ.

ნათქვამია ხალხში: თურმე ერთი მგზავრი მიადგა გლეხს ახალ წლის შემოლოცვას და სთხოვა, ღამე გამათევინე ამაღამო, მაგრამ უარით გაისტუმრა. ეხლა მეორე გლეხთან მივიდა და იმანაც უარი უთხრა. მესამემაც რომ უარი უთხრა, წავიდა სტუმარი და ჩუმად ცის საბძელში შევიდა და რომ არ შესცივებოდა, თივა წაიყარა თავზე და ისე იყო; ნავახშმევს მასპინძელმა, ზემოდ რომ კალათი მოვიხსენეთ პურ-ღვინით, ხორცით და თაფლით, ის კალათი შეიტანა საბძელში. მეორე დილას უნდა გამოიტანოს და სავსე კალათი უნდა მიუმკვლიოს ოჯახობას; წარმოიდგინეთ მისი განკვირვება, მეორე დილას რომ შევიდა, კალათი ცალიერი დახვდა. იმ სტუმარმა, რომელიც კაცის მაგიერად საბძელმა ისტუმრა, მიირთვა თურმე ვახშმად და რაც გადარჩა, საგზლად წაიღო. კაცმა შეიტანა ცალიერი კალათი სახლში და დღესასწაული

შაინც მიულოცა სახლობას და უთხრა: გლახა ჩვეულება დაუტეევებია ჩვენ ძველებს, საწყალი ის კაცი, რომელსაც უარი უთხარით ღამის გათევის, რომ არ მოეგონებინა და საბძელში არ შესულიყო, შეიძლება სიცივით და შიშშილით სულს მიაბარებდა ღმერთსო. როგორც გარდმოცემით ვიცით, ეს მოხდარა საწერეთლოში.

ფეხის დაბძნა. ახალ-წლის მეორე დღეს ფეხის დაბძნას ეძახიან. ამ ღღეს დილით ჯერ მაკვლიერი მივა მოსახლისას და მიუტანს ძღვნად პურს, ღვინოს და ხორცს. ეს მაკვლიერი არ დაიძახებს, ისე თამამად შევა სახლში. შეადგავს ფეხს თუ არა, იტყვის: «ჩამოვსდგი ფეხი, გწყალობდესთ ღმერთი; ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა!» ამ ძღვენს გარდასცემს რომელსაც მასპინძელთაგანს და მიულოცავს: «ღმერთმა მრავალი ახალი წელიწადი გაგითენოსთ», მივა ცეცხლთან და ნიგუზლებს შეანძრევს და ამ დროს რომ ნაპერწკლები ავა ზევით, იტყვის: «ამდენი გოჭ-ქათამი გამოვიდეს ამ ოჯახშიო». ამ მაკვლიერის მისვლის შემდეგ შეიქნება ბეზობლებს შორის წვეულება ფეხის დასაბძნელად, მაგრამ ეს დაპატიჟება სხვა დაპატიჟებას არა ჰგავს. სხვა დროს რომ ერთი მეორეს ჰპატიჟებს, გულით სთხოვს, ეხვეწება, რომ მასთან დროება გაატაროს, აქ კი ერთს ეტყვის: თუ გნებავს, ჩემთან ფეხის დაბძნა, მეწვიეო. თუ წარსულს წელს ამ კაცს აქ ფეხი დაუბძნია და აქამდე მრთელად იყო და არაფერი დაეკლდა ოჯახში, ეხლაც ეწვევა, თორემ სხვაგან წავა და იქ დაიბძნის ფეხს. ფეხის დამბძნელები რომ სადილს გაათავებენ და სახლში წასასვლელად ემზადებიან, მასპინძელი აჩუქებს ბამბის ფთილას ან კანაფს და ეტყვის: «რამოტოლი ბეწვი ეს იყოს, იმოტოლი წელიწადი იცოცხლეო!»

მოსახლემ თუ ერთი წელი მშვიდობიანად გაატარა, არ დააკლდა ან კაცის სული, ან პირუტყვი, ან ავად თუ არავინ გაუხდა სახლობაში, მაშინ შარშანდელს მაკვლიერს სთხოვს, რომ წელსაც ის იყოს მისი მაკვლიერი, რადგანაც კარგი ფეხის იყო, თორემ იმას გამოსცვლის და სხვას აარჩევს მაკვლიერად. აარჩევენ ხოლმე უმეტეს ნაწილად მშვიდობიან კაცს და უფრო ყმაწვილებს, რადგან ამ უკანასკნელებს ანგელოზებს ამგვანებენ. ახალ წლიდამ დაწყებული ნათლისღებამდე მოსახლისას, თუ ვისმეს საქმე აქვს, ვერ დაიძახებს, თუ დაიძახა, ეწყინება მასპინძელს — «ხბოს ყვირილი იცისო.» დაძახილის მაგიერად ჰიშკარზედ უნდა შემოჰკრას ან ჯოხი და ან ქვა, და ამ ხმაზედ გამოვა სახლის პატრონი.

ღორს, რომელსაც დაჰკლავენ ახალწელიწადს, ეძახიან საახალწლოს; ამის ხორცს არ აქმევენ არა თუ გარეშე პირს, არამედ იმ ოჯახის გათხოვილი ქალიშვილიც რომ დაესწროს მამის ოჯახში ახალწელიწადს, იმასაც არ აქმევენ, მას სხვა ხორცს მოუმზადებენ.

ბოსლობა. ბოსლობაა მეზვერის და ფარისევლის კვირაში. ამ დღეს ქალები არც ჰკერავენ და არც ართავენ, მისთვის რომ კერვამ თვალების ტკივილი იცის და თითისტრის დანახვამ და ტრიალმა გოქის ტრიალი და სიკვდილიო. ბოსლობა ღამეს გამოაცხობენ განატეხს სართვიანს და გამოსახვენ იმაზედ უღელს; შემდეგ წაიღებს ერთი ვინმე ოჯახის უფროსი ამ განატეხს, ცოტა ღვინოს და ერთ კვერცხს; მას წაჰყვებიან პატარა ყმაწვილები, თუ არიან ოჯახში, შევლენ ბოსელში და იტყვიან: ბოსელ, ბოსელ ბუუ... შემდგომ ილოცვენ, კვერცხს გადაუსმენ საქონელს გავაზედ და იტყვიან: «ასე გარგვალდიო» (გასუქდიო). ამ კვერცხს ერთ რომელიმე ხა-

რის ბაგაში ჩადებენ ბავშების ნამალევად. განატეხს შეესჭამენ, ღვინოს დალევენ; ეხლა უფროსი რომელსამე ყმაწვილს მოიკიდებს ზურგზედ და წამოვლენ სახლში. როგორც გაიგებს სახლობა მათ მოახლოებას, კარებს დაუკეტენ; მიმავალი ჰკრავს კარებს ხელს და შესძახებს: «კარი რკინისა, არა მეუფისა.» შინიდამ გამოსძახებენ: ხარებმა რა შემოსთვალეს?—სახვნელ-ულელი დაანზადეთ და ხვნა ჩვენ ხელად იყოსო. უპასუხებს მიმავალი. ძროხებმა რა შემოსთვალეს?—სახბოე მოამზადეთ და ხბოები ჩვენ ვიცითო.—ცხვრებმა რა შემოსთვალეს?—საკრაოები მოამზადეთ და კრავებს ჩვენგან მოელოდეთო.—ქალებმა რა შემოსთვალეს?—აკვნები მოამზადეთ და ყმაწვილები ჩვენგან მოითხოვეთო. შემდგომ გაუღებენ კარს და მომზადებული აქვსთ ქატო, წყალში გაქნილი და კარებში შესრულ კაცს ნიათხებებენ პირის სახეზედ. მეორე დილას ყმაწვილები ცდილობენ ერთმა მეორეს მოასწროს ადრე ადგომა და ბოსელში კვერცხის ნახვა და წამოღება.

ვენახის ლოცვა. ამ დღესვე იკიან ვენახის ლოცვა. გამოაცხობენ განატეხს, მაზედ გამოხატულის ყურძნის მტევნებით. მას და ღვინო, მახლობელ ვენახში წაიღებენ და ეხვეწებიან ღმერთს, ბევრი ღვინო მოვიდეს; ერთ შეკვრის მოზრდილ პურებისას ჩამოაცმენ ვენახის სარზედ და იტყვიან: «ამოტოლი მტევანი მოიბიო».

ქათმის ლოცვა. ქათმის ლოცვა უძღების კვირაშია. ხუთშაბათს დღეს გამოაცხობენ განატეხს, დაამრელებენ შეკრული ქათმის ფრთით და იტყვიან: «ჯია, ჯია, ამოტოლი წიწილებიო.» როცა გამოცხვება; მივლენ საქათმოსთან, ილოცვენ ქათმების გამრაელებისათვის და შესჭამენ იქვე.

გოჭის ხუთშაბათი. დაურწყების კვირაში, ხუთშაბათს იცოდენ აქ გოჭის ხუთშაბათი; ამ დღეს თვითოეული მოსახლე დაჭკლავდა გოჭს, რომელსაც ასუქებდნენ, ილოცვიდენ და შემდგომ შეექცეოდნენ; ამ გოჭს ეძახიან სახუთშაბათოს. ეხლა გოჭის დაკვლა ქვემო რაჭაში ეღარ იცვენ; მის ნაკვლად ყვერულებს დაკვლენ და ლოცვით ისე ლოცულობენ, როგორც წინეთ. ზემო რაჭაში კი ისრევ სცოდნიათ ეხლაც გოჭის დაჭკვლა ამ დღეს. ქვემო რაჭველები ეცინიან მათ: «შენი გოჭის ხუთშაბათი, შენს პაჭიკებზედ გატყვიაო». თუ პაჭიკები გასვრილი არა აქვს ქონით ზემო რაჭველს, ამ სიტყვით გასცინებენ ერთი მეორეს.

ღორის ლოცვა. უძღების კვირაში იციან. აქაც მოაზადებენ განატეხს, მივლენ საღორის კარებთან, განატეხზედ დადებენ ნაკვერცხალს, ნაკვერცხალზედ სამთლის ნამცეცს, შემდგომ დაიწყებენ ლოცვას: ღმერთო, ააშორე ჩვენ ღორებს ხუნკი, ჩხრუნკი, ყაპო, ღორკოლი და სხვ. აქ ექნებათ დამტვრეული ბლომად ჩხირები და იტყვიან: «ამოტოლი გოჭები მოიგვეთო». განატეხს იქვე შეჭამენ და მლოცველებთაგანი, რომელიც უფრო მოზრდილი, ან სუქანია, გაგორდება საღორის წინ და იტყვის: «ამ სისხო გოჭებიო».

მელიაობა. ყველიერის დაურწყებას იციან: აიღებენ ქათმის კვერცხს, გამოსცლიან შიგნი გულს და ცარიელ ხეტში ჩაჰყრიან პურის და ყველის ნამცეცებს; ერთს რომ ჩააგდებენ იტყვიან: ეს მელიასო, მეორეს—მგელსო, მესამეს დათვსო, მეოთხეს ქორსო და რამოტოლი მტაცებელი ოთხ-ფეხია ან მფრინველები, ყველას სახელზედ თვითო ნამცეცს ჩააგდებენ; ბოლოს იტყვიან: ეს თქვენი არჩივია და ამ ოჯახიდან არაფერი წაიღოთო,

არც ოთხ-ფეხი და არც მფრინველიო. შემდგომ ამ კვერცხს გადუგლესენ თავს პურის გულით და მეორე დღეს დილით ადრე გარდააგდებენ სადღაც შორს, მიუდგომელს ადგილს.

თვალის ლოცვა. უძღების კვირაში, შაბათს იციან თვალის ლოცვა. დაარგვალებენ პურის ცომს სიმინდის კაკლის ტოლას, გამოაცხობენ და შემოივლებენ თვალებზედ და იტყვიან: «როგორც მე ვსცდებოდე დღეს კეთებისაგან, ესე იგი, როგორც მე დღეს არაფერი არ გამიკეთებია, ისე გასწმინდე ჩემი თვალები ჩხვლეტისა და ტკივილისაგან».

დიდმარხვის პირველ კვირიაკის ორშაბათს, რომელსაც შაორშაბათს ეძახიან, რკინეულს არ იხმარენ და არც თვალით დაინახვენ — ყველას დამალული აქვს. ამის დანახვამ მუწლუკუნას დანახვა იცის საკმელშიო (მუწლუკუნა ერთნაირი მწერია).

ყოველს ორშაბათს და ხუთშაბათს ისე აქვთ აღკრძალული, რომ არაფრის სახით ერთი მეორეს არა თუ არ აჩუქებენ რამე ნივთს, არამედ სანათხოვროდაც არ ათხოვებენ.

დიდ-ხუთშაბათს, ყოველი მოსახლისას, დღე და ღამე რომ გაიყრება, ყმაწვილები დაანთებენ კალოზედ ცეცხლს და ურბენენ გარშემო. უფროსები წავლენ ვენახში და დაუწყებენ რაწკუნს რკინეულობას და იძახიან: «არულო კუდიანებსა! ჩვენ ვენახში ტევნა-ტევნა, სხვის ვენახში კიმპლა-კიმპლა!» ვითომ ამ რაწკუნით კუდიანები დაბრთხებიან, წავლენ და ვენახს ზარალს ველარ მისცემენო.

ᲘᲚᲒᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ.

(ზღაპარი, წარმოდგენილი თ. ალ. მაჩაბლის მიერ).

ერთი გლეხი-კაცი იყო, რომელსაც ერთი ვაჟი შვილი ჰყავდა; მოინდომა მამამ შვილის დაქორწილება, დაუწყო კარგ ქალს ძებნა, მაგრამ არავინ მოეწონა; ბოლოს გაიგო, რომ ერთ სოფელში, ერთს კაი ოჯახისშვილს ქალი ჰყავს გასათხოვარიო, აღგა და წავიდა. მივიდა იმ სოფელში და პირდაპირ იმ სახლში შევიდა, ვისაც ქალი ჰყავდა გასათხოვარი, გამოიკითხა ყველაფერი, თუ ან მზითევი რა ჰქონდა, ან ქალი რა ხნისა იყო და მერე ქალის ნახვა სთხოვა. სახლის პატრონებმა შემოიყვანეს მშვენიერი ქალი, რომლის მსგავსი იმ წყალზე ორიც არ მოიპოვებოდა. კაცს მოეწონა, გარიგდნენ საქორწილოზე. დააწყეს საქმე, თუ ქორწილი როდის უნდა გადიხადონ, მისცა ბელგა ქალს და გახარებული დაბრუნდა შინ. კარებში ცოლი და შვილი მიეგებნენ, ჰკითხეს: «რა ჰქენ, ცალერა ხომ არ მოხვედიო?» კაცმა სიხარულით უამბო ყველაფერი: «იმისთანა ქალი დავნიშნე, რომ იმის მსგავსი არავინ მოიპოვებაო». დაიწყეს მზადება ქორწილისთვის, ვაჟმა შეიკერა სანეფო ტანისამოსი, შეუკვეთა ახალგაზდა ბიჭებს მაყრობა, მეჯვარობა და მოემზადნენ დანიშეულ დღისათვის ქალიანთსა წასასვლელად. მოვიდა ის დღეც; შესხდნენ ნეფე და მაყრები ცხე-

ნებზედ, სიმღერით და მხიარულად მიუახლოვდნენ სოფელს, დაწინაურდა მახარობელი, მივიდა ჭენებით დედოფლიანთსა, ჩამოხტა ცხენიდგან და მხიარულად დაიძახა:

მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი,
მიჭამია მბალი. ამიხვიეთ მხარი!!

სასიმამრომ გამოუტანა საღვინით ღვინო, დაუსხა ჯამზე მახარობელს და დაალევინა, რომ დაცალა ღვინო, აისროლა მაღლა ჯამი, გადმოიგდო თოფი და ესროლა ძირს წამოსულს ჯამს, რომელიც თოფის ტყვიისაგან დამტვრეული ძირს ჩამოვარდა; დასცეს კიჟინა მაყურებლებმა. ნეფიონნი რომ ასე სიხარულით მოდიოდნენ, მაყურებელი დედაკაცები ხელს გულში იცემდნენ და ამბობდნენ: „უიი, დედასაა! რა კაი ბიჭია, და ვინ უნდა წაიყვანოს, ი მუხის ჯირკვი, განა სხვა ქალი აღარ იშოვებოდა ქვეყანაზე?“ ბევრს ამისთანებს ამბობდნენ დედაკაცები, რომლებმაც თითო-ოროლა სიტყვა მაყრებსაც გააგონეს; მაყრებმა ნეკზე იკბინეს, აქ რაღაც ამბავიაო და ერთმანერთი გააბრთხილეს. მივიდნენ, გამოეგებნენ ნეფეს და მაყრულით შეიყვანეს სახლში. მაყრებმა დაინახეს სახლში იმისთანა ვაჟკაცები, რომ თავიანთი თავი დაავიწყდათ. დასვეს ნეფე და წავიდა მეჯვარე ქალის გამოსაყვანად. შევიდა მეორე ოთახში, სადაც მორთული პატარძალი იჯდა გარ ქალებ-შემოხვეული, ეცა ელდა, რომ დაინახა ერთი უმსგავსი რაღაც, სახე-დარუმბებული, რომელსაც სისუქნისაგან თვალები ძლივს-და უჩანდა, დაბალი და მეტად სქელი, მართლაც რომ მუხის ჯირკვი პატარძალი. უნდოდა ცარიელა გაბრუნებულიყო, მაგრამ დამზადებული ბიჭებისა ეშინოდა. მეტი რა ჯანი იყო! წამოიყვანა ჩლახა-ჩლუხით ორთავე ფეხე-

ბით კოჭლი პატარძალი და მოუსვა გვერდით ნეფეს. ნეფემ ერთი კი შეჰხედა გვერდზედ, გაუსკდა გული და აარიდა თვალი. ჩაუთვალეს ხელი, დალოცეს როგორც მამა-პაპათა წესი იყო და ძალის-ძალათი წაათრიეს საყდარში ჯვარის დასაწერად. ბევრი იბორბოქეს ნეფიერმა, არ დავწერთ ჯვარსო, მაგრამ, ძალა აღმართსა ჰხნავსო, ნათქვამია. დასწერეს ჯვარი ძალის-ძალათი, აღარც საყდარში უარის თქმამ გასჭრა და დაბრუნდნენ სახლში. ისე გახდა ნეფე, თითქოს მშობლები დაჰხოცოდესო. სჭამეს ვახშამი და ნიფე-დედოფალი ცალკე ოთახში მოასვენეს. მალე დედოფალმა ამოუშვა ისეთი ხვრინვა, რომ გულიანად ცძინარსაც-კი გაალვიძებდა, ნეფეს რაღა დააძინებდა! დაღონებულმა სოქვა: «თუ ვუშველი თავს, ეხლა ვუშველიო, მე ამ ქალს ვერ წავიყვანო!» ადგა, ჩაიცვა, გამოვიდა გარედ, შეჯდა უბელო ცხენზე და გაეშურა მინვრისაკენ. იარა კარგა ხანი. ბოლოს ძილი მოერია, იქვე თივის ძირები იდგა, მივიდა, გადმოხტა ცხენიდგან, მიუშვა თივაზე ცხენი და თვითონაც მიიძინა. ძილში ნახა სიზმარი: ჩამოეშვა ციდგან სასწორი, ცალ მხარეს გაჩნდნენ ქალები და მეორე მხარეს კაცები. შედგება ქალი სასწორზე, შედგება კაცი მეორეზე, მოვლენ თანაბარი წონისა, დალოცავს მესასწერე და წავლენ. ახლა მეორე, ახლა მესამე და ასე იწონებოდნენ. ამ ნეფეს რომელი ქალიც მოეწონება, გაექანება და შეუხტება, მაგრამ არ მოვლენ წონაში და გამოაგდებენ, ახლა კიდევ—ახლა კიდევ; ბოლოს სულ გაიწონენ სუყველანი. ვნახოთ, მოვიდა ამ კაცის დედოფალი და შედგა ძლივს სასწორზე. «აი გაგიწყრა ჩემი გაჰჩენიო»—სთქვა ნეფემ და თითონაც შედგა, ისე მოვიდნენ წონაში, რომ მისხალი არსაით გადასძლევდა. ბოლოს მესასწერემ უთხრა:

— «ეგ არის შვილო, შენი ბედი, ტყვილად გარბი, წადი და იცხოვრეო». რას იზამდა საწყალი? გამოელვიძა, შეჯდა ცხენზე და ისევ დაბრუნდა თავის მზეთ-უნახავთან. მოვიდა კარებთან, სადაც ხვრინვა შემოესმა თავის ცოლისა, «აი, ხრჩობაო!» სთქვა და შევიდა სახლში, გაიხადა, დაწვა. მალე გათენდა, ადგა ჩაიცვა, გაილვიძა დედოფალმა, მდადი შემოვიდა, ჩაცვა და გამოვიდნენ დარბაზში. გაშალეს სუფრა, ისაუზმეს და გაემგზავრნენ შინისაკენ. არც მახარობელი გაგზავნეს და არც, შევიდნენ დაღონებულები სახლში. «რა იყო შვილო?» მისცვივდნენ მშობლები. «რატომ არა მღერით?» «ოხრადაც დაგირჩათ სიმღერა, წადით ჯერ პატარძალი გადმოიღეთ და მერე მკითხეთო»... მივიდნენ, გადმოსვეს პატარძალი, ეცათ ელდა, მაგრამ რა გაეწყობიდა, დამორჩილდნენ ბედსა. მამა ჰფიცავდა: „მე ეს თვალით არ მინახავს. მე ლამაზი ქალი ვნახე და ის დავნიშნეო“; მაგრამ დედოფლის მაყარმა გაუმჯდავნა და უთხრა: «ის ქალი თქვენი პატარძლის ძალუა იყოო». ასე კი იყო, მისცა ბედის სასწორმა და საწერელმა ის ქალი, მაგრამ მომავალს კი ბედნიერებით მიეგებნენ. ის კაცი იტყოდა ხოლმე: «მართალია, უმსგავსი ცოლი შემხვდა, მაგრამ სულ ოქროს ქოჩრიანი ბავშვები მოგვეცაო და დოვლათმა ჩვენსა დაიბუდაო.»

ხალხური ლექსები.

(წარმოდგენილი მისგანვე)

ლიახვმა სთქვა: ავდიდდები
არაგვს არ დავედარები,
ისე მოვალ და მოვეხუვი
ფეხზე არ მინდა ნალები.
მაღლა დოვლეთი მოვგლიჯე,
მომაქვს ოსური ტყავები,
კეხვს მელანაშვილს უქებენ,
ღვინო უდგია ლალები.
ასე დავხადე ქვევრები,
არ მოვანდომე ბარები
პატრონი ტყეში გარბოდა,
აქ მაინც დავიმალები!
აჩაბეთში ჩავიარე,
ისე დავმარგლე ბაღები
არ მოვანდომე ქალები,
ცხინვალის ხიდს ჩავუარე,
ზედ დავაცეცე თვალები,
ისე ავჰყარე ისრები,
არ მოვიხმარე ძალები.

—

ღვინომ უთხრა: განა, პურსა,
მე და შენ რომ ერთად ვიყვნეთ,
ვერავინ ვერ დაგვდებს წუნსა.
ახლა წამოდგა არაყი,
სიტყვას იტყვის დამტკიცულსა:
რუსების საყვარელი ვარ,
მეძახიან თაიგულსა,
ისე გამოვათრობ კაცსა,
არ ვუჩვენებ ლუკმა პურსა.

—

დათვმა სთქვა: სიზმარი ვნახე,
რაც რომ თავს გადამხდებოდა,
ლამაზ-ლამაზი ბიჭები
თოფ-იარაღში სხდებოდა;
ლამაზ-ლამაზი მწევრები
სულ ჩემზედ ემზადებოდა.
ერთ ბიჭს ეჭირა სიათა,
პირ ჟანგი ეკიდებოდა,
აქედგან ტყვია მხვდებოდა,
იქითკენ გავარდებოდა;
ისეთ ფლატოში ჩამაგდეს
ყვავი ვერ ჩაფრინდებოდა,
იმდენი სისხლი წავიდა,
შიგ ნავი მოცურდებოდა!

—

კამეჩო დიდი თავი გაქვს,
ნუ გადამკიდებ ბალასა,
მუცელი ველარ გავიძღე
იმ ოხერ-ტიელ ქალაქსა!

—

მეხრეობა მამეწყინა,
დავლა შავი ხარებისა,
თამაშობა მიამება,
თავში ცემა ქალებისა.

—

მე რომ საქმე მომივიდა,*)
სათქმელად მეტათ ძნელია:
მთიული ქალი შევირთე,
ბრიყვი და გაუზრდელია,
ასეთი რამ ოხერია,
გოგროხას უგავს წელია.
სამი სარტყელი დაწყვიტა,
მეოთხე ჭიაფერია.
ავდეგ საბელი ვუყიდე,
იმით შევუკარ წელია.
საყდარში რომ წავიყვანე,
ცხენს მომიწყვიტა წელია,
დაიჭირა ჩვენი მღვდელი
სულ დააგლიჯა წვერია,
სახლის კარებში შევიდა,
გადმოგვაყარა გენია,
მამამთილიც დაიხირა,
სულ დააგლიჯა წვერია,
მე და ეს ჩემი ქამანჩა
კარებს უკანა ვტენივართ,
მაშინდელს შეშინებულსა,
დღესაც არ მომდის ფერია.

—

*) ვარიანტი.

თუშური ლექსები.

(შეკრებილი ივ. პუქურაულის-მიერ).

თუშის ქალმა სთქვა, შეგირთავ ბასრის ხმლის ამოიღებელსა,
სულ უწინ ომში ჩამსვლელსა, სახელის შინ მოიტანელსა.

—

ვინამც სთქვა ენა კაჭხმება წოწრეს პაპია ბერია, *)
ბერია, არცა ბერია, სიახლე[2]) ხელთა სჭერია!..
ცხენზე შეჯდება—ქორსა ჭკვა, დაუქვეითებს—მკელია.

—

თურსიელს წყარო მდინარო, კრიდო, მაღლისა მთისაო,
ჩამთქმელო თეთრის ცხენისა, ზედ კაის ჯაბუკისაო;
ზედ პირად წამოიღებელო ქუდისა, მათრახისაო,
დღე-ღამე საგონებელო ქალისა დამაზისაო.

—

თოვლი თოვლს ვესტმის მთაზედა, დაბლა სოფლადა შრე-
ვად არს ქოთიდთა კანა, გულს უწადინოდ კვდებაო. |ბაო,
—ნუ მოჭკლავ, დაშბადებელო, სოფელსა ეტლი ხდებაო.
კანასა დედა ბეჩავი ბერი ბნელეთსა ჯდებაო.
ბრალია კანას დიაცი, სანთელივითა დნებაო.
კამართეს დასამარხავად, წინ ცხენი ჩაუძღვებაო.

---

*) ბერია—მოხუცებული.

[2]) სიახლე—ახალგაზდობა.

ფეხს იცემს, შეიჭიხვინებს, შეჭხედავს—ატირდებაო!..
დამარხეს მელეკე კანა, კუბო გამართეს რვლისაო,
მოქარგეს ოქრო-მკედითა, შუქნი ადგება მზისაო.
ოქრო შუშუტებ ჩაუშვეს, შუქნიმც დადგება მზისაო.
ცხრა დუუნეს ხუცესი, ცოდვა მოჭხადონ მტრისაო...

—

კამზადლიც დაიდოტება თუშისა როსტომისაო,
ალაზნის თავზე შემოდის, მწუემსი გგეგონა ცხვრისაო.
გადაიარა ბორჩალო *) უამიც არა აქვს მტრისაო.
ჩამოდის ქისტის ჯალაზედ სწავდა არ უნდა გზისაო.
კაკიდა ქორვის მთაზედა, ნამი კაბღერტა მთისაო;
მარტო ჩავიდა ახვაში [2]) თან კვალი ჩაჭუვა მგლისაო.
როსტომსა სისხლის მძებნელსა იმედი აქვსა ხლმისაო.
თოფსა არ ისვრის როსტომი, კატეხ არ უნდა ხმისაო.
მოკლა ხაწეთა ბათირი, მომკლავი ძმობილისაო.

—

ლაშარს ჩავალის თიდისძე გულ დიდად დაჯდებ კარიო,
კარშამოერტუნენ ფშავლები, როგორც რომ ბატონს უმანიო.
—აქ არ მოგესვლინებოდ, თიდისძე, დიდი ჭქენ ცოდვა ბრალიო,
დასწვი, დადგე ხომარა, [3]) ცამდის აუშვი ალიო,
ლაიც უმაწვილებ ბევრი დახოცე, კალოთ კალეწე მკვლარიო!..
—მაცალეთ, ფშავლის შვილებო, მალოტეთ ლაშრის ჯვარიო,
სალოცავადა მოგსულვარ თეთრი მომიეგანაგ კარიო.
მაკის მეშრ ვიამბოთ, ფშავლებო, რატა კამოშრეს მთანიო,
მთა კაშრეს, მიწა კამოჩნდეს, ლურჯამ მოჭკიდოს ნალიო.

---

*) ბორბალო—ალმოსავლეთის კავკასიონის ქედის მთის კვანძი.

[2]) ახვა—სოფ. ქისტეთში.

[3]) სოფ. ზემო ფშავში.

მთამან დაისხას ბალახი, ლურჯამ დაბღერტოს ნამიო;
ტყემან დაისხას ფოთოლი, მხედარმ დამალოს თავიო.
ების ღელეს უნდა გადადიოდეს თქვენი ცხვარ-კაროვანიო.
იქავე უნდა ნათობდეს თიდისძის ლურჯას ნალიო.
უკან მომდევდეთ, ეშავლუბო:—სიით რა მაგის კვალიო!..

—

მოდი ვაზუზი დაგვეხსენ თუშეთის გეეო ზიანი, *)
ახლა ხევსურეთს გადადი ხმალი დაგხვდება ეზიანი.
ეზათ ოორდვა შემოგეეარა დვოისაგან დოვლაოიანი,
ფარი და ხმალი შენ მოგცა, დაშნა დამალა ეზიანი;
მარჯვნიდგან წამოგირბინა, მარცხნიდან დაგეარა ზიანი;
გულის ბიერს დაგცა დაშნაი, ბოორტვი დაგმიჩე მტრვიანი.
ნაგიტან დაგლოვანასა ნაბად დაგხურა მცვრიანი;
თავეთ დაგისხა ეორნები, ძალ ახვრეგინა წვნიანი!..
ოორდვავ, ვაზუზის მომკლეო, ნეტარ რა ვქონდა ეარადა?!..
კახეთს გიშარეს ბატონი—ერთხელ ნამოდი ბარადა;
ტანი კამოგიცვლილ ხალათსა ხევსურთ ბიჭების ჯაკარადა;
ცხენსა გიბოძებს ისეთსა შინ წაგიყვანოს ჩქარადა!..
ემაგის მოშაირეი ქალ გომეწრელთ **) შავ თმიანი,
შეიტეო კამომგზავნე სუეურე გუგუმიანი...
სტოდეთ არას მიკადრებ, ეზნაური ხარ ემიანი.
ჩემის ქებით თავს ნუ კაიდიებ, ოორდვაო, მამა მეც მეკანდა
ჯარ ბელაქნიდან მოდიოდა ეოჩი, ვაცები რქიანი. |ხლმიანი,
იკითხვდითა გომეწარში, ვერხოვანს [3]) ქვეთარ მქვიანი.

—

*) სხვა ვარიანტით: მთა-მთა რას დახვალ ვაზუზი,
ბარისა გეეო რიალი.

**) გომეწარი—თემი თუშების.

[3]) ვერხოვანი—სოფ. თუშეთში.

მთა კაშრა, ქვეშა კამოჩნდა, ახლა ველობის ხანია.
ზამთარში ნაკვეხნ ვაყისა ახლა ცხადების ხანია.
თუშნი ლაშქრადა კავიდნენ ქისტეთს კაიღეს კზანიო
ჭარჩის *) თავსა კადიხედეს, კარკად კაიკეს კზანიო,
ჩაუშვეს იმათ თარეში სწორე ვახშობის ხანსაო,
ცხენი და ძროხა მორეკეს დიდ ბათიროლთ ცხვარიო.
ბათირს ვინ შეატეობინა ლურჯი ჭეკანდა ჩქარიო:
მდევრად ბათირი კამოუდგა ლურჯას მადლ ეკერ თავიო.
კზიდან დაბრუნდა ბათირი, ლურჯამ დაკედო ნადიო.
წინ ცოლი მიეგებება თავლით ლამაზი ქალია.
—ბათირ, რა უკავ ცოლის ძმა ანუ თავისი ცხვარიო?..
—ნუ მკითხავ, ქალო, დამეხსენ, ჩემი მეუოთა კავარიო,
ბევრ ხანი ვდივე თუშებსა, ვეღარ მოგვიდე თავალიო.
ცოლის ძმა კზაზე დამიხვდა დაკრილი როკორტ მხალიო!..
—ეჰე, ბათირო, ოხრად დაკირჩეს ეკ შენი ლურჯა ცხენიო.
ცხვარიცა შენი კარეკეს, სამ ფარად კედკა მთაზედა.
მწეესებიც შენი დახოტეს მკვდარნი კიწვენან მთაზედა!..

—

ამაკანისძის ლაშქარი თავს უიდურს კროვდებისაო,
კაკვიძეს, ბექურის ძეო, შენ უფრო იცი კზისაო.
კაუძღვის ბექურის ძეი კზა ჯირეკვან შეჰხარისაო.
აქვერის მთაზე კადადის ხმალს სწუნობს, კაუცვლისაო.
თოფსა სწუნობდა, შაშხანა ჯრელს დაზდევდ კირიმისაო.
ბექურის ძისი ლაშქარმა ფიცი ჭქნა მეუფისაო:
თუ ვუდალტოთ ერთურთსა დროშის ქვეშ ფიცავდისაო.
თუშნი ჩაცვივდნენ სისხლშია, ფშავლებ შორით ხედავდისაო.
ემაით დაბრუნებულნი შინ ცოლებს რას ეტუვისაო?
შინ ცოლებს მოატეუებენ კარეთ სწორში რას იტუვისაო.

---

*) ჭარჩი—მთა ქისტეთში.

თუშნი და ლეკნი რგობენ აქვერის სოფლის ბერსაო.
სისხლისა ღვარი დაბრუნდა, დადგა სოფლისა ძარსაო.
ლეკთ ხოცვს მანჯარაული, მარჯვენას არა სჯრისაო.
აქვერელთ დიაც-უმაწვილნი ბედლიოა გამოუდისაო.
აქვერელთ ცხვარ-კაროვანი თუშეთში გადმოდისაო.
უკან მოიდეგენ დიაც-უმაწვილნი, ტრემლით იბანენ ბერსაო!..

—

გვიქებენ ბელეშის შვილს*) [1]) ეაზინეკ[2]) მეტის მეტსაო,
დაიარება კახეთში, ვერა შოულობს ტუვესაო,
დაწვა, დადგა ეკარელი ფერისტვალობის დღესაო.
ბევრი დახოცა ვაჟკაცი, მკვდარს ვერ აუქცევს ფეხსაო,
კარეკა ქალი და რძალი გადაუენა მთებსაო.
სულ ფეხშიშველა კარეკა, ქოში არ აცვია ერთსაო.
იკვეხის ბელეშის შვილი: მე ვიბელადე დღესაო.
სიბელადოსაც ავიდებ შიგ ამოვარჩევ ერთსაო.
შევიდა, გამოიეკანა, დამეს ანათებს ბნელსაო.
—შენი ჯირიმე, დამაზო, ნუ მოიგონებ ძმებსაო.
ეელამდინ ოქროში ჩაგსომ, მარგალიტს ნახავ ბევრსაო.
—დახედე წეწკსა ადიას, სიტეკა გამოსდის მურადიო.
ძმებსა დამიჯრა ეელები, მამას მიცემა ხმადიო.
როგორ არ მომაგონდება საწყალი ჩემი ქმარიო!..

—

ხუთშაბათ ქისტებ გადმოვლენ თუშის ცხვრის ბუქარაზედ,
მოატანენა ხუტისა შუა დამისა ხანზედ.
თოფი დაგვიკრეს ხუტისა ბოდ გაუშალეს თავზედ.
თოფი აიდო ხუტემა ხირიმ გაიდვა მკლავზედ: |და!..
—თოფო, მოგიკვდეს მჯედელი, მარჯვენას გაიხმი მკლავზე-

---

*) ეს სიმღერა აუწყებს ლავიო ჯაგჯაგაძის ოჯახობის ლტეკვევებს შამილის შვილის ეაზი მაჭამას მიერ., [2]) ბელეში—შამილს უწოდებენ,—[3]) ეაზი—ეაზი მულდა.

სოფელში კაცი მოვიდა: ქისტებ დაგვეცნენ თავზედ!..
სოფლიდან მდევარ კვიდა, კაკარეს სავაცეზედ,
წინ დედა მოეგებება ტრემლებს არ შეშრებ თვალზედ:
—თოფი ვინ დამიერ ხუტიდოს, ზარიმ ვინ დამცა თავზედ.
— მითქვიდით ბიძაშვილებსა, თმას ნუ უშვებენ თავზედ,
ნუცა-და დიდხანს მიგლოვონ, ჯდომა მეც მეწყად ჯარზედ.
მე წინავ სიზმარი ვნახე, გვირგვინი მედგა თავზედ,
ჩვენ სახლში შემოხიზნულნი ჯვარსა იწერდა სხვაზედ
მე მეკონ ჩემი ბატრონი, თვალში მეჩვენა ქალადა!..
ვალ დაგიდვიათ, ქისტებო, ბერის მეკლისი თავზედ.
დემეტრე ისევ ცოცხალ არს მალ-მალ ამოვა თავზედ,
სადამ მოხვედით, ქისტებო, დედის ერთაის ცხვარზედა?
ბზა სხვაგან მიგიდიოდათ ბევრი ცხვარ იდგა მაარზედ!..
მე ამის მოშაირეი ხვახიდ მოვდივარ ცხვარზედა,
თუ სახელდობრივ მინდოდეთ – მამასახლისის ცხვარზედ.
შენდობა დემეტრის ხუტის, საც რომ კარიგდეს ჯარია,
ჩემიცა შენდობაი თქვით თავად კასწრეთ ფხინია...

—

არამ დამძრახოთ ბიჯებო, *) სიტყვანი გითხრათ ძმურია.
ვაუო, სადა ვართ ალვანთან დიდათ შორს არის გურია.
მოიწყინდა დვინო კახური, დიაცთ ნამცხვარი ბურია
და თქვენცა ბძანეთ, მოიმენო, უმცროსს დაუგდეთ ყურია.
ძმაო, შენც კახსოვს წითელა, ვაეის სიუმწყვილური ზნეობა.
მოდით, აქ შეეიკრიფეთო, კვმართებს საქმისა რჩეობა.
ბიჯობით ეველან მჯობიხართ, გიცდიათ დეკთა მტერობა.
სახელი დაგეგრჩეს გურიის, თუშებმა ქნესა მხნეობა,

---

*) აქ მოთხრობილი ამბავი ჩოლოჩის ომს ეხება, სადაც ქართველთა ჯარის უფროსად იყო თავ. ივანე მალხაზის ძე ენდრონიკაშვილი.

ომის დრო არის, ვაუკაცნო, ცხენთა დავკრათ ნალია.
ალექით, დავემზადენოთ ეველამ დავჩარხოთ ხმალია.
ვინც უკან დარჩეს ამხანაგთ—იოს ახმალის ქალია.
და მოკვდეს, ქვაზე დაეწეროთ: „სიცოცხლითავე მხალია!..“
—ვაჟო, რას ამბობ მეწუინა, დიაცთ წესია რიდება,
ქალის ლეჩაქი დავხუროთ, ვისაც არ უნდ—ომი სწუინდება.—
კაცი კავკაზავნოთ სარდალთან—ბიჭებს აქ ეოფნა სწუინდება,
თუ არ გვაჩხუბებ თათართან, თუშნი აქ რალად გინდება?!..
ვინცა კავკაზავნეთ მოვიდა: სარდალმა კაიცინაო;
ებძანა:—ალითი ივანე ჯარს გაუძღვება წინაო.
ულვაშის კრეხით, თამამად, სკვეირლად მოელხინაო.
მეწინავედა კვიბრძანეთ, კავცურავთ, საცა წუალია.
შორით მოვსულვართ—რიგია, ბირველთ ვაცნობოთ ძალია.
თუ ვარგა შენი თუშები, ან მათი კორდა ხმალია.
ვითხოვოთ, ბირველ მივიდეთ—ეს არის ჩვენი ოხოვანი.
შენი ვართ ალვანთ თუშები, კაზმული იარადოვანი.
თუში თუ უკან დარჩება, ვისკან ელირსოს კლოვანი.
და ხომ დაკვძრახავს მოსაზღვრე ფშავნი, ხევსურნი, ფოვანი.
კამისალმებით დავხოცნოთ, ალეს არის საომარია.
რაზმით მივმართოთ ერთიან, საცა ურდიან ჯარია.
ტეტხლად აუჩნალეთ შუაში, ავტეხოთ სისხლის ალარია.
ვაუკაცად ვინცა მოკვდება, ალმერთო აცხონე მკვდარია!..

—

ბახტრიონს სხვალან თათრები სიტეკვს ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას კავკრით ვენახსა, შინ დავასხლებთ ელსაო...
შეიტეკეს თუშის შვილებმა მაღლ შემოირტეკენ ხმალსაო;
ჯერ შუა დამე არ ქმნილა, ნაქერალს *) კროვდებიანაო.
შველაო შველაიძეო ბანკისს გასტეხე წუალიო,

*) ნაქერალა—მთა.

უკუღმ დავსჯედოთ ტხენები, დავამაღვინოთ კვალნიო..
საკათენებდოთ დავეტნეთ ბახტრიონს კალავანზედა.
—კარეთ კამოდი სულთანო, თუშნი გისხედან კარზედა,
თუ ნებით შენ არ კამოხვალ, კამოგიუვანენ ძალზედა.
მეტი ვარ სადირიშვილი, ნუ მიმზერთ ტალავარზედა. *)
კალავალთ, კალავეურინდები ბახტრიონს კალავანზედა.
შვიდი არ მოვკალა ხმალ-და-ხმალ, კამცვალეთ თითრის ქალზედა!..
მის კავლებული ფრანგული კაბას რა კარგა სჯრისაო.
ჯიშით სჯობიხარ გორდო ფრანგულო, მჯრელი ხარ დავით ფე-
ალოეს და ჩალთეს თითრები წითელ ჩალიოდ წუალიო. |რული!..
ალვანში ციხეს აკებენ ხოჯა თითრისა ძალისაო.
ლიბოდ [2]) უკდებენ კალოსა [3]) ნაწყრეტის ფრანგულისაო;
დააკლებინეს ალვანი თუშთ არის საკუთარიო.
ჯერ ღმერთი, მერე ბატონი, სხვა არვინა ჭეავს მტილავი.
ვინც ალვანს უარესობდეს ცოლმ შემოუხსნს ხმალიო!..



*) ტანადობაზე.

2) საძირკველი.

3) ძვალი.

განცხადებანი.

—

1900 წელს

აკაკის

თვიური

„კრებული“

(წელიწადი მესამე)

გამოვა იმავე პროგრამით და იმავე პირობებით, როგორც 1899 წელს; ესე იგი გარდა **საკუთარის** ნაწერებისა დაიბეჭდება **სხვების** ნაწერებიც.

ფასი იგივე დარჩება:

გაგზავნით 7 მანეთი,

გაუგზავნელად—6 მან., ნახევარის წლით—4 მან.

თვიურად და კერძო №-რი—60 კ.

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება:

ხელის-მოწერისას 3 მან., ბირველ მარტს 2 მან. და ბირველ მაისს 2 მან.

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში

ადრესი: დ. ყვირილა „კრებულის“ რედაქცია და
თბილისი „წერა-კითხვის საზოგადოება“.

რედაქციაში მოიპოვება სრულად 1899 წლის „კრებული“-ს წიგნები, გაგზავნით **7** მანეთად, ხოლო ახალ ხელის-მომწერთ დაეთმობათ **6** მანეთად.

„კრებული“-ს რედაქტორი და გამომც. აკაკი.

1900 წ.

„მოამბე“

(წელიწადი მეშვიდე)

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

ფასი ჟურნალ. ვაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში	1 წლ.	6 თვ.	3 თვ.
	10 მ.	6 მ.	4 მ.
სამზღვარ-გარეთის ქალაქებში	1 წლ.	6 თვ.	3 თვ.
	13 მ.	7 მ.	5 მ.

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეხუთე)

გამოდის ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც

გაზეთის ფასი გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში	1 წლ.	1 თვ.
	6 მ.	75 კაპ.
სამზღვარ-გარეთის ქალაქებში	1 წლ.	1 თვ.
	7 მ.	90 კაპ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მან.	პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მან.

ვინც ორივე გამოცემას ერთად გამოიწერს შეღავათი მიეცემა

ჟურნალში ეოგელ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შანაურა ⅄ უცხოეთის მამოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დანაშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე 5 კ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

„ივერია“

გამოვა 1900 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც ფინად.

ფასი გაზეთისა

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50 „	5 „	5 „ 50 „
10 „	8 „ 75 „	4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 „	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მ.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

შედარებითი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსწერი თეული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან.; პირველ მარტს—2 მან.; პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მ.

ფასი განცხადებისა:

მე 4 გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი—8 კაპ., 1-ლზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქუჩ., თავად-აზნაურობის სახლი.

საფოსტო ადრესი:

Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

მიიღება ხელის-მოწერა 1900 წლისათვის ოჩ

კვირეულ გამოცემათა ჟურნალს

„მწყემს“-ზე

❧

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 »
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც. თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **სიჩხერეში**—ყარა ალან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; **ახალსენაგში**—ბლაღოჩინ მაჰა არიტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარებ**ა** შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.